ახალი საუნჯე
ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№3 (69) მაისი-ივნისი, 2019 წელი ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

ზურა ჯიშკარიანი & მარიამ რიყლი

1970
2019
N3

**პოეზია**
პაატა ნაცვლიშვილი
ია ჯინჭარაძე
ქეთი გზირიშვილი
ნინი ელიაშვილი
გურანდა ბერია

**პროზა**
ცოტნე ავსაჯანიშვილი
მანანა მენაბდე
კოკა ცხაკაია

**ინტერვიუ**
ტაიო ფუჯიო

**კრიტიკა; ესეისტიკა**
დავით ჩიხლაძე
ლევან გელაშვილი

**ახალი თარგმანები**
ლექსები კინოფილმიდან
„ბედის ირონია ანუ გაამოთ“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO
ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

*ზურა ჯიშკარიანი*

ელისო მეტრეველი – ზურა ჯიშკარიანი – ნანგრევებზე მოცეკვავე – 3
ზურა ჯიშკარიანი – მოთხრობები – 13

*მირიამ რეიესი*

**ბიოგრაფია** – 26
**გალისიელი პოეტი ემიგრაციასა და სამშობლოს კვლავ დაბრუნებაზე** (ინტერვიუ) – 27
მირიამ რეიესი – ლექსები – 29

## პოეზია

პაატა ნაცვლიშვილი – არია უპირატესთა ანუ ასერთი პაატაური – 34
ია ჯინჭარაძე – 40
ქეთი გზირიშვილი – 42
ნინი ელიაშვილი – 45
გურანდა გერია – ციკლიდან „მამაკაცის თვალები" – 47

## პროზა

ცოტნე ავსაჯანიშვილი – მამაჩემი მომკლავს – 52
მანანა მენაბდე – ოცნება – 60
კობა ცხაკაია – ჭუჭრუტანა – 61

## კრიტიკა; ესეისტიკა

დავით ჩიხლაძე – მსსრ, მზიური წალკოტი და
დავილონის აბსტრაქციონიზმი – 63

ლევან გელაშვილი – არჩილ ქიქოძის
კინემატოგრაფიული თვალი – 72

## ინტერვიუ

ზაზა კოშკაძე – ტაიო და მისი ისტორია – 75

## ახალი თარგმანები

**ლექსები კინოფილმიდან „ბედის ირონია ანუ გაამოთ“**
(რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა) – 77

4 5 6

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ზურა ჯიშკარიანი
ირაკლი მენთეშაშვილი
ნინი ელიაშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
ია ჯინჭარაძე
ქეთი გზირიშვილი
ცოტნე ავსაჯანიშვილი
მანანა მენაბდე
კობა ცხაკაია
დავით ჩიხლაძე
ლევან გელაშვილი
ზაზა კოშკაძე
ვასილ გულეური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

## ზურა ჯიშკარიანი – ნანგრევებზე მოცეკვავე

*ელისო მეტრეველი*

„სალეჭი განთიადები Sugar Free" ზურა ჯიშკარიანის პირველი რომანია. 2018 წელს "სალეჭი განთიადები" ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული გახდა. ამავე წელს მიიღო „საბაც” ნომინაციაში საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი.

წერენ, რომ „სალეჭი განთიადები" კიბერპანკის ჟანრს განეკუთვნება. კიბერპანკი – სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრი, სადაც ასახულია კაცობრიობის კულტურის ვარდნა ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე კომპიუტერების ეპოქაში, ამბობს ვიკიპედია. კი, „სალეჭი განთიადები", ალბათ, კიბერპანკიც არის, თუმცა კიდევ ბევრი რამეა მთელი ამ ფენტეზითა და სამყაროს ფუტურისტული ვერსიებით, პარალელური რეალობებით და დოკუმენტურობით, ისტორიული პერსონაჟებით და იუმორით. ვერც ზურა ჯიშკარიანის ბლოგები ეტევა ჟანრის საზღვრებში, ის ხან პროზაა და ხან პოეზია, ხან კი ნამდვილი ამბები ბოლო წლების საქართველოზე, სხვადასხვა მიკროსაზოგადოებასა და სუბკულტურებზე, ომებსა თუ რევოლუციებზე, ოთხმოცდაათიან წლებზე, რომლებსაც ერთი ამოსუნთქვით კითხულობ, იმის მიუხედავად, შენც გამოიარე თუ არა ეს ყველაფერი. კიდევ არასოდეს დავიჯერებ, რომ ალტერნატიულ სამყაროებსა და კოსმოსურ კოლონიებზე, ტრანსცენდენტალურ გამოცდილებებსა და ცნობიერების ცვლილებებზე ფილიპ კ. დიკმა, ჯეიმზ ბალარდმა და კიდევ



რამდენიმემ უკვე ყველაფერი თქვეს. „სალეჭი განთიადები Sugar Free" ამის საწინააღმდეგო არგუმენტია – საინტერესო, ორიგინალური და მაღალი სინჯის არგუმენტი.

ზურა ჯიშკარიანი თანამშრომლობს სხვადასხვა მედიასთან და წერს ბლოგებს. კითხულობს ლექციებს და აკეთებს გადაცემებს მომავლის სამყაროებსა თუ ტექნოლოგიურ სასწაულებზე. აქვს სტარტაპი, სადაც ჩეთბოტებს ქმნიან. თუმცა დღეს მის საქმესა და ცხოვრებაში ყველაზე მეტი მაინც ტექსტები და მუსიკაა. ადრე მონაწილეობდა პროექტებში Mona Liza Overdrive, Eva da Accidental Lover Boyz. 2007 წლიდან იყო პოპ-ელექტრო ჯგუფ Kung Fu Junkie-ს წევრი. 2016 წლიდან არის ჰიპ-ჰოპის შემსრულებელ დუეტ KayaKata-ში. დღეს ათიათასობით, ასიათასობით ნახვა აქვს „კუნფუ ჯანქისა" და „კაიაკატას" ვიდეოებს იუტუბზე.



საქართველოს პარლამენტის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

***„საღეჭი განთიადები SUGAR FREE":*** „ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ცეკვამ შეიძლება ასეთ ექსტაზში შეგიყვანოს. ყველაფერი თითქოს გაქრა ჩვენი მოძრაობის გარდა და ეს მოძრაობები ისეთი სწორი იყო, ისეთი ელასტიკური, რომ გამიჩნდა შეგრძნება, თითქოს მე და ეს ჰოლოგრამა – ორივენი ნამდვილი შივა ვართ, რომელიც ცეკვავს და ასე ქმნის და ანგრევს სამყაროებს..."

## „კუნფუ ჯანქი", „კაიაკატა" და "საღეჭი განთიადები უშაქროდ"

*ზურა ჯიშკარიანი ხშირად ლაპარაკობს კონვერტაციაზე – ემოციების, ამბების, თავგადასავლების კონვერტირებაზე სიტყვაში, ტექნოლოგიებში და თუნდაც მუსიკაში. ზურა აფხაზეთიდან დევნილია. სოხუმიდან რომ წამოვიდნენ, ფოთში ცხოვრობდნენ. იქ ნახა პირველად ელექტროგიტარა. მერე იყო თბილისი და პირველი პანკჯგუფები, ინსტრუმენტების და სარეპეტიციო ადგილების გარეშე. მერე გაჩნდა „კუნფუ ჯანქი", რომელშიც სხვადასხვა დროს იყვნენ ზომბი (ზურა ჯიშკარიანი), გრინჩი (თაზო ლიპარტელიანი), ფარჩილა (ბექა ქალდანი), ამიკო (ამირან ნინუა), Vinda Folio (თემურ ეზუგბაია), მაქს მაჩაიძე, ანანო სიხარულიძე, ნანუკა ნაცვლიშვილი, გიორგი გეწაძე, ილიკო ლოლობერიძე. კუნფუდან ბევრი მუსიკალური პროექტი ამოიზარდა: გრინჩს ქონდა დამოუკიდებელი პროექტები და ხშირად უკრავდა დიჯეი სეტებს, ფარჩილა უკრავდა უამრავ ქართულ ბენდში (Vietnam Radio, „ტელესკოპი", „ამორალი" – იგივე „წერილი" და ა.შ.), ანანომ შექმნა პოპულარული ქართული ელექტრო დუეტი "SvanSikh", ნანუკა თავისი სახელით უკრავს, ილიკომ ევროპაში გააგრძელა პროფესიონალური მუსიკალური კარიერა და ა.შ.)*

*ამბობს, იმ დროს მთელი სამყაროს დანგრევა, ამოყირავება გვინდოდა და როკ-მუსიკა, პანკური მუსიკა ყველაზე ახლოს იდგა მაშინდელ ჩვენს შინაგან ინსტინქტებთანო. მისი აზრით, ეს ამოყირავებაც ცუდი არ არის – ორჯერ ამოყირავების შემდეგ ისევ ფეხზე დგახარ...*

დავდიოდით სხვადასხვა კონცერტზე. ინსტრუმენტებიც კი არ გვქონდა, არც არავინ გვეპატიჟებოდა. ავდიოდით სცენაზე და ვეუბნებოდით, ჩვენ ახლა უნდა დავუკრათ, გიტარას გვათხოვებთ? ძალით ვუკრავდით, თან ვრეპეტიციობდით. მერე „კუნფუ ჯანქი" დავიწყეთ მე, გრინჩმა და ფარჩილამ. თითქოს ეს მუსიკა გამოხატავდა მთელ ჩვენს ტკივილს, სურვილებს. გვინდოდა ანარქია, რომელიც იმ ყველაფერს დაანგრევდა, შეცვლიდა და რაღაც ახალი დადგებოდა. მერე აღმოვაჩინეთ, რომ არავინ არ ცეკვავდა ამ პანკ-კონცერტებზე. ინსტინქტურად მივხვდით, რომ ცეკვა არის თვითგამოხატვის საშუალება, ერთ-ერთი უდიდესი მაგიური ფორმა, როგორც ლიტერატურა და როგორც მუსიკა და თან მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ცეკვავ. თუ მოძრაობ, უკვე რაღაცას ჰყვები, სხეული ლაპარაკობს, ცეკვავ და შეგიძლია რაღაცები გაუშვა შენიდან. ჩვენ, ყველას რაღაც ფსიქიკური დეფექტები გვქონდა, Kung Fu Junkie-ის პირველ სასტავზე ვამბობ და ამან გაგვაერთიანა. ვიფიქრეთ, რომ რაკი არავის არ ეცეკვება ამ ქვეყანაში, მოდი, ჩვენ დავიწყოთ. ისე კი არა, მხოლოდ პარასკევ საღამოს სამუშაო კვირის მერე ოფლს რომ გამოუშვებ ხოლმე კლუბებში, არამედ ეს იყოს მუდმივი საკრალური ცეკვა, ეს იყოს შივას ცეკვა, რომელმაც არ იცოდა კალენდრის დღეები.



გრინჩისთან და Vinda Folio-სთან ერთად. ფოტო ხათუნა ხუციშვილის

***რომელიც ათავისუფლებს?***

გარკვეულ მენტალურ სტრუქტურებს ათავისუფლებს, სხვებს კი ანგრევს! და რაკი ისედაც ამ ნანგრევებზე ვართ, სხვა რა დაგვრჩა, ვიცეკვოთ. ვიცეკვოთ, რაკი არავინ არაფერი აგვიხსნა თავის დროზე და არაფერი გვასწავლა. ომნაგებული მამების ნახევარი გალოთებულია, განარკომანებული, დედები სასოწარკვეთილი, ვერავის ვერაფერს ჰკითხავ, შენ თვითონ უნდა გაარკვიო, რა ხდება სამყაროში. აღმოაჩენ, რომ რაღაც რუინებში ცხოვრობ და არის მამების გზა და მეორე – რუინებში ცეკვის. ეს იყო „კუნფუ ჯანქი". ახლა რომ ვაკეთებ რეფლექსიებს, ვფიქრობ, რომ იყო ამაში ანარქისტული აგრესია, შიგნიდან გნოსტიციზმის პოტენციალით – გარემოებების ციხიდან გაღწევის, გასვლის მცდელობით. მოდი, „ხალხი მოვატყუოთ", ვუთხრათ, რომ საცეკვაოდ გეძახით, უბრალოდ,

გავერთობით. სინამდვილეში ეს იყოს დამანგრეველი ან განმათავისუფლებელი ცეკვა. ასე დაიბადა ჩვენი სლოგანიც: „იცეკვე ან მოკვდი“ – Dance or Die. მართლა მხოლოდ ეს არჩევანი იყო: ან უნდა მომკვდარიყავი ფიზიკურად, სულიერად, მორალურად ან თავდავიწყებით გეცეკვა და ხალხმა დაიწყო მოსვლა. მახსოვს, როგორი „განწირული ცეკვა“ იყო იმ ლაივებზე. შარშან „ბასიანის“ აქციების დროს რომ ცეკვავდნენ, ასეთი ცეკვის იმპულსი პირველად „კუნფუ ჯანქის“ დროს გაჩნდა, მაშინ დაიწყო. არ მომერიდება იმის თქმა.

***დიდია განსხვავება „კუნფუ ჯანქსა“ და „კაიაკატას“ შორის?***

KayaKata-ში მაქს მაჩაიძესთან ერთად ვარ. აქ აქცენტი უფრო სიტყვებზეა, სიტყვა შეიძლება იყოს დიდი მუსიკაც. ჩვენ გვაქვს დიდი პოეზია. აღმოჩნდა, რომ ქართული ენა შეიძლება იყოს ძალიან მუსიკალური. მსოფლიოში ყველაზე ცნობილია ამერიკული ჰიპ-ჰოპი, ამერიკულის შემდეგ ფრანგული. ფრანგული ენა არ იციან, მაგრამ ბევრი უსმენს მუსიკალურობის გამო, ემოციებს ხვდებიან. ჩვენი ერთ-ერთი მიზანიც ესაა, რომ სიტყვები ისე დავალაგოთ, რომ ქართული ენის მუსიკალურობა ჩანდეს და მსმენელმა ემოცია დაიჭიროს, იგრძნოს იმის მიუხედავად, იცის თუ არა ქართული. ახლა ალბომზე ვმუშაობთ. პირველად არის ჩემს ცხოვრებაში, რომ 6 თვეზე მეტი რაღაც პროექტზე გადაბმულად ვმუშაობ. საინტერესო ფორმა მოვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ წიგნის თავებივით გავაკეთოთ, მაგალითად, ერთ თავში ხუთი ტრეკი შევა, მეორეში მეტი ან ნაკლები. ცოტა სხვანაირი სთორითელინგი რომ იყოს, იქნება ერთი ალბომი 12 თუ 10 თავით. ვიტყვით, რომ ეს არის ერთი წიგნი, ერთი ალბომი.

***ნამდვილ წიგნთან როგორ მიხვედი, როდის მოვიდა ტექსტი – შენი ტექსტები, სხვისი ტექსტები?***

პირდაპირ ჩემი ტექსტები მოვიდა. პატარა რომ ვიყავი თორმეტფურცლიან რვეულებში ვწერდი „რომანებს“. ძირითადად რომანებს კოსმოსზე. მახსოვს, ჩემი პირველი წაკითხული წიგნი იყო ნახატებიანი, საბავშვო, ადაპტირებული ბიბლია რუსულ ენაზე. პირველ გვერდზე ეხატა დედამიწა კოსმოსში. ეს იყო ინსპირაცია დიდი წარმოსახვისთვის, მედიტაციისთვის – აი, ამხელა სამყაროში, ამ პლანეტაზე ვართ. ერთ ჩემს „რომანს“ ერქვა „მთვარე“, ვწერდი სამ ტომად. თითო ტომი თითო თორმეტფურცლიანი რვეული იყო. კიდევ მქონდა „ძლევამოსილი მარსი და სასტიკი პლუტონი“. საიდან მოვიტანე, არ ვიცი. კიდევ იყო ერთი სოხუმზე. რატომ დავიწყე წერა, არ მახსოვს, ვიღაცამ მითხრა, რომ უნდა მეწერა თუ მე მოვიფიქრე, არ ვიცი. მერე აღმოვაჩინე, რომ ამ სიტყვებს რაღაცნაირი მაგია აქვს. სიტყვები არის მთავარი. ბეროუზს მიაჩნდა, რომ ეს ვირუსია, რომელიც მხოლოდ ადამიანის სახეობას დაემართა, ატიპური ვირუსი. როცა საქმე მიდგება ტექსტამდე, იქ ადამიანს ვერ ხედავ, იქ არის მარტო სიტყვები, ამიტომ თუ სიტყვებს ისე ალაგებენ, რომ ემოცია მოაქვს, ეს ჯადოქრობაა. ბევრჯერ დამხმარებია კარგი წიგნი, ტკივილი გამქრალა, თითქოს აფთიაქში წამალი გეყიდოს და დაგელიოს. ისეთი წიგნებიც ყოფილა, პირიქით – ყველაფერი რომ ამოუყირავებია.

***გახსოვს ეს წიგნები?***

ორი განსაკუთრებით მახსოვს. პირველი იყო ტიმოთი ლირის „ღმერთის შვიდი ენა“. რატომღაც ერთმა ბუკინისტმა გადაწყვიტა, რომ მაინცდამაინც ეს წიგნი ჩამოეტანა თბილისში. ვიყიდე, წავიკითხე და ეს იყო წარმოუდგენლად შთამბეჭდავი. 19 წლის ვიყავი და ოპტიმიზმის უზარმაზარი დოზა მივიღე. მერე იყო ალბერ კამიუს „მეამბოხე“ და ეს იყო აბსოლუტური პესიმიზმი და დაცემა. თან ყველაფერი ხომ მაინც ჰაერიდან არ ხდება, რაღაცები ემთხვევა, არის გარემოება და ჩნდება სიტყვების რაღაც ნაკრები. ზუსტ დროს ზუსტ ადგილას ჩვეულებრივი მოვლენებიც კი უჩვეულოა, ხოლმე. იყო კონკრეტული დრო, გარემოება და ამ წიგნებს ჰქონდა ეფექტი, როგორც ძლიერ ნარკოტიკს, როგორც ტყვიის გასროლას.

***„სალეჭ განთიადებამდე“ როგორ მიხვედი?***

ისედაც ბევრს ვწერდი, ბლოგებს, სხვა ტექსტებს. 2012 წელი იყო, ცოტა უცნაური პერიოდი. გაჩნდა სინთეტიკური, ფსიქოდელიური ნივთიერებები. მაშინ მომინდა იმის თქმა, რომ რეალური, მატერიალური სამყაროს გარდა, რომელშიც ვარსებობთ, არის ბევრი სხვა სამყაროც, რომლებიც შესაძლოა რეალურად არ არსებობენ, მაგრამ ზოგჯერ ჩვენს ტვინებში ჩნდებიან... და არის წარსული. ეს არსად არ მითქვამს, მარტო მეგობრებმა იციან. მე მაქვს ორი ფსიქიკური დეფექტი: ერთი ეს არის პოსტტრავმული სტრესი და კიდევ ერთი, რომელზეც არ მინდა საჯაროდ საუბარი. გახსენება ჩემთვის ძალიან რთულია. იცი, გახსენება იქ ყოფნაა, იმიტომ რომ შეიძლება ნებისმიერმა რამემ დამატრიგეროს და „ჩამაბრუნოს“. მეორე მხრივ, კიდევ შეიძლება, გაიხსენო რაღაც ამბავი და ვიღაცის ინკრიმინირება მოხდეს. რთულია. დავიწყე წერა, მაგრამ მერე დავანებე თავი, როგორც ბევრ ჩემს კარგ პროექტს. როცა გამომცემლობამ შემომთავაზა წიგნის დაწერა, გამახსენდა, რომ ეს ტექსტი არსებობს, დაწყებული მაქვს. დავამთავრე 2017-ში. თუმცა ეს ტექსტი 2012-დან 2017-მდე შეიცვალა, უფრო ცინიკური გამოვიდა. 2017-ში მე უფრო დაღლილი და პესიმისტი ადამიანი ვიყავი, ბევრი რაღაც მოხდა. ჩემი ფსიქიკური დეფექტებიც უფრო გამყარდა და ამ ყველაფერს დაემატა გრინჩის თვითმკვლელობაც.

***ბევრი ზურა ჯიშკარიანია „სალეჭ განთიადებში“?***

90% მე ვარ ამ წიგნში, არა, 80, ან სულ მე ვარ ან საერთოდ არ ვარ და იმ ხალხის კრებულია ვინც კი შემხვედრია, იმ გაგებით, რომ ყველა ერთმანეთი ვართ. რაღაც საერთო ნაწილებით და ძირით. აი, თესლს რომ დათე-

სავ და ზოგი ხრიოკზე მოხვდება, ზოგი კარგ ადგილას. ეს არის სულ, რაც განგვასხვავებს. „მეს“, ამ სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც, თუნდაც ახლა ინტერვიუს გაძლევს და ცდილობს იყოს თავისუფალი, გულწრფელი და მწერალი, ამავე დროს უნდა, არ იყოს მხოლოდ ერთ როლში. ცოტა სასაცილოა ამ დროში და ამ სამყაროში ერთ რაღაცას მიეჯაჭვო. ღია ვარ, ღია უნდა ვიყო. ერთ კარს ყოველთვის ღიას ვტოვებ. ამ „მეს“, რომელსაც თავისი ისტორია აქვს, თავისი ცალკეული სტრუქტურა და რომელსაც ჰქვია „ზურა ჯიშკარიანი“, აქვს შიგნით მეორე, სხვა რაღაც, აბსოლუტური სიცარიელე, სიცარიელე კარგი გაგებით, ბუდისტური გაგებით, რომლისთვისაც „ზურა ჯიშკარიანი“ ერთ-ერთი მორიგი უმნიშვნელო სიზმარია გამოღვიძებამდე.

*რას მიყავხარ ტექსტთან, როგორია ის დრო, როცა ტექსტებზე მუშაობ?*

ეს შეიძლება იყოს რაღაც გაგონილი ფრაზა. ძლივს შევეჩვიე, რომ ტელეფონში ჩავიწერო ხოლმე. ზოგი ფრაზა ისეთია, რომ სულ სხვა ფრაქტალში გაგდებს. ამოიღებ ბუნებრივი კონტექსტიდან და შეიძლება ამ მარტივ ფრაზაში მთელი სამყაროს საიდუმლო იპოვო და ჩაყვინთო იქ – ეს ერთი. კიდევ მაშინ, როცა პანიკური შეტევები და რთული პერიოდები მოდის. ერთხელ მოველაპარაკე ჩემს შინაგან ბავშვს, ჩემს პატარა დემონებს, მოდი, ასე მოულოდნელად ნუ მოხვალთ, ნუ გამანადგურებთ და თქვენ გამოსაკვებად დავწერ. ძირითადად იკვებებიან ჩემი ნეგატიური ემოციებით და მაგას რომ მივხვდი, შევპირდი, დავწერ თქვენთვის და, როცა ვგრძნობ, რომ რთული პერიოდი იწყება, წერას ვიწყებ. ზოგჯერ ამ ტექსტებიდანაც იბადება რაღაც. გულწრფელი რომ ვიყო, შეჩვეული ვიყავი არაფხიზელ მდგომარეობაში წერას. მერე გამოვფხიზლდი და ახლა ვსწავლობ ფხიზლად არამარტო წერას, არამედ ცხოვრებასაც. ყველა სქილი, დაწყებული ადამიანთან უბრალო საუბრით, სტრესის ქვეშ მიდიოდა. რომ გამოვფხიზლდი, აღმოვაჩინე, რაღაცები თავიდან უნდა ვისწავლო. ესეც თავისებური ფსიქოდელიური გამოცდილებაა. საინტერესოა, მაგრამ დრო მიაქვს. ამ დროს დაწერილი კიდევ უფრო სხვანაირი გამოვიდა. ყველაზე მეტად მელანქოლიური შეგრძნების დროს ვწერ. საერთოდ, ემოციას მივყავარ ტექსტთან, თუმცა არა ბედნიერების დროს. ასეთ დროს მინდა, ბოლომდე დავტკბე ამ ბედნიერებით და მორჩა.

*წელს გამოვა „კაიაკატას“ ალბომი. წიგნი? ახალი წიგნიც ხომ არ იქნება?*

ალბომი – კი, რაც შეეხება წიგნს, რამდენიმე ტექსტზე ერთდროულად ვმუშაობ. ვწერ „სალეჭი განთიადების“ პრიქველს და სიქველს, რომლებიც მინდა, ერთ წიგნად გამოვიდეს. ანუ ორი ამბავი იქნება – რა ხდებოდა გაცილებით ადრე წიგნში აღწერილ მოვლენებამდე და ასევე რა ხდება დაახლოებით 200 წლის შემდეგ. ეს ორი დრო გაერთიანდება იმავე თემაში, რეალობის განადგურების თემაში. სხვა ნიუანსებიცაა, დანარჩენს ჯერ არ ვიტყვი. ვნახოთ, როგორი გამოვა, როგორ წაიღებს. არის კიდევ ერთი ტექსტი, რომლის წერაც, უბრალოდ, მსიამოვნებს. არაფერთან კავშირი არ აქვს, რაზეც ვილაპარაკე. და კიდევ არის ტექსტი, ჩემი დემონებისთვის რომ ვწერ. ხომ არის ეგვიპტური „მიცვალებულთა წიგნი“, ტიბეტური „მკვდრების წიგნი“ და ეს იქნება ქართული „მკვდრების წიგნი“ – Georgian Book of the Dead. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი ახალი მითოლოგია, ყველაფრის გასაღები მაინც არის მითოლოგიურ და არქეტიპულ აზროვნებაში. თუ შევქმნით ან დავაჯდებით უძველეს ქართულ და საკაცობრიო არქეტიპებს და ამაზე ავაშენებთ ახალს, ბევრ რამეს შევცვლით და გავაერთიანებთ. აქაც ვნახოთ, რა გამომივა.

***„სალეჭი განთიადები SUGAR FREE“:*** „ციდან ჩამოდიოდა იესო ქრისტე, ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე დერვიშებთან ერთად ცეკვავდნენ კრიშნა და შივა, ატომური მიკროაფეთქებები ანათებდნენ შიგადაშიგ ქალაქის ჰორიზონტებს. ყველაფერი ეს უამრავ სინთეტიკურ ჰალუცინოგენთან შერწყმაში – წარმოუდგენელ ხილვებში აგდებდა დღესასწაულში მონაწილე ხალხს...“

## გეტოს მხარე და ფლეშბექები დემონებისთვის

***ახელ თვალს. აღარ არის სახელმწიფო, არაფერი აღარ არის. არიან მშობლები, რომლებმაც უბრალოდ არ იციან, როგორ უნდა იცხოვრონ ამ ნანგრევებში, როგორ იყვნენ პასუხისმგებელი შვილებზე. და ეს შვილები იზრდებიან აბსოლუტურ ჯუნგლებში, სრულ უპერსპექტივობაში, უიმედობაში, გაურკვევლობაში***



***და სტრესში... და გეტოებში. ხელმისაწვდომია ის, რაც ყველაფრისგან გათავისუფლებს და აღარაფერზე ფიქრობ და იწყება ადიქცია, ბავშვობიდან ხდები დამოკიდებული და ეს გრძელდება ფაქტობრივად მთელი ცხოვრება. ადრე ზურა ჯიშკარიანი ხშირად ახსენებდა გეტოს, ლაპარაკობდა ინტერვიუებში, წერდა ბლოგებს, ბევრნაირი გეტოა მის წიგნშიც. არასოდეს უფიქრია გეტოს რომანტიზება, რადგან გეტოებში რომანტიკულობის ადგილი არ არის.***

ჰო, ეს ყველაზე სევდიანი ნაწილია ჩემთვის, იმიტომ, რომ, როცა ვამბობდი „გეტოს", მართლა გეტოს ვგულისხმობდი. ახლა თითქოს მოდური სიტყვაა. იმ დღეს შემხვდა ადამიანი და მითხრა, „ვაკის გეტოებში ვიზრდებოდი". ოკ. არ ვიცი, ეს რა არის იმასთან შედარებით, მე გეტოში რასაც ვგულისხმობ. ჩემთვის გეტო არის დიდი ტკივილი და დიდი გამოცდილებაც. იქ ადამიანების კითხვას სწავლობ, სიტუაციების კითხვას. მანდ გადარჩენა, არგაბოროტება ძნელია. პატარა ხარ. გინდა, რომ სამყარო სხვანაირი იყოს და არ არის, ვერ არის. გარშემო იყურები, ყველაფერი დანგრეულია, ყველა ცუდად არის. ჩემთვის ეგ არის გეტოს მხარე. არანაირი დისრესპექტი არც საბურთალოს და არც ვაკეს, მაგრამ „საბურთალოს გეტოში გავიზარდე" და „ვაკის გეტოში გავიზარდე" ჩემთვის დევალვაციაა ამ სიტყვის და იმ ხალხის დავიწყებაც, ვინც ახლა ჯერ კიდევ გეტოში ცხოვრობს. შენ მოდიხარ კარგი მანქანით, სიმდიდრიდან, კარგ ოჯახში გაზრდილი და, უბრალოდ, ცოტა ხანს ფული არ გქონდა, იმიტომ, რომ იმ დროს მთელ ქვეყანას არ ჰქონდა ფული და საჭმელი – ეს არ ნიშნავს, რომ გეტოში გაიზარდე. არ ვაპირებ ამის გამო ვიღაცებს ვედავო, უბრალოდ, გადავწყვიტე, საერთოდ აღარ ვახსენო „გეტო".

***ომი გახსოვს?***

სოხუმში დავიბადე და სადღაც შვიდი-რვა წლის ასაკში წამოვედით იქიდან, მერე ფოთში ვცხოვრობდით. მე იმდენად სოხუმი არ მახსოვს. მერე თითქოს ეს ომები დამთავრდა და დაიწყო რაღაც ზასტოის პერიოდი. მაგ დროს გოგოებისთვის არ ვიცი, როგორ იყო, მაგრამ ბიჭებისთვის ომი გაგრძელდა. სახლში არ დამთავრდა, სულ მოლოდინი იყო, ან დაბრუნების ან რაღაც ცვლილების. ტრავმირებული მშობლები... მესმის მაგათი, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რა ხდებოდა ჩვენ მხარეს, ბავშვებთან, როცა არ არსებობს სახელმწიფო, როცა პოლიციელს ყველაფრის უფლება აქვს. მილიონჯერ ვუცემივართ მეც, ჩემი მეგობრებიც, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო მაშინ. ახლა რომ ვუყურებ, შემზარავია. ამდენი ქუჩაში გამოყრილი ორანგუტანგის გენის მატარებელი კაცი საქმის გარეშე, მიზნის გარეშე და პლუს ყველას აქვს წაგებული ომის კომპლექსი. ომი ვერ მოიგეს, მაგრამ ყველას რაღაცის დამტკიცება უნდა ან უბრალოდ ფულის შოვნა. მე ამას ვეძახი, „მეოთხე ომს". იმ წლებში, ყოველდღე ქუჩაში რომ გამოვდიოდი, ვიცოდი, რომ უნდა მეჩხუბა ან ჩხუბს შევსწრებოდი. უცებ გადიხარ დელფინი და ბევრ ზვიგენში გიწევს სიარული, მანიპულირება.

***როგორ გადარჩი, რამ გადაგარჩინა?***

ეს ძალიან საინტერესო თემაა, სიმართლე რომ გითხრა, მე თვითონაც არ ვიცი. ხანდახან რომ დავფიქრდები, რაც გარშემო ხდებოდა, რაც ოჯახში ხდებოდა, რაც ოჯახს გარეთ ხდებოდა, რაც ქუჩაში ხდებოდა, არანაირი ლოგიკით მე არ უნდა გადავრჩენილიყავი. ალბათ, სადღაც ჩემშიც იყო ცოტა სისასტიკე, რომელსაც ფარად ვიფარებდი. სახლში თუ წიგნებს ვკითხულობდი, გარეთ რომ გამოვდიოდი და რამე თუ ხდებოდა, შემეძლო, ბოლომდე სასტიკი ვყოფილიყავი. შეიძლება, ამ რაღაცამ გადამარჩინა. ახლა რომ მკითხე, ახლა დავფიქრდი, არ ვიცი.

***„ვინ" თუ იყო? ადამიანი თუ იყო ამ გადარჩენის პროცესში?***

შიგადაშიგ. ზოგჯერ ვიღაც, თვითონაც რომ არ იცის, ისე, თავის ცხოვრების გზაზე მიდის, მაგალითად, a წერტილიდან b წერტილამდე და სადღაც გადაიკვეთები, შეიძლება რამე გითხრას, ან უბრალოდ გვერდით ამოგიდგეს და გადაგარჩინოს, ეს არის შენი პირადი ანგელოზი, ისე რომ, შეიძლება, თვითონაც არ იცოდეს. ალბათ, ასეთი ადამიანები იყვნენ ოჯახშიც, სხვაგანაც, ის ხალხი, ვისთანაც ბავშვობაში ვახლობლობდი. ძირითადად მაინც მარტო ხარ. არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს ვამბობდე, ვაიმე, ეს რა გამოვიარე. ნახევარმა საქართველომ გამოიარა ეს. ჩემი ასაკის ნებისმიერ ადამიანს რომ ჰკითხო, ვინც სახლში არ იჯდა და გარეთ გამოდიოდა, ეს ყველაფერი გამოიარა. ჩემს შემთხვევაში ემატებოდა ის, რომ მთელი ჩემი სანათესაო, წინაპრები ჩართული იყვნენ გარკვეულ კრიმინალური სუბკულტურაში, „ქურდულს" რომ ეძახიან. ყველა იყო კრიმინალური სამყაროს წევრი, მთელი 4-5 თაობა ასეთი იყო. ვამბობ ხოლმე, ალბათ გენმა ჩემზე დაისვენა, რადგანაც სცენაზე გამოვედი. მაგათთვის ეს წარმოუდგენელი იყო. ზოგი 15-15 წლით იჯდა ციხეებში. გარჩევები, მკვლელობები. დიდი ბაბუა იყო გულაგის „სუჩია ვოინას" მონაწილე, უბრალო მონაწილე კი არა, შემსრულებელი. მაშინ ორი ბანაკი ხოცავდა ერთმანეთს იმის გამო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქურდული სამყარო. პირდაპირ კლავდნენ, ახრჩობდნენ, ხელებს აჭრიდნენ. ამ ამბებს ბავშვობიდან მიყვებოდნენ. რომ დავფიქრდი, კი, ჰქონდა ძალა, ნებისყოფა, მაგრამ ფაქტებს თუ ავიღებთ, ჩვეულებრივი მასობრივი მკვლელი იყო, ასამდე ადამიანი ჰყავდა მოკლული. როცა ამ ხალხის მემკვიდრე ხარ, წესით, ინერციით მიდიხარ. ერთ-ერთი ადამიანი, ვინც თავისი „ანგელოზური" როლი შეასრულა, მამაჩემია. პირველი ადამიანი იყო, რომელმაც დამანახა სიმართლე, არადა, მაშინ ძალიან რომანტიზებული იყო ეს

ყველაფერი და სხვა გზაც არ იყო ჩვენისთანა ღარიბებისთვის და დევნილებისთვის.

***დამთავრდა გეტო? გამოხვედი?***

იცი, გეტოდან გამოსვლა როგორი რამეა? გეტო თავიდან იყო ფიზიკური ადგილი, მერე გახდა მენტალური. ფიზიკურადაც ბოლომდე ვერ გამოვედი – ვერც მე და ვერც დევნილების დიდი ნაწილი. შეიძლება, უმრავლესობა ცოტა უკეთესად ცხოვრობს, მაგრამ ეს ყველაფერი არსად წასულა. 20 წელი გავიდა, 25, 30 და უცებ შეიძლება გათენდეს დღე, როცა ისევ პურის ფულზე უნდა იჩალიჩო. უცებ ვიღაც დაგადგება პაბეგიდან და ფიქრობ, ეს ხო არ არის 97 წელი, 98? როგორ შეიძლება იგივე ხდებოდეს? ყველაზე რთული მაინც ტვინით გამოსვლაა, აი, აქ, შიგნით არის რაღაც. აქედან გამოსვლაა ყველაზე რთული, თორემ ფიზიკურად შეიძლება გამოხვიდე, დასაქმდე და სადღაც, ზევით, ბიძინას გვერდითაც დაიდგა აპარტამენტი. ვიღაცამ თქვა, შეიძლება ადამიანი გამოიყვანო გეტოდან, მაგრამ ვერ გამოიყვან გეტოს ადამიანიდან. და არც დრომ და ქვეყანამ მისცა ამ ხალხს გეტოების დატოვების საშუალება. თუმცა ახლა პატარა თაობას რომ ვუყურებ, ვხედავ რაღაც გამონათებებს, სხვანაირად აზროვნებენ, სხვა პირობებში გაიზარდნენ და ის ფსიქოლოგიური ბარიერები არ აქვთ, რომლებიც ჩვენ ჩაგვიინსტალირდა.

***ახლა რომ ამ თაობის იყო, ამათი ტოლი, ახლა რომ იწყებდე, წარმოგიდგენია?***

ჩემთვის სულ არის ორი რაღაც: გაქცევის მუდმივი სურვილი და კიდევ ერთი: როცა ძალიან ბევრი ვეწუწუნე ჩემს თავს, შეიძლება ასე ყოფილიყო, ისე ყოფილიყო, რატომ არ გამოვიდა, ბლა-ბლა, მივხვდი, რაც მოხდა, ამ ყველაფერმა მომიყვანა აქამდე, ამან ჩამომაყალიბა იმად, რაც ვარ. ეს არის „ამორ ფატი", ბედისწერის სიყვარული, რასაც ეძახდნენ ძველი ბერძნები. იღებ ამ ყველაფერს და ამბობ, კარგი, ამან ამდენი ზიანი მომაყენა, მაგრამ ამის გარეშე მე ეს არ ვიქნებოდი. ამიტომ არ მინდა სხვა ვიყო. უკვე ვცდილობ გეტოზე, ჩემს თავზე არ ვილაპარაკო. როცა რაღაც სფეროებში რადიკალურად იხსნები გრძნობ, რომ სხვებს უჩნდებათ შეგრძნება, თითქოს უკვე გიცნობენ, თითქოს შენი პირადი ისტორია იციან. მაგრამ ამის გარდა კიდევ ათასი რამ ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემს თავში; ტკივილის გარდა უამრავი სიამოვნება იყო ჩემს ცხოვრებაში. მაგ კუთხით რომ შევხედო, შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრ ადამიანზე მეტი სიამოვნება მაქვს მიღებული და განცდილი. ეს მომენტიც არის, ხვდები, სიხარულის და სიამოვნების მომენტებიც. და საიდუმლოებებიც, რომლებსაც თან წაიღებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***ხშირად ბრუნდება ხოლმე ის დრო, გეტოს დრო? ახერხებ ამ ფლეშბექებისგან თავის დაცვას?***

მეტ-ნაკლებად, გააჩნია, რამხელა ტალღაა. ზოგჯერ პატარაა და შეიძლება ფეხზე მდგომმა გაუძლო. ზოგჯერ იმხელაა, რომ შეგიძლია შეეწინააღმდეგო მედიტაციით, წერით, გამოკვეხო, როგორც ვთქვი, ის პატარა დემონები. ზოგჯერ იმდენად დიდი ტალღაა და ისე გირტყამს, რომ უბრალოდ, ფეხზე წამოდგომის შანსი არ გაქვს, სანამ არ გადაივლის. ასეთ დროს არავისთან ურთიერთობა არ გინდა. ამბობ, რომ ცუდად ხარ და ის გეუბნება, მეც ცუდად ვარო. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ვიღაცას რომ უთხრა, გუშინ გავიგე, რომ კიბო მაქვსო და იმან გიპასუხოს, კიბო ვის არ გვაქვსო. მეორე მხრივ ეს ფლეშბექები შეიძლება იყოს კარგი მომენტებიც. და საერთოდ, წარსულში არ ვარ ჩაძირული და მგონია, რომ ახლა უფრო კარგი რამეები ხდება და მომავალი კიდევ უკეთესი იქნება.

***„სალექი განთიადები SUGAR FREE":*** „ეს იყო ერთადერთი უფასო და მარადიული პრივილეგია, ღამის გასართობი ცენტრი ღარიბი უბნებისთვის – შორეული ლაზერების ციალი და მილიარდი ვარსკვლავით მოჭედილი ბნელი და ცივი ცა..."

## კიბერშამანის ავატარები და ურბანული მაგია

„კუნფუ ჯანქის" დროს „ზომბი" იყო, „კაიაკატაში" „დილაა", უკვე სულ „დილაა", კიდევ „სოხუმის თვითაღიარებული მერია". ადამიანს სხვადასხვა სოციალური როლი აქვს და სხვადასხვა ავატარი: ვიღაცისთვის ეს ხარ, ვიღაცისთვის ის. შეიძლება ვიღაც დარწმუნებული იყოს, რომ თავიდან ბოლომდე გიცნობს და შენც ხელს უწყობდე ამას, მაგრამ საბოლოოდ, როგორც თვითონ ამბობს, მაინც ვერავინ გიცნობს და რაც უფრო მეტი სახელი გაქვს, მით უფრო „არავინ ხარ". ფიქრობს, რომ სახელებსაც აქვს მაგია, ისტორია და კონოტაციები და როცა სახელს იცვლი, იცვლები შენც. და არის კიდევ აფხაზეთი, მის ავატარშიც და ბიოგრაფიაშიც – საკუთარ ქვეყანაში დევნილობის აბსურდითა და ძველი თუ მომავალი ომებისგან თავის დაღწევის მცდელობით.

„ზომბი" ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი. გრინჩის წასვლის მერე ძალიან რთული პერიოდი მქონდა. „ზომბი" ხომ ნიშნავს მოსიარულე მკვდარს და დაახლოებით მაგ მდგომარეობაში ვიყავი ფიზიკურადაც, ფსიქოლოგიურადაც. მერე ცოტა ხანს დავდიოდი ძალიან საინტერესო ფსიქოლოგთან. მან შემომთავაზა ერთი მაგიური აქტის ჩადენა, რომელსაც ბევრი ადამიანი ადრეც აკეთებდა, ძველ ეგვიპტეშიც, სხვაგანაც. მითხრა: საინტერესო იქნება, თუ სახელს შეიცვლი. თავიდან რთული იქნება, მაგრამ გამოგივა. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ეს ნამდვილი მაგია იყო. სახელის ცვლილებით სამყაროს ეუბნები, რომ „მე ვიცვლები", ხალხს ეუბნები ამას და პირველ რიგში საკუთარ თავს. ასე გახდა მოსიარულე მკვდარი „დილა". ცოტა რთული აღმოჩნდა შეჩვევა, მაგრამ ჩემი ტომის ხალხისთვის ეს გასაგები იყო, მისაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***2018 წელს, როცა ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული ჯილდო მიიღე, დაჯილდოებაზე მიხვედი მაისურით, რომელსაც ეხატა აფხაზეთის დროშა და ატყდა დიდი ამბავი. ელოდი ასეთ რეაქციას?***

სიმართლე გითხრა, არ ველოდი. მე მეგონა, ამდენი წლის განმავლობაში ხალხი ფიქრობდა ამ რაღაცაზე. აღმოჩნდა, რომ ამ ომის ანალიზი არ გაგვიკეთებია. ხომ შეიძლება ის მაინც ვთქვათ, რომ ეს იყო სამოქალაქო ომი, სხვა სახელმწიფოს ინიცირებული, იმ სხვამ შეგვაძულა ერთმანეთი, რომ ის სხვაა ჩვენი მტერი. სამოქალაქო ომი თბილისშიც იყო და შევრიგდით. ომის შვილი ვარ და ვიცი, რაც არის ომი. უნდა გადავლახოთ ეს და ამას ვამბობ მე, ადამიანი, რომელიც ამ ომმა დააზარალა და ისე დააზარალა, რომ ჩემი ცხოვრება ისევ მაგ ინერციით მიდის, ჯერ კიდევ ვერ ამოვედი, თან საკუთარ ქვეყანაში. ყველაზე მეტი სიგიჟე კიდე ეს არის. სხვაგან რომ ვიყო, ვიტყოდი, სხვა ადგილიდან მოვედი, კულტურების ქრეში მოხდა. მაგრამ ჩემს ქვეყანაში ამრეზით მეძახდნენ ლტოლვილს, მარტო მე კი არა, კიდევ 300 ათას კაცს. თუ იმას ვაწვებით, რომ ერთმანეთი გვჭირდება და საერთო სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება, იქნებ ეს ნაბიჯიც გადავდგათ და ვთქვათ, რომ მოდი, კონფედერაცია გავაკეთოთ, ან რამე სხვა. მთავარია, ეს ხალხი დაბრუნდეს უკან. ჩვენ არ ვიყოთ ერთმანეთის მტრები და ნამდვილ მტერს არ მივცეთ ჩვენით მანიპულირების საშუალება, რუსეთს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. ლიტერატურას რომ დავუბრუნდეთ, კაცობრიობის პირველ ეპოსს – გილგამეშში და ენქიდუ ერთმანეთის მტრები იყვნენ. ერთ დღესაც მოილაპარაკეს და მეგობრები გახდნენ, ძმაკაცები. ღმერთები, რომლებიც ხან ერთზე დებდნენ ფსონს, ხან მეორეზე – საერთოდ გაგიჟდნენ, როცა ეს „მტრები" გაერთიანდნენ და კიდევ უფრო დიდი ძალა და გახდნენ ღმერთებისთვის.

***როგორც მახსოვს, იყვნენ მხარდამჭერებიც, მაგრამ ეს მაინც მასობრივი აგრესია იყო. ძნელია ეს, „სამიზნედ" ყოფნა?***

პოლიტიკოსები, მწერლები, ვიღაცები საშინელი სიტყვებით მომიხსენიებდნენ, წერილებს მწერდნენ და მოღალატედ მაცხადებდნენ, სადღაც „სტრელებზე" მიბარებდნენ და ჩემი ძველი ინერციით ყველგან მივდიოდი და კაციშვილი არ მოდიოდა. ომის შვილი ვარ, მაგრამ რას მოგვიტანს კიდევ ერთი ომი? ვისაც ომი უნდა, ისევ სისხლისღვრა უნდა, ეს ხალხი ცუდი ხალხია. მაისურზე მეუბნებოდნენ, სადაც გნახავ, თავზე დაგახევთო, ამიტომ ავდექი და აფხაზური დროშის ტატუ გავიკეთე, ახლა კანის ახევა მოუნევთ. ვნახოთ, აბა. 7 ვარსკვლავია და ხელი. რეალური ახსნა იმდენად კარგი არ აქვს, შვიდი რეგიონს ნიშნავს, მაგრამ მე შემიძლია ასეც ავხსნა, რომ ეს არის ხელი, რომელიც მზის გალაქტიკაში შვიდ პლანეტას ესალმება. ჰაკიმ ბეის აქვს ნათქვამი, სიტყვები და შინაარსები იქამდე ეკუთვნის სხვა სტრუქტურებს და სხვა ადამიანებს, სანამ ამ სიტყვებს და შინაარსებს არ დაიბრუნებო. არის რაღაც სიტყვები და სიმბოლოები, რომლებიც უნდა დავიბრუნოთ, ტყვეობიდან დავიხსნათ.

***შეიძლება ვთქვათ, რომ ომი არ დამთავრებულა? თუმცა რაღაც ბრძოლები მოიგეთ ან წააგეთ შენმა თაობამ...***

შენმა თაობამ, ჩემმა თაობამ, კი, მაგრამ ომი არ დამთავრებულა. ყოველდღე, როცა ვიღვიძებ და როცა ვიძინებ, მაგას სულ ვგრძნობ, ამიტომ ვცდილობ, ეს ომიც სხვა სიბრტყეში გადავიტანო, უფრო ემპათიის, რაღაცის შექმნის. ახლა რასაც ვამბობ, სხვა ომის შვილმა რომ წაიკითხოს, შეიძლება თქვას, რომ ამას ომი არ უნახავს, სადღაც წავიდა, გამომტყდა. სინამდვილეში ამ ომის ღრმა გაანალიზებით იქამდე მიდიხარ, რომ შერიგებისკენ უნდა წახვიდე. მაგრამ თუ გვინდა, ისევ ისე ვიყოთ და 20-30 წლის წინ როგორც ვიძახდით, მტრები არიან და გენოციდი მოაწყვეს და აფხაზებიც ზუსტად ასე ამბობენ ჩვენზე, მაშინ კი ბატონო, გავაგრძელოთ. ომი ყველაზე მარტივია. უფრო ძლიერი მეომარი ხარ მაშინ, როცა ზუსტად იცი, რომ ომი შეგიძლია, მაგრამ ამას არ იზამ, სხვა გამოსავალს იპოვი.



***შენთვის იარაღია ლიტერატურა, მუსიკა. კიდევ რა არის შენი იარაღი და რა არის ის, რაც ამ თაობას სჭირდება ომში გასამარჯვებლად?***

ლაპარაკი, მაქსიმალური დიალოგი. მაქსიმალური მიღება სხვა, განსხვავებული ადამიანის, რამდენადაც ის შეიძლება არ ჯდებოდეს შენს სტანდარტში, შენს გემოვნებაში. ახლა იმას კი არ ვამბობ, რომ ყველაფერს მივხვდი ამ სამყაროში და ბრძენი ვარ. შეიძლება ბევრ რამეში ვცდები და ზუსტად ვიცი, რომ ვცდები და იმასაც ვუშვებ, რომ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია, არ იყოს ასეთი. სწორედ ეს არის „ამორ ფატი" – ის რადიკალური მიღება. და კიდევ, დიდი იარაღია ახალი ტექნოლოგიები, ურბანული მაგია. ჩვენთან სტარტაპში არიან ძალიან ახალგაზრდები – 16, 17, 18 წლისები. იმდენ ადრენალინს იღებენ, იმდენ პერსპექტივას ხედავენ, რომ სულ სხვანაირები ხდებიან, მათ უკვე აქვთ ტექნოლოგიური თუ ფსიქოდელიური გამოცდილება.

***ხარ მუსიკოსი, მწერალი და კიბერ… ვინ?***

მე ვამბობ კიბერშამანს. კი, ზურა ჯიშკარიანი ამ სამ რაღაცას ითავსებს გარეგნულად, სოციალურად. თუმცა შიგნით, დაკეტილ კარს მიღმა სხვა რაღაცებიც ხდება, რასაც არავის აჩვენებს. ხანდახან ის უფრო მნიშვნელოვანია, რასაც არავის აჩვენებენ. კასტანედას აქვს ნათქვამი, თუ მეგობრები ჩარჩოში გსვამენ და გეუბნებიან, რომ შენ ეს ხარ, ისინი შავი მაგები არიან და გაუცნობიერებლად, საზოგადოებასთან ერთად შენს დამორჩილებას ცდილობენო. კონკრეტულ როლს მოჰყვება ქცევის კონკრეტული მოდელი და უკვე განეიტრალებული ხარ, აღარ ხარ სახიფათო და მოულოდნელი. მართალია, ეს საზღვრები მკაფიო არ არის. დროის საზღვრებიც არ არის მკაფიო. აი, „ზომბი" და „დილა" რომ ვთქვი, ეს იყო ზღვარგამყოფი, ნამდვილი ეტაპები. ჩემი იდეალი იქნებოდა ეყოფილიყავი ალგორითმი, პირადი ისტორიისა და ეგოს გარეშე.

***როგორ გახდი კიბერშამანი? სად ისწავლე?***

ჩემით. რაც კი მისწავლია, ყველაფერი ჩემით ვისწავლე. პროფესიით სოციოლოგი ვარ. პროფესიაც არ არის. სამი წელი დავდიოდი უნივერსიტეტში, მერე დავანებე თავი, არც დიპლომი მაქვს, არაფერი არ მაქვს. სოციოლოგია ძალიან საინტერესო მეცნიერებაა. ბევრნაირ პერსპექტივას გაძლევს. სოციოლოგიაში სწავლობენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კულტურებში როგორი ჩვევები იყო, ხალხი როგორ აზროვნებდა და ასე შემდეგ. უყურებ, როგორ იცვლება სამყარო ყოველ ათ წელიწადში, ყოველ ორ წელიწადში; როგორ იცვლება ხალხი, ლაპარაკის მანერაც კი. ხვდები, რომ არაფერია მარადიული, ყველაფერი ცვლაშია. სოციოლოგია პერსპექტივას გაძლევს, სამყაროს შეხედო ცოტა ფართოდ, განიერად, წარსულშიც ჩაიხედო, მომავალშიც და არ ჩათვალო, რომ შენ ხარ სამყაროს ცენტრი და ყველაფერი შენ გარშემო ტრიალებს.

***„სალემი განთიადები SUGAR FREE":*** „ამ სამყაროს არ უნდა გადარჩენა, ამ თამაშში ყველაფერი გაფუჭებულია, – ვთქვი მე, სანამ რეოლვერის ბარაბანი ტრიალებდა. ტყვიამ წითლად მოციმციმე მარსივით პატარა ნახვრეტი დამიტოვა თავის ქალაში და მე დავეცი, როგორც ფოთოლი შემოდგომის, რომელიც ზოგჯერ ზაფხულის, ზოგჯერ კი რეალობის დასასრულს იუწყება..."

## „კიბერგალაქტიონი" და მოლაპარაკე საფლავის ქვები

ეროვნული

**ის „მოგზაურია", რომელიც ვერაფერს უზრ[illegible]ებს ახლის ნახვის, ახლის აღმოჩენის სურვილს, რომლისთვისაც „აღთქმული მიწა" ის იქნება, სადაც სიკვდილს დაამარცხებენ, პირველი ეტაპისთვის ინფორმაციულ სიკვდილს მაინც. „გაცოცხლების" საქმეა მისი ახლანდელი სტარტაპიც, კომპანია, სადაც ჩეთბოტებს აკეთებენ. ასე „გააცოცხლა" გალაკტიონი და უნდა სხვებიც „გაცოცხლდნენ". სტარტაპი და ბიზნესმენებთან მოლაპარაკებები „ინტერაქტიული საფლავის ქვებისთვის" ფინანსების მოსაპოვებლად სჭირდება. ჩემი სიკვდილის არ მეშინიაო, ამბობს, მკვდრები ჩემი მეგობრები არიან, უბრალოდ სხვისი სიკვდილები უფრო მაშინებსო. იმ ზურა ჯიშკარიანს, ვისზეც ახლა ვლაპარაკობთ, უყვარს ვიღაც ხალხი და მათი დაკარგვის ეშინიაო. პირველი იყო „კიბერგალაქტიონი", მერე კი უნდა იყოს „სიკვდილის დიზაინის" ახალი ეტაპი, როცა „ინტერაქტიული საფლავის ქვები" გარდაცვლილთა მოგონებებს შეინახავენ და ამაზე მოგიყვებიან.**

გალაქტიონი არის ძალიან მუსიკალური, საოცრად მუსიკალური. კითხულობ და ემოციის, აზრის გარდა არის დიდი მუსიკაც. ვინც ამ პროექტზე ვმუშაობდით, გვინდოდა, რომ ტექსტის კითხვის ნაცვლად ელაპარაკათ ავტორთან, ელაპარაკათ პერსონაჟებთან, პირად ინტერაქციაში შესულიყვნენ და როგორღაც დაგვემარცხებინა გალაქტიონის ინფორმაციული სიკვდილი. იმდენად ჩაციკლული იყო თვითონაც ამ სიკვდილის თემაზე, რომ ეგეც ბუნებრივად ჩაჯდა. კიდევ იყო ერთი მიზეზი - შეუთავსებლის შეთავსება, როცა ამის შემდეგ სრულიად ახალი იბადება. გალაქტიონი ძალიან შორს იყო ტექნოლოგიებისგან, „კიბერგალაქტიონი" კი ღრმად ტექნოლოგიური პროექტია, აი, სამეცნიერო ფანტასტიკის დონემდე რომ ადის. საბოლოოდ, ამას ვაკეთებთ ახლაც კომპანიაში. „ნარატივ-დიზაინერებს" ვეძახით იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ნახევრად მწერლები, ნახევრად კოპირაიტერები და თან ესმით, როგორ მუშაობენ ალგორითმები. ეს ყველაფერი რომ ერთდება, გამოდის ძალიან საინტერესო რამ.

***არის მოთხოვნილება? ვისთვის აკეთებთ ჩეთბოტებს, კომერციული კომპანიებისთვის?***

კომპანიებისთვისაც. ახლა ეს სტარტაპი უფრო კომერციული პროექტია, რომელიც მჭირდება იმისთვის, რომ ფინანსები ვიშოვო სხვა პროექტებისთვის, პირველ რიგში „ინტერაქტიული საფლავის ქვებისთვის". საერთოდ, ჩეთბოტი მომავალია. დღეს ყველა კომპანიას სჭირდება ჩეთბოტი. მანქანას კი ელაპარაკები, მაგრამ ჩეთბოტის ტექსტი უნდა იყოს ბუნებრივი, ემპათიური და ისე დალაგდეს სიტყვები, რომ ნამდვილ ემოციას გრძნობდეს ადამიანი. ბოლო კვლევებით აღმოჩნდა, რომ მნიშვნელობა არ აქვს მანქანას ელაპარაკები თუ ადამიანს, აქტიურდება ტვინის ერთი და იგივე ზონა, ანუ სინამდვილეში ტვინი განსხვავებას ვერ აღიქვამს, ამიტომ ჩნდება ეთიკის საკითხები, ნდობის, ესთეტიკის. წარმოუდგენელ სიღრმეებში მიდიან ადამიანები მანქანასთან ლაპარაკის დროს. სასწაულია, სიყვარულს უხსნიან, მიუხედავად იმისა, რომ იციან,

მანქანას ელაპარაკებიან, საიდუმლოებებს უყვებიან, რჩევებს ეკითხებიან: გოგოს დავშორდი... ბიჭს დავშორდი... რას მირჩევ, გალაკტიონ? და ისიც რაღაც ლექსით უპასუხებს. ახლა ცოტა დაძველდა, ერთი-ორი წელია, არ დამიაფდეითებია. „ემოცია", „ადამიანურობა" – ეს არის ჩეთბოტინგის და ჩვენი სტარტაპის "Anima Chatbotics"-ის მთავარი პრინციპი, ჩვენც ამას ვაკეთებთ. მერე ვნახოთ, რა იქნება, ხელოვნური ინტელექტსაც რომ დავამატებთ. ხელოვნურ ინტელექტს უკვე შეეძლება ავტორი გააანალიზოს და შექმნას სრულიად ახალი ტექსტი. მაგალითად, დაახლოებით „ლურჯა ცხენების" მსგავსი და ესეც ახალი სფეროა – ვინ არის ავტორი? ავტორი საერთოდ ქრება.

***მწერლების წინააღმდეგ მუშაობ? საფრთხე ემუქრებათ?***

კი, საფრთხეა, მაგრამ მწერლები საფრთხეს უნდა გრძნობდნენ. მწერლობა სახიფათო პროფესიაა რაღაც გაგებით და უნდა დარჩეს სახიფათოდ. არ მგონია, ადამიანი-ავტორის როლი დაიკარგოს, მაგრამ გაფრთხილება კი იქნება, რომ მეტი „სისხლი" ჩადონ ტექსტებში ან სულაც მეტი „სიხარული". პაატა შამუგიას შევთავაზე ჩეთბოტი, ვუთხარი: შენ შეგიძლია გააკეთო შენი თავის ისეთი ჩეთბოტი, რომ, მაგალითად, ჟურნალისტი ინტერვიუსთვის ჩეთბოტს დაელაპარაკება. ამას გარდა, სიცოცხლეში რაღაცებს რომ დაწერ, მერე შეიძლება გაჩნდეს პროგრამები, რომლებიც გააგრძელებენ წერას და ეს იქნება შენი პოსტბიოლოგიური შემოქმედება. მერე შეიძლება სკოლაში ასწავლონ პაატა შამუგიას ბიოლოგიური და პოსტბიოლოგიური შემოქმედება... აუცილებელი არ არის, ეს დღეს და ხვალ მოხდეს, მაგრამ უახლოეს წლებში შეიძლება გაჩნდეს ამის შესაძლებლობა. ხომ არის უკვე ალგორითმი, რომელიც ახალ ამბებს წერს. მშრალად კი არ წერს, აანალიზებს. მაგალითად, საფეხბურთო მატჩში ერთმა გუნდმა მეორეს მოუგო ხუთით ნული, პროგრამა ხვდება, რომ დიდი ანგარიშია და წერს, ეს გამანადგურებელი დამარცხებაა. დამოკიდებულებას, ემოციას სვამს ტექსტში. ეს საწყისი ეტაპია, კიდევ განვითარდება. ეს ტერა ინკოგნიტაა ჩემთვის, უცნობი ტერიტორია. შეიძლება სისულელეა, შეიძლება ავტორები „მოკლას", მაგრამ არსებობის უფლება აქვს. გაჩნდება სხვა ტექსტები და გაჩნდება სხვანაირი ლიტერატურა. შეიძლება, ავტორზე უკეთესიც გამოუვიდეს.

***მაგრამ ამბობენ, რომ ეს შეიძლება ბევრ ჟანრს არ დაემუქროს, უფრო მარტივ სტრუქტურებს, ფენტეზის, თუნდაც დეტექტივს. აი, „ულისეს" ვერ დაწერსო.***

კი, ამბობენ, მაგრამ ვერ ვიქნები ბოლომდე დარწმუნებული. შეიძლება, სულ პირიქითაც გამოვიდეს. შეიძლება უკეთესად სწორედ არაცნობიერ ნაკადებზე დაფუძნებული ტექსტები დაწეროს. ალგორითმს შეუძლია გაცილებით მეტი სიღრმე იპოვოს. ადამიანს თუ თვეები დასჭირდება ყველაფრის წასაკითხად, დასამუშავებლად, წყაროებთან შესადარებლად, გავლენებისგან გასათავისუფლებლად, ხელოვნური ინტელექტი ამას წამებში იზამს. იმის „ნებასაც" თუ მისცემ, რომ რაღაც „თავისი" დაამატოს, გადაადაროს ერთმანეთთან, რომ აბსოლუტური მამბო, ჯამბო და სისულელე არ გამოუვიდეს, რთული იქნება მასთან კონკურენცია. ადამიანზე გაცილებით სწრაფი იქნება. მუსიკის „გაკეთება" ოდნავ უფრო რთული იქნება. აი, რაც შეეხება მხატვრობას, ჩათვალე, რომ უკვე „ჩაძირულია", პროგრამებში ვიზუალურ იმიჯებს ახლა ყველაზე კარგად აკეთებენ. ტექსტი ჯერ კიდევ რთულია და უფრო რთულია მუსიკაც, მაგრამ არის უკვე მანქანები, რომლებიც მშვენიერ აბსტრაქტულ ნამუშევრებს ქმნიან.

***ასე რომ, რამდენიმე წლის შემდეგ შეგვიძლია წავიდეთ KENE11-ის პერსონალურ გამოფენაზე?***

კი, გამოფენაზე და წიგნის პრეზენტაციაზეც. ყველაზე კარგი მაინც მერჯინგი იქნება – ადამიანების შესაძლებლობას თუ მივუერთებთ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს. აი, სწორედ ამის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს ახალი ჟანრები, ახალი თემები და შეიცვალოს შეხედულებები სამყაროზე. როცა მე და შენ შეგვეძლება, მაგალითად, 10 ტერაბაიტი ინფორმაციის გადამუშავებას წამის მეასედში, უკვე სხვანაირი დიალოგი გვექნება და სხვა ტექსტებსაც დავწერთ, შეიძლება ტექსტის დაწერა არც მოგვინდეს, ეგეც არ ვიცი. ერთი მხრივ, ლიტერატურა იმდენად ძველი და მუდმივია, რომ არ გაქრება, მეორე მხრივ, იმდენი ძველი და მუდმივი რამ გამქრალა, რომ არ ვიცი... ლიტერატურა ჯერ ისევ ადამიანის სულის გამოძახილია, სანამ ადამიანები ვართ და არა კიბორგები, ასეც იქნება, ალბათ.



ფოტო: ლაშა Fox

***„ინტერაქტიული საფლავები", „კიბერგალ-აკტიონი", ბლოგებშიც, წიგნშიც, ახლაც რომ ვლაპარაკობთ, სულ არის ეს თემა, სიკვდილის, ადამიანის უკვალოდ არგაქრობის, მკვდრებზე და მკვდრების მოგონებების შენახვის...***

როგორიც უნდა წარმოვიდგინოთ მომავლის სამყაროს მოდელები, მინდა, რომ იქ იყოს ეს საფლავის ქვები, რომლებსაც ადამიანების მოგონებები ექნებათ შენახული. ასე, სიკვდილი შეიძლება იქცეს გზის დასასრულად კი არა, ახალი გზის ან ბევრი სხვადასხვა გზის დასაწყისად. მოგონებები მნიშვნელოვანია. არ მინდა, „მოკვდა და მორჩა ყველაფერი". საინტერესოა, რომ მეცნიერება და ტექნოლოგია გვაძლევს ამის საშუალებას, ეს რაღაც ახალია, რაღაც გაუგონარი, ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში და ამაზე მაჟრიალებს. ამ ცნობისმოყვარეობას ვერ ვიკავებ, ბევრი ინფორმაცია მაქვს და კიდევ მეტი მჭირდება. ზუსტად ვიცი, რომ ამის იქით კიდევ რაღაც გამოჩნდება, კიდევ რაღაც იქნება ისეთი, რაც აქამდე არ გაგვიგია ადამიანებს. მაინტერესებს და ეს სურვილების ბოლო არ არის. აი, როგორ გითხრა, ძველი მოგზაურები რომ იყვნენ, გაშლილ ზღვაში რომ შედიოდნენ და ინსტინქტურად გრძნობდნენ, სადღაც, წინ მიწა დახვდებათ და იმ მიწაზე კიდე რაღაც იქნებოდა.

***მივალთ იმ მიწამდე? მომავლის როგორი ვერსიები წარმოგიდგენია და კონკრეტულად ჩვენი მომავლის?***

ათასნაირ ვერსიას განვიხილავ. ადრე უფრო ოპტიმისტი ვიყავი. იყო ასეთი, კოსმისტების მიმდინარეობა და მათი ოცნება იყო მულტიპლანეტარული სისტემა. სახელმწიფოები ახლანდელი გაგებით არ არსებობენ, იქნება ცენტრალიზებული მმართველობა და ასე შემდეგ. მაგრამ ახლა მსოფლიოს რომ ვუყურებ, ალბათ, ტრანსჰუმანისტების ოცნება, ოცნებად დარჩება. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ შეიძლება, არაფერიც არ გამოვიდეს, აბსოლუტურად განწირულები ვართ ან სტაგნაციისთვის, ყველაზე კარგი გაგებით, ან უკუსვლისთვის. თუნდაც ახლა, ჩვენ კი ვლაპარაკობთ შორს წასულ ტექნოლოგიებზე, მაგრამ თან მილიონობით ბავშვის შიმშილს ვუყურებთ, ძალადობას, ჰომოფობიას, ომებს, ხოცვა-ჟლეტას, ტრეფიკინგს, ახლა არ იყო ხალიფატი? ატომური იარაღი, გლობალური დათბობა... ჩემი „მოუდები" როცა იცვლება ძალიან პესიმისტურიდან ოპტიმისტურისკენ, მაშინ სხვანაირად ვხედავ ყველაფერს, მაგალითად, ასე – კი, ჩვენი ცივილიზაცია მულტიპლანეტარული გახდება და ჩვენ ნელ-ნელა მოვიშორებთ ყველა ამ სენს.

***შენი მომავლის? მომავლის ზურა ჯიშკარიანის როგორი ვერსიებია?***

დავიწყებ იმით, რომ ხშირად ჩემს წარმოდგენებში ჩემი მომავალი საერთოდ არ არის, თუმცა ათი წლის წინათაც ვერ წარმოვიდგენდი 10 წლის მერე ცოცხალი ზურა ჯიშკარიანი თუ კიდევ ვარ. მინდა კიდევ ვიყო, საკუთარი თავის გასამხნევებლად თუ მაგალითის მისაცემად, მათთვის, ვინც ერთ ნაბიჯშია ხელის ჩაქნევამდე, როგორც მე ვყოფილვარ ბევრჯერ და ვიღაცას გამოვუყვანივარ. თუმცა არის კიდევ ერთი ვერსია: მარსზე ვართ მე და ჩემი შვილიშვილი, სოკოებს ვჭამთ და ვუყვები დედამიწის შესახებ. არ ვიხსენებ არც გეტოს და არც ომებს. უბრალოდ, ვყვები, რამდენი ოკეანე იყო, რამდენი კარგი მწერალი, რამდენი კარგი ადამიანი და ასე შემდეგ. ის სხვა ცივილიზაციაში უნდა გაიზარდოს და რატომ უნდა დავუბინძურო ტვინი. ეს ბაბუობის ერთადერთი ვერსიაა, რომლის ნაკლებად მჯერა, მაგრამ გაასწორებდა. ახლანდელი წლები არის ყველაზე გარდამტეხი. სტაგნაციური ძალები, ომისკენ მიმართული ძალები, პროგრესისტული ძალები – ყველა არის გიჟივით მომართული და გააქტიურებული და ყველა ჩალიჩობს მომავლის თავისი ვერსიის გატანას. ვიღაცამ თქვა, პირველად მსოფლიოს ისტორიაში, ყველა ეპოქა ერთდროულად არისო. არსებობენ პირველყოფილი ტომები, არსებობს სილიკონის ველი, არსებობს რაღაც ნაცისტების რეიდები, უკიდურესი ჩაგვრა და უკიდურესი ემანსიპაცია და ეს ყველაფერი ერთ დროშია. საინტერესო დროში გეცხოვროსო – მგონი, ამ წყევლაში ვართ, თუმცა ეს დრო საინტერესო პერსპექტივის და საინტერესო საქმეების კეთების საშუალებასაც იძლევა. შანსია, რომელიმე სუპერთრიპში ჩავვარდეთ და აღარ ამოვიდეთ.

***„სალეჭი განთიადები SUGAR FREE":*** „მაგრამ მე ვიცოდი, რომ ეს არ იყო დასასრული. მისი ეთერი, მისი სიტყვები სამუდამოდ გაჰყვება რადიოტალღას ღია კოსმოსში, გადალახავს ჰელიოპაუზას და იქამდე ივლის, ვიდრე სამყაროს საზღვრებს არ მიადგება, იქ, სადაც სხვა რეალობა იწყება, ის, რომლის პირატული ვერსიაც ვართ ჩვენ..."

„Ay! / მე ვარ შვილი ზღვის, გატეხილი ცის / არ მჯერა პოლიციის, მჯერა „ქარი ქრის" / წვიმების, კორპუსის, ტომის ძახილის / რეპორტიორი ვარ გეტოების ბიბისის... / სალამი მამაქალაქს, სალამი პორტო ფრანკოს / ქალაქში ყველა ბირჟას და პრიტონს და bando-ს / სოფლებს, ჩანს სადაც ნახტომი ირმის... / **და KayaKata ისმის...**"

**F.S.**

**არ ვიცი „ფიესი" (Future Scriptum) ვინმემ გამოიყენა თუ არა აქამდე, არ იგუგლება. ვიღაცა აუცილებლად იზამდა. მთავარი ახლა ეს არ არის. მთავარია, სამყაროში ზურა ჯიშკარიანის ოპტიმისტური „მოუდები" დაინსტალირდეს და მოწყალე იყოს მომავალში ამ ტექსტის ყველა წამკითხველი. ახსოვდეს, როცა „დილა" თავის ტექსტებში სამყაროების საზღვრებს ცვლიდა, როცა ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობდა და ჩეთბოტებს აკეთებდა, როცა საფლავის ქვების ალაპარაკებას ცდილობდა, საქართველოს 20% ოკუპირებული იყო. ამ საუბრიდან ერთ კვირაში კი, თბილისის ცენტრში ანტისაოკუპაციო აქციას სასტიკად დაარბევენ... უბრალოდ, ახსოვდეს.**

*ქვემოთ მოყვანილია ჩვენ მიერ ამ ნომრისთვის შერჩეული მწერლის, რიგითი ბიორობოტის და მოქალაქე ბოდჰისატვას (ე.წ. „ზურა ჯიშკარიანის“) დემო-ნაწყვეტები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი იმ ნოველებიდან, როგორებიცაა:*

*1 – „Georgian Book of The Dead“ („როგორ გავანადგუროთ ანგელოზები“)*

*2 – „პავლიკ მოროზოვის ქრონიკები“*

*და მცირე მოთხრობა სახელად „ვოვა ლიმონკა“ – ქართველ ტერორისტზე, რომელმაც ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს დამართნია ცხოვრებაში ერთხელ მაინც – რამდენიმე წამით აღმოაჩინა სამყაროს საიდუმლო.*

*დაკვირვებული მკითხველისთვის გარკვეული მინი-ნაწყვეტები შესაძლოა ნაცნობი იყოს სხვადასხვა მიზეზით: ზოგი მათგანი გამოყენებული იყო როგორც მცირე ჩანართი სხვადასხვა ესეებში, დანარჩენები კი, შესაძლოა, თქვენც გინახავთ ან გიგრძვნიათ იმ სიზმარში, რასაც ჩვენი ცხოვრება ქვია.*

## GEORGIAN BOOK OF THE DEAD
## („როგორ გავანადგუროთ ანგელოზები“)

+++

სიცოცხლეს სულ სხვანაირი პრიხოდი აქვს, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე მოკვდები და სულ სხვანაირი გემო, მას შემდეგ, რაც იბრძოლებ მის შესანარჩუნებლად. ეხლა შენ უკვე იცი, რომ შენ არ გაგაჩინა ბრმა შემთხვევითობამ, რომელიც დიდი აფეთქების შემდეგ გულაობს სამყაროში, არც შემთხვევით თუ ძალმომრეობით გამარჯვებულმა გენეტიკურმა მატერიალმა – თუნდაც დეფექტიანი, თუნდაც ხარვეზებიანი – შენ საკუთარმა თავმა გშვა – როგორც ბარონმა მიუნჰაუზენმა ამოიყვანა წყლიდან საკუთარი თავი, როცა ხელებით თავის თმას ჩაეჭიდა, სწორედ ასე ამოხვედი არარსებობიდან.

ის, ვინც იბრძოდა გადარჩენისთვის – მოკვდა, მაგრამ მისი ბრძოლისას გამოთავისუფლებული ენერგია გადარჩა. ეს ენერგია შენ ხარ.

ჯერ კიდევ გაურკვეველი ფუნქციის შესასრულებლად დაწერილი ალგორითმი, სავსე კომპიუტერული ვირუსებით და ვარსკვლავებიანი ცით.

+++

ჩვენს ქვეყანაში წარსული არასოდესაა წარსული, ის მუდამ აწმყოშია და თანამედროვეა. ყველაფერი, რასაც ასე ხშირად გვიმეორებენ გმირებზე, მაგიურ სასწაულებზე ან წმინდანებზე, ეხლაც ცოცხალია: იქ ქვა დგას, რომელზეც ანდრია პირველწოდებული ისვენებდა, როცა დაიღალა ღვთის სიტყვის ტარებით, აქ დინოზავრის ნაკვალევია მიწაში ჩარჩენილი, დანგრეული უცნაური კორპუსი კი, რომელსაც ლამე მიადექი მოსაფსამად, იმიტომ რომ იქ გარეგანათება არ ანთია – შეიძლება ქრისტეშობამდე აშენებული წითელ წიგნში შეტანილი შენობა აღმოჩნდეს. ხო, ასეა, უსაქმურ ევროპელებს ეს შენობები მონაცემთა ბაზებში შეყავთ, ჩვენ ვაფსამთ, ვაფეთქებთ ან ევრორემონტს ვუკეთებთ – this is Georgia.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ როცა კითხულობ სტრაბონის ნაწერს სოხუმზე: „დიოსკურია წარმოადგენს კასპიისა და პონტოს ზღვებს შორის ყელის დასაწყისს და იმ ხალხთა საერთო სავაჭრო ცენტრს, რომლებიც მას ზევით და ახლოს ცხოვრობენ; აქ იკრიბება 70 ეროვნების ადამიანი. **ახალი ერის დასაწყისში მოხდა რაღაც კატასტროფა, რამაც გამოიწვია ძველბერძნული დასახლების განადგურება.**“ – შენ იცი, რა კატასტროფაც მოხდა. შენ ამ კატასტროფის განუყოფელი ნაწილი ხარ, შეიძლება ითქვას, მისი ათასი სახიდან ერთ-ერთი, და ამას ვერასოდეს შეცვლი – სანამ არსებობ, საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის შენ იქნები შეხსენება იმისა, რომ ცოტა ხნის წინ კატასტროფას ქონდა ადგილი და შენზე სტრაბონმა დაწერა თავის დაგრაგნილ twitter-ზე. ესაა დევნილების ბედი და მთავარი მისია, შეიძლება ითქვას, მთავარი წყევლაც. შეიძლება ამიტომაც არ უყვართ დევნილები – ისინი დამარცხების ცოცხალი შეხსენებაა.

სოციალური პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ნიაღში, როცა ყველაფერი მოგვარებული და სამყარო დალაგებული ჩანს – უცებ ჩნდება უმაკიაჟო სახე, მძაფრი სუნი, რადიოში ჩნდება ხმაური, რომელსაც ვერ აბალანსებენ ხმისჩამწერი სტუდიები და საუნდ-ინჟინრები. ციფრულ სიმშვიდეში ნამდვილი სისხლი იღვრება, ნამდვილი სისხლი კი ყოველთვის ისეთი საპიამოვნო

არაა, როგორც მისი ციფრულად დამუშავებული ანალოგები. სახელმწიფოს დევნილები არ უყვარს, იმიტომ რომ ისინი გადაუწყვეტელი Error-ია, სისტემური პრობლემაა, რომელმაც უეცრად ადამიანების სახე და ფორმა მიიღო. რა საშინელებაა კომპიუტერული ვირუსი ადამიანის ფორმით! შესაბამისად, ეს ადამიანები არ არიან ადამიანები, მათ არ აქვთ სული, ისინი სხეულშეძენილი ერორები და სპამები არიან, სპამი კი აუცილებლად უნდა წაიშალოს, სანამ გადაავსებს მეილს. სხვებს დევნილები არ უყვართ იმიტომ, რომ ისინი მუდმივი შეხსენებაა იმის, რომ არავითარი „ადამიანური პროგრესი" არ არსებობს, ომი ამის მუდმივი დადასტურებაა და მათთვის, ვინც პროგრესს ეალერსება – ეს დიდი იმედგაცრუებაა; სხვებს დევნილები არ უყვართ იმიტომ, რომ ისინი უწნოები, «დაუბანლები, სუნიანები და გაუნათლებლები არიან». ამ ვერსიის მხარდამჭერები თვლიან, რომ ბევრი მათგანი ადვილად წავა ქურდობაზე ლუკმა-პურის საშოვნელად და ხშირად ეს სიმართლესთან ახლოც არის – არავინ იცის, რაზე წავა ესა თუ ის ადამიანი, როცა ყველაფერს დაკარგავს; სხვები კი თვლიან, რომ დევნილები ცუდები არიან იმიტომ, რომ ისინი სარგებლობენ თავიანთი სტატუსით, იყენებენ თავიანთ სიტუაციას, რომ არადევნილებზე კარგად იცხოვრონ, რომ სამსახურში დევნილსა და არადევნილს შორის არჩევანის დროს – ვალდებულებით – ბოსი დევნილს აირჩევს და აქაც არის სიმართლის დოზა. მოკლედ, არავის არ უყვარს დევნილები კეთილი ადამიანებისა და ენჯეოების გარდა, მაგრამ თუ დავუჯერებთ უფროსების ისტორიებს (სტატისტიკას) იმაზე, რომ სამყაროში კეთილი ადამიანების რიცხვი ყოველწლიურად ექსპონენციალურად კლებულობს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უახლოეს წლებში დევნილები ენჯეოების გარდა არავის ეყვარება.

ენჯეო სიყვარული კი ენჯეოსავით სტერილური და ადვილად პროგნოზირებადია.

ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენი მწერალი ფსევდო სკილაქ კარიანდელი („პერიპლუსი") გვამცნობს, რომ მდინარე ფაზისის ზღვაში, შესართავთან, გაშენებულია ელინთა ქალაქი ფაზისი.

გემი, რომლითაც დიოსკურიიდან გამოვედით, შტორმში მოხვდა და იძულებული გახდა ფაზისის პორტს შეკედლებოდა. ფაზისი არაფრით გავდა ელინთა ქალაქს. ის საერთოდ არაფერს არ გავდა. შავ სიცარიელეში გამლილ კვადრატზე, პორტში, ლიაცის ქვეშ ათეულობით ადამიანი ვიჯექით, გაურკვეველ მოლოდინში, ახალი მოსულები ომიდან, ბევრს ჯერ კიდევ მოყვებოდა დენთის სუნი და მათი აურა ვიბრირებდა გუშინწინ აფეთქებული ბომბის ექოებით. ხანდახან ამ გარინდებულ ხალხს ამერიკელების გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება ააფორიაქებდა, მერე კი ყველა ისევ უბრუნდებოდა კატატონურ მდგომარეობას. ქალაქის სიღრმიდან იქაური მაცხოვრებლები მოდიოდნენ და გემის მოყვანილ ადამიანებს ათვალიერებდნენ, ეკითხებოდნენ გვარებს, არკვევდნენ, ვის რა ჭირდებოდა. მერე ისევ უჩინარდებოდნენ სიცარიელეში და შემდეგ უკვე მოდიოდნენ ქურთუკებით ან მცირე საკვებით. ფაზისელი კაცები დიოსკურელ კაცებს თავიანთ სიგარეტებს უტოვებდნენ, ფაზისელი ქალები კი დიოსკურიელი ქალების ბავშვებს ახვევდნენ თბილ გასახვევებში.

ყველა ომში არის მომენტები, როცა ისეთ ადამიანურობას გრძნობ, რომელსაც ვერცერთ მშვიდობაში ვერ იგრძნობდი.

## MADE IN CHINA

ახლადდამთავრებული ომის სურნელი გავს – როცა მოწვიმს გაზაფხულზე და ასფალტი და ყვავილები გიბრუნებენ ტვინს – ახლადჩამქრალი ჰოლოგრამის სურნელს. და ცაც და მიწაც თავისუფალია – არ არსებობს პოლიცია, არ არსებობს კონტროლი. აკეთე რაც გინდა.

ხართ მხოლოდ შენ და შენი გადაწყვეტილებები, მარტო შენ და შენი სისხლი.

შენ და ზამთრის გრძელი ღამეები.

ეს ჯართი მძიმეა. მიშკა ამბობს, რომ უნდა შევისვენოთ. ოთხნი ვართ, მაგრამ მაინც ვერ ვერევით. იქვე, ქუჩის გადაღმა, უკანასკნელი ზვიადისტები მოძრაობენ თვალებში გაურკვევლობით, ვენებში მორფით და თავში გალის პლანით, ხელში კონკრეტული კალაშებით – ლიდერის გარეშე. ღრმად სუნთქავენ, თითქოს უკანასკნელ იმედებს იგროვებენ ფილტვებში. როგორც ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ მაინც კვდება.

ფეხსაცმელი უფრო ნაჭრების გროვას გავს, ალაგ-ალაგ ძაფებით და წებოებით გადაკრულს ერთმანეთზე.

– ჩინურია და ეგრევე ტყდება. ვაბშე ჩინური ვერაფერი ვერ უძლებს – რაღაცაზე ამბობს მიშკა.

ჩინეთი ჩემთვის ნაცნობი თემაა. ორი კვირის წინ ვნახე პირველი ჩინელი, როგორც წლების მერე მივხვდი ომის ჟურნალისტი, რომელიც ფოტოებს გვიღებდა და მხოლოდ მაგიტომ კორპუსის ბიჭებმა ისე ცემეს, რომ ცალი თვალი დიდ ვარდს უგავდა. ასე თქვეს, უცხოელები ჩამოდიან ფოტოების გადასაღებად და მერე ბავშვებს იპარავენ. ნეტავ სად მიყავთ, ჩინეთში?

ხრეშში გილზა ვიპოვე, მიშკას ბრატი ჩხუბს მინყებს, ორივენი კოლექციას ვაგროვებთ ტყვიების და მასაც უნდა იგივე გილზა. მამამისი მეთევზეა, დღეს არავინ ვიცით, რომ ერთ თვეში ზღვაში დაიკარგებიან ის და მისი გემი, მამაჩემი – მაქციაა. ღამე ეღვიძება, თავი ისევ ომში გონია, ჩვენ – მტრები. დროზე უნდა დაიმალო. მერე ექვსი კაცი აკავებს, სანამ აზრზე მოვა. მერე ტირის. კაცები ამბობენ, მეომრებს ასე ჭირთო ომის მერე.

დედა ამბობს, ყველაზე მძიმე ლომკების დროსაც არ სჭირდა მსგავსი რამეო. ლომკები მახსოვს.

მიშკა დროზე ერევა ჩხუბში და გილზა მე მრჩება – მაქციის შვილს, თუმცა გილზის ფასი სახეზე დარჩენილი ნაკაწრია ამ გიორგისგან, მეთევზის შვილისგან.

– გოგოსავით ჩხუბობ – ვეუბნები და ჩხუბი

ისევ ინყება. შორს, თოვლის ნარჩენებში, ჩადის მზე. ავტომატის გასროლის ექო და ზამთრის ცა ნითელია ამ ნაკანრივით.

გილზა ჩემია. მე-15 იქნება კოლექციაში.

მე მინდა გილზებისგან ყელსაბამი გავიკეთო, მაგრამ თამუნა მეუბნება, რომ ყელსაბამი მხოლოდ გოგოებს უკეთიათ და დამცინის. მე კიდევ ვერ ვუტყდები ვერც მას, ვერც ჩემს თავს, რომ მომნონს, როგორც გოგოებს უკეთიათ ყელსაბამები და კაბები და ვუბრაზდები.

ჯართიდან მიღებული ფულით ლიმონათებს ვყიდულობთ. ორი ყუთია ჩასაბარებელი მეზობელი კორპუსის ბიჭებისთვის, ნინა კვირას ნაგებული ფეხბურთის თავანი.

ლიმონათებს პაპალამ გვიყოფენ – თავანი უნდა გაიყოს, ასეთი ნესია. ეს მცირე რიტუალი ყველას გვაახლოებს ქურდულ სამყაროსთან და თვითშეფასებას გვიმაღლებს.

სახლში მე და გიორგის საერთო გზით გვინევს ნამოსვლა, ნაჩხუბრებს.

– რამდენი გაქვს? – ვეკითხები.

– ერთი დამრჩა. ზუსტად ასეთი.

ძალიან დიდ ძალას ვატან თავს, მაგრამ ვჩუქნი.

გზაში დედამისი გვხედება. დედამისი ჭაჭას ყიდის ჯიხურში, რომელსაც ბევრი ნახვრეტი აქვს ბრმა ტყვიებისგან გაკეთებული და დღისით, როცა მზეა – შიგნით ლამაზად შემოდის სინათლე. ტურბოს კევებს გვაძლევს.

სადარბაზოს მაგიდასთან ნაკლეიკებით ვთამაშობთ: ჰაერში ვნევთ მაზდას და ალფა რომეოს.

«Made in china» ანერია აქაც და გემო მალე გასდის კევს. ვეჯიბრებით, ვინ უფრო შორს გადააფურთხებს.

სახლში დედის ტირილი მესმის – ჩხუბობენ. როცა შევდივარ, ვხედავ, დედა ლარნაკს ამტვრევს. მამა მიდის, დედა სანოლში ეცემა ტირილით, მე დედას ვუნვები.

საპნის სუნი, რომლითაც ბანაობს, ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს კანს. ხარბად ვსუნთქავ და ნელა, მაგრამ ყველაზე ღრმა ძილით მეძინება მის კისერში თავჩარგულს. ისევ ავტომატის ჯერი მზის მიმართულებით, მზე მიდის მამასთან ერთად და ბნელდება. სანთლის ანთების დროა, მაგრამ არავინ დგება სანოლიდან. ხანდახან სიბნელეში ჯობია.

დედამ ძილის ნინ თქვა, რომ გატეხილია. მეც გატეხილად ვგრძნობ თავს, ძაან მძიმე რადიატორი იყო. მამაც გატეხილია? – ვეკითხები.

– კი გატეხილია, შენ არ ინერვიულო, მალე გაკეთდება და მოვა – მეუბნება და მკოცნის შუბლზე.

მე საერთოდ არ მინდა, რომ მოვიდეს. საერთოდ არ მინდა, რომ გათენდეს. აქ კარგად ვარ, აქ მინდა ჩამეძინოს ათასი წლით. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ ჩვენ არ ვართ ჩინეთში დამზადებულები და ასე ადვილად არ ვტყდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## МЫ НА ВОЙНЕ – ყვირის მიშკა

ასეთია სამყარო, როცა უზარმაზარი ინდუსტრიული იმპერია ერთ თვეში დაინგრა და მილიარდი ქარხანა ჯერ გაჩერდა, შემდეგ ჟანგი შეეპარა, შემდეგ კი პოლიციელიც არ დარჩა, ვინც ამ შენობებს ხალხისგან დაიცავდა და ხალხმა გატეხა უნივერმაღები, ქარხნებმა კი დაინყეს ლპობა, თითქოს გავიდა მილიონი ნელი.

მილიარდი ტონა რკინა, გაშლილი ათასობით კილომეტრზე – ყველაფერი დარჩა ქუჩაში, სახელმნიფო მეთვალყურის გარეშე.

ბალახი საბავშვო ბაღში, რომლის ნახევარ შენობაში დევნილები ცხოვრობდნენ, მეორე ნახევარში კი ბავშვები დადიოდნენ ბაღში, მათ შორის კი მხოლოდ ცარიელი მიტოვებული ოთახია, მიჭედებული ხეებით გადატიხრული. ამ ბაღის ეზოში საკმარისია ოდნავ გაისეირნო, რომ აუცილებლად იპოვი: მეტალის ბოლტებს, ქიმიურ ნივთიერებებს, რადიატორის ნარჩენებს, რომლებსაც ნინძას ვარსკვლავების ნაცვლად ვიყენებთ. აქვე გდია შპრიცები, გაზის ნიღაბი, მოჭრილი თითი.

მიშკამ სკლადი იპოვა, ბიბლიოთეკის გვერდით. კარები ჩარაზულია, მაგრამ ზევით, 2 მეტრის სიმაღლეზე პატარა ფანჯარაა, სადაც მხოლოდ ჩვენხელა ბავშვები თუ გაეტევიან.

– ნამოდით, სასნაულები უნდა განახოთ – მორბის მიშკა.

მივდივართ.

სკლადში აირნინაღებია. სამხედრო ტანსაცმლები. ვეძებთ ბომბებს და იარაღებს.

მე ლიმონკა მინდა – ჩემი ოცნებაა ლიმონკების სროლა, როგორც რემბო აკეთებს ფილმში, მამა კი რეალურ ცხოვრებაში.

პრონივაიაძიე – ასეთი ტაბლეტებია საბჭოთა ჯიბის აპტეჩკაში, ბირთვული ალერგიისგან თავდასაცავად.

– ეს მაგრად აკაიფებს – იძახის რამაზი, ბიძაჩემი ყლაპავს.

სამ-სამ ცალს ვყლაპავთ.

ვიზმანებით სამხედრო ფორმებში, მაგრამ ფორმები დიდია და გვეცინება.

– ამას დედაჩემს გადავაკერინებ – იზომავს რამაზი.

აირნინალს ვიკეთებ და საკუთარი სუნთქვა ოფლად ეკვრება მინას. ძლივს ვარჩევ სამყაროს გარეთ. სხვა პლანეტაზე ვარ, გაურკვეველი მისიით, მაგრამ დაუოკებელი შემართებით.

მიშკა ყვირის, რომ ბომბი იპოვა, ჯიბიდან ვზრივპაკეტები ამოაქვს. მე მიხსნის, თან დაუნდობლად, ცოტაც და გავითიშები, ვგრძნობ, როგორ მეგრიხება ხელის თითები – როგორც იესოს აქვს დაგრეხილი ბებოს ხატებზე.

– მიშკა, мы где? – ვეკითხები აირნინაღიდან, დაცემისთვის გამზადებული... და ჩემი ხმა ინელება გაფუჭებული მაგნიტოფონის კასეტასავით.

– стоять, смирно солдат! – ყვირის მიშკა – мы на войне.

Fade Out.

## ომი რასებს შორის

ჩემს კორპუსში, გვერდით სადარბაზოში, პირველ სართულზე, ბოშების ბარონი ცხოვრობს. ბარონი თითქმის სამეფო წოდებაა. ბარონის სიტყვა კანონია და ბარონის ოჯახი ყველაზე თესლი ოჯახია სხვა ბოშების ოჯახებს შორის. შესაბამისად, ბარონთან გამუდმებული სტუმრიანობაა. მთელი ფოთის ბოშები მოდიან ხოლმე ბარონთან და უყურებენ ინდურ ფილმებს, მერე ცეკვავენ და ერთობიან. მე არასოდეს მინახავს ასეთი გართობა. ბოშები სხვანაირად ცეკვავენ და სხვა მუსიკას უსმენენ, მათი ტანსაცმელიც უფრო ფერადია, ვიდრე ჩვენი. მე მომწონს ბოშები, მაგრამ ისინი თითქმის არავის ეკონტაქტებიან სხვა ბოშების გარდა. მხოლოდ ბარონის შვილი მემეგობრება, მაგრამ ფრთხილად, თითქოს რაღაც საფრთხეს გრძნობს არაბოშისგან. რაღაც პერიოდში ბარონთან იმდენი ხალხი მოდიოდა, თავიანთი ბავშვებით, ჩვენხელა ბავშვებით, რომ უბნის მაუგლებს ეს არ მოეწონათ. აკე დაიწყო რასობრივი ომი: თეთრები შავების წინააღმდეგ. მე გულის სიღრმეში შავები უფრო მომწონდა, მაგრამ ომი უკვე დაწყებული იყო და ჩემს მეგობრებს ვერ ვუღალატებდი. ასე მომიწია იმათ წინააღმდეგ დადგომა, ვინც უფრო მეტად მაინტერესებდა ვიდრე ჩემები. თან ამასობაში მოვასწარი ბარონის მეორე შვილის, ულამაზესი ბოშა გოგოს პლატონური შეყვარება. და არჩევანი სიყვარულსა და ტომურ ლოიალობას შორის მძიმე ლოდად ეწვა პატარა გულს.

თავიდან ჩხუბებს ქაოტური და წერტილოვანი ხასიათი ქონდა, ხან ისინი გამოიჭერდნენ ვინმე ჩვენიანს, ხან ჩვენები შეიპყრობდნენ რომელიმე მათგანს. ზამთრის დასაწყისში კი ომმა თავისი წესები გამოიმუშავა. კორპუსის უკან, ტრასაზე, სადაც ათასში ერთხელ თუ ჩამოივლიდა ვინმეს ზინძური, მოუვლელი მანქანა, ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვდგებოდით. დისტანცია ჩვენს შორის დაახლოებით 30-40 მეტრი იყო. ხუთნი ჩვენ, ხუთნი ისინი. ყველას ხელში და ფეხებთან ქვები ელაგა.

ჯერ იწყებოდა გინება და ლანძღვა. შემდეგ ერთ-ერთი ბანაკიდან ერთ-ერთი მეომარი იღებდა თავის ქვას და ისროდა მოწინააღმდეგის მიმართულებით – ომის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ უკვე ქვა ნასროლი იყო, არცერთი არ უნდა განძრეულიყო ადგილიდან. მნიშვნელობა არ ქონდა, ქვა გცდებოდა თუ პირდაპირ შენ გეცემოდა ციდან – ვინც აიცილებდა, ესე იგი ნაკლებად გამბედავი იყო. მას მოწინააღმდეგე გუნდი დასცინოდა და ომი წაგებული იყო.

დეკემბერი ახალი დაწყებულია, ცივა, მაგრამ არც თოვლია, არც წვიმა, მხოლოდ ცივი ქარი, ცარიელი ქუჩები და თითქოს სამუდამოდ მიტოვებული კორპუსები ჩვენგან მარჯვნივ და ჩვენგან მარცხნივ.

მე ვდგავარ იქ, სადაც არ მინდა რომ ვიდგე, ომში, რომელშიც არ მინდა, რომ ემონაწილეობდე, შეყვარებული გოგოზე, რომელიც ფანჯრის კუთხიდან აკვირდება ამ სცენას და არასოდეს იქნება ჩემი და მზერას ვაყოლებ ბოშების ბარონის შვილის ნასროლ ქვას, რომელიც ჯერ მაღლა-მაღლა იწევა ჰაერში, შემდეგ იწყებს ვარდნას და პირდაპირ ჩემსკენ მოფრინავს, როგორც მეტეორი ზამთრის ციდან, როგორც ჩამოგდებული ბომბი, რომელიც იუწყება ომის მარადიულობას.

– გაიწიე, გაიწიე! – თითქოს თვალებით მეუბნება ბარონის შვილი.

– არ გაინძრე! არ აიცილო! არ გასროლო! – მესმის ჩემი თანამებრძოლების ხმა. და ვდგავარ ქარში როგორც ძეგლი.

## ერთი გასროლით დაძირონ გემები, შტორმს რომ ებრძვიან პატარა ზღვაში

ოთახის სულ ბოლო კუთხეში მიმწყვდეულს, – თითქოს სკოლაში ბავშვს რო სჯიან, – ოთახი ისე გაეწელა, რომ კარებთან მისვლას ალბათ კილომეტრები დაჭირდებოდა. არადა ამის იქით კიდევ სამი ოთახი იყო და სამივეში მხოლოდ ზამთარი და სიმარტოვე. სიცივე – ზუსტად ისეთი, როგორც სადარბაზოში, წინა თვეებში ქალები რო იცინოდნენ, იმათი ექო ჯერ კიდევ ისმოდა მეორეში. მაშინ ისინი დივანზე ისხდნენ, რომლის ქვეშ იარაღი იყო დამალული. იარაღი ეხლაც მანდ დევს, მანდვეა ბავშვობის სათამაშოები: წითელი ფიგურა, სანტა-კლაუსის მსგავსი და მუქი ყავისფერი კავშირი „ბრწყინვალე შვიდეულიდან" მოტეხილი ხელით. და სანამ მესამე ოთახიდან ჯერ კიდევ მოდის ბებოს საკმევლის სუნი, მეორეში ჯერ კიდევ შემორჩენილია ახლადგადაგდებული ლომკის – ტკივილისა და ოფლის, კოშმარებისა და საკუთარი თავის შეცოდებისგან წამოსული ცრემლების აურა.

გარეთ არ მახსოვს, წვიმდა თუ ნაწვიმარზე ქროდა ქარი, გემებს რომ ნაპირისკენ ექაჩება ქვებზე მისაჯახებლად და კაპიტანს უწევს, ღუზა ჩააგდოს. კაპიტანიც მარტოა თავის გემში, კაპიტანი ბუკია – ცნობილი მეთევზე, რომელმაც დღეს ოდნავ იმაზე ღრმად შესცურა, ვიდრე საჭიროა ან მის გემს შეუძლია, რომ გაუმკლავდეს.

ქარებს ბევრი სახელი აქვთ და ყველა თავის მისიასა და ფუნქციას ასრულებს. არიან ქარები-აძიწოჩკები, უკომპრომისოდ, ქარების კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ რომ მოძრაობენ – ზოგი ქალაქიდან ქალაქში, ზოგი კი გვერდს უვლის ადამიანთა დასახლებებს და მხოლოდ დაბლობებში, ტყეებსა და მთებში მოძრაობს.

ამბობენ, არიან ქარები, რომლებიც ადრე ადამიანები იყვნენ და სიკვდილის შემდეგ გადაიქცნენ მშიერ სულებად და ეხლა გამუდმებით დაქრიან, რომ იპოვონ ერთი ნაცნობი სახე მაინც, ან შეყვარებული, ან დედა – მაგრამ ისინი უკვე აღარ ცხოვრობენ ამ კორპუსებში, ბევრი მათგანი კი უკვე მიწის ქვეშ წევს – ამიტომ

მშიერი სული ვერასოდეს დანაყრდება. არიან ქარები, რომლებიც მხოლოდ კორპუსიდან კორპუსამდე აღწევენ, ყველას გიგრძვნიათ ალბათ ეგ ქარი, კორპუსის კუთხიდან რო გამოდიხარ და გეტაკება, ხოლო საკმარისია გზაზე გახვიდე, იქ უკვე მშვიდი ამინდი გხვდება. ასეთ ქარებს მხოლოდ გარკვეული კორპუსების გავლა შეუძლიათ სპრინტით, შემდეგ კი სადმე სადარბაზოში იძინებენ ძალების მოსაკრებად, ამიტომაა, როცა სახლში ადიხარ, ხედავ ხოლმე, როგორ აქანავებს გაურკვეველი ორპირი მტვერს და ცელოფანს, ეს ამ ქარის ძილის სუნთქვაა, მას შენს სადარბაზოში ძინავს. ნუ გააღვიძებ, დაე ეძინოს.

არსებობენ ქარების ანკლავები, როცა ერთი ქარი უერთდება სხვას და ისინი ქმნიან კავშირს და გზადაგზა იერთებენ სხვებსაც, ზოგს ნებით, ზოგს მათი ნების საწინააღმდეგოდ. თავიანთი გზის ბოლოს ასეთი ქარები ქარიშხლებად იქცევიან. არ გეგონოთ, რომ ყველა ქარის ანკლავი ბოროტია, მათგან უმეტესობას თავისი ფუნქცია გააჩნია, მაგალითად, არიან ქარები, რომლებიც ილვიძებენ შემოდგომაზე, რათა ხეები დაფერთხონ გაყვითლებული ფოთლებისგან, მერე მოდის წვიმა და ცდილობს ფოთლები გადააკრას ასფალტს, რომ ბეტონის ქალაქები ოდნავ მაინც დაემსგავსონ ნამდვილ ქალაქს და კორპუსები ნამდვილ კორპუსებს – ბუნებისგან ამოზრდილ ყვავილს, და ჩვენ შეგვეძლოს, ვიაროთ ამ ფოთლებზე და გაგვახსენდეს, როგორ ღმუოდნენ იაგუარები ღამის ჯუნგლებში. ამის მერე ილვიძებენ ის ქარები, რომლითა ფუნქცია დაცვენილი ფოთლების მოხვეტაა, მათი ნალება ქალაქგარეთ, რომ ქუჩები და პროსპექტები გაამზადონ ზამთრისთვის, როცა ცა ეცემა ასფალტს და ისმის გრუხუნი, რომელსაც ადრე ღმერთების ომს ეძახდნენ.

არიან ქარები-ავტობუსები, ისინი მოდიან შორიდან, ძალიან შორიდან და გზადაგზა მათ აეკიდებიან ხოლმე მკითხავების ან უიმედო შეყვარებულების ნათქვამი შელოცვები, პატარა დემონჩიკები, რომლებსაც არ აქვთ მარტო მოგზაურობის ძალა ან გამოცდილება, სადღაც შორს ალმომხდარი გულწრფელი სიცილები ან ტირილები და კალაშნიკოვების სროლის ხმა – ეს ყველაფერი ასეთ ავტობუს-ქარებს მოყვება, ზოგი მათგანი ავტობუს-ქარს გარკვეული საფასურის ხარჯზე დანიშნულების ადგილას მიყავს, ზოგი კი უბრალოდ გზაში იფანტება და ვარდება. ამიტომ არის, რომ ხალხი, ვინც ქოლგებით დადის, ცოტათი უფრო დაცულია – ქარიდან ჩამოვარდნილი ვინმეს შელოცვა ან გუშინწინდელი სატელევიზიო ნიუსების ნაწყვეტები რომ არ ეცემა თავზე. ის ნაწყვეტები, ქარმა რომ გზაში, რომელიღაც გაღებული ფანჯრიდან ამოკრიბა. ხო გქონიათ დღე, ტვინმა გადაჯაჭვულ დღეთა ნიუსები რო გესმით, რომელსაც ტვინი შინაგან ხმად ატრანსფორმირებს – ზოგი ისეთი ხმამაღალია, ზოგიც კი ისეთი ხარვეზიანი (ტელევიზორის ხარისხს და არხს გააჩნია) – რომ ხანდახან ვინმესთან საუბარში წამოგცდება ნაწყვეტი და მოსაუბრის ოდნავ დაბნეული თვალებით ხვდები, რომ ორი წამის წინ შენი პირით რომ თქვი სიტყვები – ის სხვისი სიტყვები იყო, თან სტერეოეფექტით. ეს არაფრით არ ნიშნავს, რომ გიჟდები, ნუ გაიქცევი ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან – თავში ხმები მთელ კაცობრიობას ესმოდა დღიდან დასაბამისა. აქვე, პროტოკოლისთვის აღსანიშნია, რომ სწორედ ამიტომაა სახიფათო მუდმივად ღია ფანჯრები – არასოდეს იცი, რა გავა გარეთ ან რა შემოვა გარედან, როცა ქარი-ავტობუსი შენს კორპუსთან გააკეთებს მორიგ გაჩერებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბავშვს. იმ დღეს ნამდვილად ბოროტი ქარები ქროდნენ გარეთ. ასეთ დროს ფანჯრის გაღება კი არა, მასთან ახლოს მისვლაც არაა რეკომენდირებული, მაგრამ როცა სახლი ძველია და სხვისია და სავსეა ხვრელებით – ეს ქარები აღწევენ შიგნით, ისევე როგორც აღწევს შიგნით ზამთარი და შენი სიმარტოვე კიდევ უფრო ღრმავდება და ერთადერთი, რაც გრჩება, არის – თავშესაფრის ძებნა საბნის ქვეშ ან ოთახის ყველაზე ბოლო კუთხეში. და არც დედა და არც მამა არ არიან ახლოს, არც ვინმე, ვინც გეტყოდა – „ნუ გეშინია", არც შუქი არის – ელექტროღუმელი(ელექტრონიკის უკანასკნელი სიტყვა) რო ჩართო და არც შემა დაგიჩერხავს ძილით – ბოროტი ქარები რო არ აგკიდებოდნენ მკვდარი ხის ნატეხებთან ერთად. და ფიქრობ: რატომ გაჩნდი? რა მინდა აქ?

და ტყუილად ფიქრობ, იმიტომ რომ არავინაა გვერდით, რო გიპასუხოს და ზუსტად იმ მომენტში, როცა ხვდები, რომ „ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში" – შიში ქრება. ბავშვი დგება ოთახის კუთხიდან. ჯერ ხოხვით, შემდეგ ავსტრალოპითეკის პახოდკით აღწევს მეორე ოთახში, დივანამდე, სადაც იარაღია დამალული – ამოაქვს იარაღი, ტენის როგორც მამამ ასწავლა, აყენებს პრედახრანიტელზე, იდებს ღუტი კურტკაში და გადის გარეთ.

იქნებ, – ფიქრობს ბავშვი, – მიუხედავად ბოროტი ქარებისა, ვინმე დამხვდეს გარეთ, იქნებ შემხვდეს ლამაზი გოგო და შეგვიყვარდება ერთმანეთი და შევქმნით ოჯახს, სადაც სულ იქნება სითბო, ან იქნებ ველური ბავშვები თამაშობენ სადმე ფეხბურთს, მიუხედავად იმისა, რომ ქარი მათ მიერ დარტყმულ ბურთს ჯიუტად უცვლის მიმართულებას, ან იქნებ მიაღწიოს ზღვის ნაპირამდე, შუქურასთან (იქ, სადაც რამდენიმე წლის მერე მას მოკლავენ, მაგრამ ეს მან ჯერ არ იცის) და დატკბეს ბოროტი თუ ეგზისტენციალური ძალაუფლების შეგრძნებით, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია დაცხრილოს შუქურა, ჩააქროს მისი შუქი, რითაც სამუდამოდ დაუკარგავს კაპიტან ბუკიას, ცნობილ მეთევზეს – პორტში დაბრუნების შანსს.

განა პატარა ველურ ბავშვებს ოდესმე ქონიათ ასეთი ძალაუფლება? ერთი გასროლით დაძირონ გემები, შტორმს რომ ებრძვიან პატარა ზღვაში.

## პავლიკ მოროზოვის ქრონიკები

### „ნუ შეგეშინდება ქუხილის რომელიც ისმის ამ მოცეკვავე ბრბოსგან"

პერმანენტული რევოლუცია ნიშნავდა ჯერ პლანეტის, შემდეგ კი მზის სისტემის შეუჩერებელ კოლონიზაციას, „რეალობის" მწარმოებელი ქარხნების განადგურებას და ამის გაგრძელებას დროის ყველა თაიმლაინზე, ამიტომ ლევ დავიდოვიჩმა იცოდა რომ ერთ-ერთი პირველი რამ, რაც მას უნდა ექნა წითელი მარსის კოლონიზაციამდე – ინდოეთის დაპყრობა იყო.

სპეცსამსახურების ბოლო მონაცემების მიხედვით, ინდოეთისა და ტიბეტის არხონტებმა უკვე ლიმბოშიც შეაღწიეს – მდგომარეობაში სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის – და იქ აგებდნენ მახეებს ყველა სულიერი არსებისთვის. როგორც ლევისთვის გახდა ცნობილი, თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა ქრთამების აღება რეინკარნაციებისთვის, მათი თვითნებური ალკვეთა, ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ახლადშექმნილი ბოდჰისატვების კორპორაცია უკვე ბუდებად ქცეულ ადამიანებსაც კი უშლიდა ხელს, თავი დაეღწიათ დაბადებისა და სიკვდილების ციკლიდან და გასულიყვნენ ნირვანაში. ასობით ბუდა იძულებული გახდა გაკოტრებულიყო, სამუდამოდ დარჩენილიყო რეინკარნაციების მორევში. ბევრმა მათგანმა კრიმინალსაც კი მიყო ხელი სასოწარკვეთისგან, ზოგი დაქირავებული მკვლელი გახდა, ზოგი დილერი, ზოგიც გალატაკდა და წიგნებსა და სხვა საბავშვო ნივთებს ყიდდა მშიერი სულების ბაზრობაზე.

„შესვენების დრო არაა, „ჩრდილოეთის ციალის ომის" სახელით მომხდარი მოვლენის შემდეგ არმია ინდოეთისკენ მიემგზავრება. წითელი არმიის ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დამტვერილი შინელის ტანსაცმლით ვაგონის ფანჯრებიდან უსასრულო სტეპებს გაყურებენ და მეტადონის ინექციებს იკეთებენ, რომ წინა ღამის კოშმარებმა არ დააფრთხოს მათი ძილი, ანგელოზები იწმენდენ ფრთებს და მაზატაპეკის სალათებს ჭამენ უხვად. მე ბედნიერი ბავშვობის იმპლანტებს ვირჭობ კუნთებში. ამ იმპლანტებს იმ ბავშვების ტვინებისგან აკეთებენ, ვინც ადრე მოკვდა და ერთადერთი, რაც მათ ახსოვთ – ბედნიერი ფსიქოდელიური ბავშვობაა, დედის ზრუნვა, სამყაროს სიახლის შეგრძნება. მე ეს მამშვიდებს და მახსენებს ძილს შენს ფეხებს შორის." – წერდა ლევ დავიდოვიჩი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ დეპეშაში ფრიდა კალოს, თავის უდიდეს სიყვარულს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ მთავარ მიზეზსაც, რომლის გამოც ლევმა „რეალობის" განადგურება გადაწყვიტა თავის დროზე.

– გიყვარვარ? – იკითხა ერთხელ ფრიდამ, როცა ისინი მიშვლები იწვნენ უზარმაზარ საწოლზე. მხოლოდ აცტეკების მხურვალე მზე ეცემოდა მათ სხეულებს ღია ფანჯრიდან და გარეთ იყო სიმშვიდე, თითქოს მთელ ქალაქს ეძინა შუადღის ღრმა ძილით, როცა არ იცის სიზმრები.

– მიყვარხარ, მაგრამ წინაც მიყვარს, ხომ იცი – უპასუხა ლევმა და ცისფერ, ფრესკასავით მოხატულ ჭერზე დამჯდარ სქელ ბუზს დააკვირდა.

– მაშინ ჩვენი სიყვარულის გამო, უნდა გავანადგუროთ ისინი, თორემ მოვა დრო და ისინი გაგვანადგურებენ ჩვენ – თქვა ფრიდამ, ისე, რომ ლევისთვის არც გამოუხედავს. თითქოს შორეული აცტეკების ყივილი მოესმა ლევს და სამუდამოდ ჩაებეჭდა ეს ფრაზა თავში. ლევმა იცოდა, რომ ფრიდა მართალს ამბობს, მაგრამ უჭირდა განშორება ამ სითბოსთან, ამ დღეებთან და ოფლიან, მაგრამ სიტკბოთი სავსე ღამეებთან, ამ უცნაურ, ხელით მოხატულ ფრესკასთან მათი საწოლის თავზე. თუმცა მერე ყველაფერი შეიცვალა.

ორთქლმავალი ირწევა და ცადამყვანა ნელ-ნელა იწყებს ზემოქმედებას, მეომრების გონება თითქოს იბინდება, რეალობის ეფექტი ნულზე დადის და უცნაური ხილვები ყურებიდან გარეთ გამოდის, როგორც ორთქლი ჩაიდნიდან. წითელი არმია ინდოეთისკენ მიემართება და ყოველი კილომეტრის შემდეგ, ლანდშაფტის ცვლილებასთან ერთად, ისინი თავიანთ ხილვებში ინდოეთის უძველეს ღვთაებებს აწყდებიან. ისინი პირველად ხედავენ ამ უდიდეს, საშიშ არსებებს, ომლებსაც მოაქვთ შიშის და ცნობისმოყვარეობის უცნაური ნაზავი. იარაღები ლღვება მათ ხელებში და უცნაურ ფორმებს იღებს. უკანა ვაგონებში ქვეითი ჯარისკაცები ცადამყვანებს ჭამენ და სამაგონს აყოლებენ. სასადილოს ვაგონიდან გემრიელი საკვების სუნი გამოდის და სტეპებში იფრქვევა და უერთდება ქვეყნის მიუსაფარ, დენთის სუნით გაჟღენთილ ქარებს.

ალბათ ასეთი არომატი აქვს რევოლუციას.

კოპირაიტერების ვაგონში დაკუჭული გაზეთები სავსეა ავლანური მოსაწევითა და ოპიუმით, კედელზე ჩარჩოში ჩასმული გიფფაილებია ომების საუკეთესო მომენტებიდან, მელნისა და ახალი ქაღალდის სუნი შერწყმულია საბეჭდი მანქანის განუწყვეტელ კაკუნთან. ეს კაკუნი რითმია, რომლითაც იქმნება ნიუსების მუსიკა. ნიუსები შემდეგ საფოსტო მტრედებითა თუ დრონებით ქვეყნის ოთხივე მხარეს იგზავნება, რათა ყველამ იცოდეს – რევოლუცია არ დამთავრებულა. ამბობენ, პატარა ქალაქებში მოსახლეობა გროვდება ხოლმე ცენტრში და არჩეული ტენორი ხმამაღლა კითხულობს ჩვენს მიერ დაწერილ ქრონიკებსა და სლოგანებს და გლეხების ცარიელი გული ივსება იმედებითა და აპოკალიფსით.

ლევ დავიდოვიჩი თავის კაიუტაში მახორკაში გაზავებულ პლანს აბოლებს და კაიუტის ფანჯრიდან მოსაწყენ ტრამალებს ადევნებს თვალს. მალე ამ ტრამალებს ბირთვული ზამთრის ფერფლნარევი თოვლი დაფარავს და რადიაცია წარმოშობს ახალ, არნახულ მონსტრებს, რომელთა შესახებ სოფლის გაზეთებში, ყვითელ პრესაში რომ ყვებიან ხოლმე. მის მაგიდაზე „ტიბეტური მკვდრების წიგნი", სამი ოსკარის ქანდაკება,

ანგელოზების სკალპები და ევრაზიის ინტერაქტიული რუკაა გადაშლილი – აქედან ლევ დავიდოვიჩს შეუძლია მისი ჯარების განლაგება აკონტროლოს. მაგრამ ამ წამს ის საერთოდ არ აქცევს ყურადღებას რუკას, მას ხელში თავისი პატარა დღიური უჭირავს და მცირე შენიშვნებს იწერს ბუხარინთან საუბრის პაუზებს შორის.

– თუ ევერეტის ინტერპრეტაცია სწორია – ესე იგი არსებობს ჩვენი სამყაროს უამრავი ვერსია, სადაც მოვლენები სულ სხვანაირად ვითარდება, მაგრამ ყველაში.. ყველა მათგანში ეს რევოლუცია ერთდროულად ხდება, გესმის აბდულ?

ყაყაჩოების წვენით გაბრუებული აბდულ ენუქიძე, გარკვეულ წრეებში ცნობილი, როგორც „ოქროს თევზი", საწოლს არის მიყუდებული და თავს აქნევს, ოღონდ ისე, რო ვერ დაადგენ, ეს თავის ქნევა თანხმობას ნიშნავს თუ მატარებლის რითმს აყოლილ რევოლუციონერს. ისე ძლიერად აკიმარებს, რომ თავს ებრძვის, რომ არ ჩავარდეს სიზმრების ტბაში, სადაც გარესამყაროს ხმები დაგუბებულ ექოდ ისმის, ზუსტად ისე, როგორც ის ესმით მკვდრებს – არასაკმარისად ღრმად ამოთხრილ საფლავებში.

ლევ დავიდოვიჩმა დიდი ნაპასი ამოარტყა და ცხენის ფორმის ბოლი გამოუშვა, ცხენმა ირბინა, ირბინა და აბდულას ცხვირს დაეტაკა.

– აი, მაგალითად, აგდებ კამათელს ხო? სანამ კამათელი რამე ციფრზე დაჯდება, სამყარო იმდენ ვერსიად იყოფა, რამდენი მხარეც აქვს კამათელს. ერთ ვერსიაში 6-იანი ჯდება, მეორეში 5, მესამეში 4 და ა.შ. ეხლა ამ წამს მილიონ სამყაროში მილიონი წითელი არმია მიექანება მილიონი ინდოეთისკენ... – თქვა ხმამაღლა ლევ დავიდოვიჩმა ისე, რომ თვითონაც ვერ მიხვდა, რა თქვა – „მილიონი აბდულა კი უტიფრად აკიმარებს" – გაიფიქრა გულში, სათვალის ოპტიკა სკეპტიკურ რეჟიმზე გადართო, იქვე აბდულას გვერდით მჯდარ ადოლფ აბრამოვიჩ იოფეს გადახედა – მის ერთ-ერთ საუკეთესო რევოლუციურ მეგობარსა და ცნობილ თვითმკვლელს.

ლევ დავიდოვიჩი წამით გაჩუმდა, იოფეს მთელი ძალისხმევა დაჭირდა, რომ თვალები გაეხილა. ალბათ ყველა სამყაროში იოფესაც მართლა ზუსტად ესე აკიმარებდა, რასაც ვერ ვიტყვით ლევ დავიდოვიჩზე. რომ არა ის, Rave-ი საერთოდ არ იარსებებდა. ჭეშმარიტი რევოლუციონერი სულ ხოდზე უნდა იყოს.

– ეგ ნიშნავს, რომ თუ აქ წავაგებთ... სადღაც მაინც არსებობს სამყაროს ის ვერსია, სადაც რევოლუციამ გაიმარჯვა, არა? ლევ დავიდოვიჩ?

– კი, სადღაც აუცილებლად არის სამყარო, სადაც რევოლუცია გაიმარჯვებს, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ჩვენი სამყაროა – თქვა ლევმა და თვალები დახუჭა.

მას ჯერ კიდევ აწუხებდა გუშინდელი შეტაკების დროს მიღებული გადაწყვეტილება: უნდა გამოეყენებინა თუ არა ბირთვული იარაღი? ეხლა ხომ ნახევარ პლანეტას რადიაციული კოშმარი დაფარავს, რევოლუციის მტრებს მუტანტები დაემატებიან, ეს კი ნიშნავს ახალ ხარჯებს, მოსახლეობის უკმაყოფილებას, თვითონ დედა პლანეტის უკმაყოფილებას, გასახსნელი იქნება ახალი ფრონტი – რადიაციის ნარჩენების გასანადგურებლად... მაგრამ სხვა რა გზა ქონდა? როგორ უნდა მოერიო მომავლის სპეცსამსახურებს, რომლებიც შენზე უკეთესი ტექნიკით და მეომრებით არიან აღჭურვილები და არაფრით მოგცემენ უფლებას, რეალობა გააუქმო? არა, ალბათ სწორი საქციელი იყო, რევოლუცია მსხვერპლს ითხოვს – იმშვიდებს თავს რევოლუციონერი – ნეტავ რას იტყოდა ამაზე პავლიკა? – ფიქრობს ის და ნელ-ნელა თვითონაც იწყებს კიმარს. „მაშინ, ჩვენი სიყვარულის გამო უნდა გავანადგუროთ ისინი, თორემ მოვა დრო და ისინი გაგვანადგურებენ ჩვენ„ – ჩაესმის ფრიდას ხმა, რომელიც წინა წლებში გაცილებით უფრო კარგად ისმოდა, ეხლა კი თითქოს დროის მსვლელობასთან ერთად სადღაც AM ტალღაზე დაჭერილი უცნობი ქვეყნის უცნობი რადიოდიჯეის შორეული ხმასავით ჩაესმოდა ხოლმე.

დამწვარი მკვდრების ფერფლით შეღებილი ცისფერი შივა და ბარდოს მრისხანე ღმერთები ცეკვავდნენ საშინელი ღიმილით ლევის დახუჭული თვალების ეკრანზე და ის ვერ ხვდებოდა – ეს მისასალმებელი ცეკვაა თუ ომის გამოცხადების.

„ნუ შეგეშინდება ქუხილის რომელიც ისმის ამ მოცეკვავე ბრბოსგან, მოულოდნელი საშიში ხმების, რომლებიც გეუბნებიან: „მოკალი!" მათი სიმართლე და შენი სიმართლე – ერთია. შეუერთდი მათ, გახდი ერთ-ერთი მათგანი, იცეკვე მათთან ერთად" – ყვიროდა ფრაზა ტიბეტური მკვდრების წიგნიდან, ცდილობდა ამოეღწია ფურცლებიდან, მოსაწევის ბოლივით შიახლოებოდა ვაგონში მჯდომარეთა ტვინებს, მაგრამ სტრიქონის ამ ყვირილს ორთქლმავალი მარხავდა თავის გრუხუნში

## მედიტაცია.დიდაფეთქებაზე(X);
## X++;
## } WHILE (X < განთიადი);

ზაფხულში გაჩერებული ორთქლმავალის ვაგონზე, ლოტოსის პოზაში ჩამჯდარი პავლიკ მოროზოვი ჩვეულებისამებრ უსასრულო სიცარიელის მედიტაციას ასრულებდა, როცა მოულოდნელმა ტყვიამ მისი წითლად მბჟუტავი ნიმბი გახვრიტა. ელექტრონული ნაპერწკლები მიკროფოიერვერკივით გაიფანტა პავლიკას თავზე აგვისტოს ჯემინიდების წვიმის ქვეშ.

მემანქანემ იმავე წამს დააჭირა ბოლო შემორჩენილი თითი განგაშის ღილაკს, სირენებმა ვეშაპების ძახილი გაუშვეს სტეპების სიოში. მეომრები აჩოჩქოლდნენ მატარებლებში, მათგან ზოგს სიზმარში მოუსწრო ტყვიების ნაკადმა, რომელიც პავლიკასგან მარჯვნივ, ჩრდილოეთის ნათების მხრიდან მოექანებოდა და სამუდამოდ დატოვა ისინი საკუთარ სიზმრებში.

– რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, გათიშე ღამღამობით შენი ნიმბი! – დაუყვირა პავლეს ვაგონიდან ტროცკისტებისა

და ღამის ხედვის სათვალის ამარა გადმომხტარმა ლევ დავიდოვიჩმა, უზით ხელში. დალაშებასთან ერთად ის გამუდმებით ატარებდა ღამის ხედვის სათვალეებს, ძილშიც და სექსის დროსაც კი არ იხსნიდა მათ სახიდან, ხოლო ხელიდან აისის პირველ სხივებამდე არ უშვებდა უზის, მაშინ როცა დღისით რეიბანებს და გრძელ ჯოინთებს ანიჭებდა უპირატესობას.

ვაგონის ცივ ბორბლებს ამოფარებულმა, ზუმი გაასწორა და სიბნელის სკანირება დაიწყო.

– ვინ არიან? – ვიყვირე მე, სანამ აკანკალებული ხელებით ვცდილობდი კალაშნიკოვისთვის აზოიმა მომერგო.

– წყეული რეინკპოლი! – მითხრა ბელადმა და ორი ვაგონის იქით აკოპებში ჩაჩჯდარ წითელგვარდიელებს გადასძახა – ანგელოზები გამოუშვით!

და ვინმემ, ჩამოიყვანეთ ბოლო-ბოლო პავლიკა ვაგონის თაეიდან!

ჩემს პირდაპირ – პრაქტიკული წვერი, განუმეორებლობის ეკონომიკა, მზერის კოლონიზაცია გრძნობებით. ჩემგან მარცხნივ – გათითოკაცებული და პერმანენტული ნახევრად-კრიმინალები ცნობიერების ლაქებით ხელის მტევანზე ან თავის ქალაზე, როგორც გორბაჩოვი – იმპერიის უკანასკნელი მმართველი.

მთავრობა ჟანგისფერია, მითოლოგია ავეჯია, სარეკლამო კრეატივის ქრონომეტრაჟი ექოა ჟანგბადად ქცეული მონარქების სასქესო სურვილების...

23-ე ვაგონიდან არაადამიანური ღრიალით ამოფრინდა ჩვენი მატარებლის ყველაზე ელიტური ქვედანაყოფი – დაქირავებული ანგელოზები. ქაოსის მამაპაპათაგან დატოვებული პალეოლითური ქარხანები უკვე ვერ აწარმოებენ მსგავს მგელ-ანგელოზებს სინათლის ხასიათით, რომელთა სანოლებს ახსოვდათ ანგელოზების სითბო, გაოფლილი ფრთების სუნი, რაღაცით ქათმებისას რო წააგავს და სულში მორეული სოფლების სიმშვიდეს გილვრის... 3-კილოვატიანი ბრძოლის ყიჟინა სტერეოეფექტით, იარაღის სიმძიმის შეგრძნება გააფთრებულ ხელში. მათ სახეებს არ ქონდათ კეფა და მიტოვებულ გზაჯვარედინებზე ისინი ყოველთვის ორხივე მხარეს იხედებოდნენ.

ჩვენ და ანგელოზებს არ გვეშინოდა სიკვდილის, იმიტომ რომ დასაკარგი არაფერი გვქონდა. სიკვდილის იმათ ეშინიათ, ვინც ჯერ კიდევ რამეს ებლაუჭება, მაგრამ თავის მხრივ, არც რეინკარნაციულ პოლიციას ეშინია სიკვდილის. ყოველი სპეცმუშაკისთვის, მათ შტაბ ბინაში, პოლუსის ყინულების ქვეშ – 20-მდე სარეზერვო სხეულია გადანახული. ამ ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში მათი ცნობიერება ეგრევე გადაიტყორცნება ხოლმე ახალ სარეზერვო სხეულში და ისინი ისევე მზად არიან დაიძრან და გვეძებონ. თუ რეალობის მწარმოებელი ყველა ქარხანა არ დაეცა, მათი შემოსევები არასოდეს დამთავრდება, ან დასრულდება მაშინ, თუ დავეცემით ჩვენ. ასეთი ქარხანა მხოლოდ ხუთი დარჩა და ერთ-ერთი მათგანი, ლევ დავიდოვიჩის ბრძანებით, გუშინ ღამე, ჯერარნახული ბირთვული ბომბით განადგურდა.

ანგელოზები ტყვიაგაუმტარი ფრთებით იგერიებენ ტყვიებს, გვაფარებენ თავიანთ კალთებს, აქედან კი გაცილებით ადვილია დამიზნება.

ორმოცწუთიანი ორმხრივი სროლის შედეგად, ჩვენ ყველა აგენტი დავხოცეთ. მაგრამ ისინი მალე დაბრუნდებიან. დროა მატარებელი შემდეგი მისიისკენ დაიძრას.

სიცარიელის ჭვრეტაში ჩაძირული ბავშვი გაუნძრევლად იჯდა ვაგონის თავზე, მისი ნიმბი იაფფასიანი სასტუმროს დაზიანებული ნეონივით ბჟუტავდა, როგორც [illegible] მზე, რომელიმე შორი გალაქტიკის, რომელსაც ვერასდროს მივაღწევთ ვერც ადამიანები და ანგელოზები, ვერც ჩვენს მიერ შექმნილი კოსმოსური ზონდები. ტყვიები თითქოს ერიდებოდნენ მას, როგორც მდინარე, რომელიც გარს ევლება ამოშვერილ ლოდს და ისე აგრძელებს თავის გზას. ხდება ხოლმე, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, სიკვდილი მაშინ მოდის, როცა ნადირობს შენზე, მაგრამ საკმარისია შენ დაიწყო მასზე ნადირობა, ის არა და არ მოდის, მუდამ ხელიდან გისხლტება ოქროს თევზივით.

ნიმბშ მოხვედრილმა ტყვიამ ყველა კოდის ნაშლა მოასწრო ერთის გარდა, ტაბლეტზე პავლიკას ტვინში მიმდინარე პროცესები უძველესი პროგრამული ენის კოდით იყო შენარჩუნებული.

```
"public class მედიტაცია {
public static void Main ()
  { int ვარსკვლავიანი ცა=ჩამქრალი ჰოლოგრამების სურნელს გაზაფხულის წვიმების მერე=თავისუფალი ღრმა ჩასუნთქვა;
  Do
   {
     მედიტაცია.დიდაფეთქებაზე(x);
    x++;
    } while (x < განთიადი);
   }
  }"
```

– ნიმბის დაზიანებამ უსასრულო ციკლში ჩააგდო. ისეთი არაფერი, სქემებს გამოვცვლით, კოდს დავარედაქტირებთ და ერთ საათში ჩიტივით იქნება – მოახსენეს იარაღასხმულმა პროგრამისტებმა გაოფლილ ლევ დავიდოვიჩს, სანამ ანგელოზების ერთი ნაწილი სკალპებს აძრობდა დაღუპული რეინკარნაციული პოლიციის თანამშრომლებს, სხვები კი დასაკეც ელექტროჯვრებს შლიდნენ, რომ მათი გვამები ზედ დაეჭედათ. ვეშაპების ხმა შეწყდა, სადღაც შორიდან მას ყმუილით უპასუხეს მგლებმა – ყველას აქვს თავისი სიგნალიზაცია.

უკვე ჯვარცმული ავატარების მიერ წარმოქმნილ ხეივანში, ნეონებით ამონათებული წარწერა „INRI"-ს ათინათებით გაოფლილ სახეზე – ლევ დავიდოვიჩი სიკვდილის მედიტაციას მიეცა. ამ ბოლო დროს ის სულ უფრო ხშირად აკეთებდა ამ პრაქტიკას, რაც გაურკვევლობას იწვევდა ხოლმე ჩვენს რიგებში.

– რატომ მედიტირებს ბელადი მტრების გვამებზე? – ისმოდა ხოლმე ჩურჩულით.

– როგორ მოვკლათ ისინი, ვინც არ კვდებიან? – გავიგე, ჩემს უკან როგორ კითხა დაღლილმა წითელარმიელმა მეორეს. ისინი ხელჩაკიდებულები იდგნენ, ბავშვებივით ოკეანის პირას.

ხილვები დიდი აფეთქების, სამყაროს პირველი სამი წუთი, როცა ის უზარმაზარ მასშტაბებამდე გაიზარდა, სუპერნოვების აფეთქება, მარადიულად მოხეტიალე ასტეროიდები – „კოსმოსური მუსორი", ევოლუციური ჩიხები და განტოლებები, აღზევებული და დაცემული საიმპერიოები, ლალატები, მკვლელობები, გენოციდები, მომავლის სამყარო დასახლებული ნახევრადუკვდავი კიბორგებით, კოლონიზაცია მარსის და სამყაროს ბოლო სამი წუთი – აი რა იხილა პავლიკამ, როცა ტყვიამ მისი ნიმბი გახვრიტა. ლევმა ეს იცოდა, ლევმა ისიც იცოდა, რომ პავლიკა ამ ინფორმაციას მტრებსაც უგზავნიდა: ასეა მოწყობილი მისი ალგორითმი, საკუთარ ბუნებას ვერ გადაახტები.

და მოსალოდნელი აბრაამული მსხვერპლშეწირვის შეგრძნება უსასრულო სევდით ავსებდა მის გულს.

ორთქლმავალი წითელი გარიჟრაჟის მოტივებზე დაუკრა და როგორც ყოველთვის, მის უკან გვამების დიდი ხროვა მიიწევდა.

„ჩვენ კონტრრევოლუციონერების ძვლებზე დავდივართ, ეს არის ჩვენი რელსები." – წერდნენ კოპირაითერები და აგზავნიდნენ დეპეშებს პატარა სოფლებსა და დიდი ქალაქებში.

## „მზეო ბირთვულისა, მზევ თიამათისა" – მღეროდა პავლიკა

*(რასტრელი)*

დაღლილი წითელარმიელები პირდაპირ ტანსაცმლიანად ეშვებოდნენ წმინდა მდინარე განგაში. ეს ათიათასწლოვანი წყალი მალამოდ ედებოდა ომით დასერილ და გადაღლილ სხეულებს. სხვები კალაშნიკოვების ჩრდილში მოკალათდნენ და გადამალეს დეკარტის ტომეულები. ყველაზე დაღლილები, მუცელზე დაწოლილები, ძროხებივით ხაპავდნენ წყალს. გვარდიელებმა ჩექმები გაიძრეს და იქვე მიმოყრილი თავის ქალებით იმორებდნენ ტანში შეზელილი ომისა დ გუშინწინდელი ბირთვული აფეთქების




გალაქტიონის ჩატბოტის ტვინი

კვალს. მთავარანგელოზები ლოდებზე დაწვნენ, ლოსიონები წაისვეს და მზეს მიეფიცხნენ გასარუჯად.

*„მზეო ბირთვულისა, მზევ თიამათისა,*
*ლოცვად ფეხზემდგარი ნაგანს შევედრები.*
*იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,*
*ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.*

*ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,*
*ფაქტი მოუვლინე ისევ შენმიერი,*
*დილა გაუთენე ისევ სერვერიდან,*
*კოდი უმანკოთა მიეც შვენიერი.*

*ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება,*
*უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,*
*მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,*
*მზეო თიბათვისა ამას გევედრები."*

– მღეროდა პავლიკა, უფრო სწორად, ის, რაც დარჩა მისგან – მეხსიერების ჩიპი – მიერთებული რიგით კიბორგს – იმას, ვინც იმ დღეს პავლიკას ავატარის მოვალეობას ასრულებდა.

და ეს სიმღერა უცნაური შეგრძნებით ავსებდა მეომრების გულებს, სადაც უკვე გაცრეცილი, სიზმრისეული მირაჟებივით, მაგრამ მაინც შემორჩენილიყო შორს, ძალიან შორს მოტოვებული მშობლიური სოფლებისა და ქალაქების მოგონება.

*„იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,*
*ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები."*

– იმეორებდნენ გულში უბრალო ნითელგვარდიელები და ზოგი ფიქრობდა მარტოდ დარჩენილ დედაზე, ზოგი შეყვარებულზე, ვესნუშკებით მთელ სახეზე და ფიქრობდა: ნეტავ დედა ისევ მკითხაობს ყავაზე? ვინ უჩეხავს შეშას ზამთარში?

გაცილებით სახიფათო იყო ფიქრი შეყვარებულზე – იმის დაშვება, რომ შეყვარებული სხვასთანაა, სანამ შენ ომობ – ეს ყველაზე რთულია მეომრისთვის, იმაზე რთული, ვიდრე ზეციდან მომავალი გრადების აცილება.

როგორც კი სიმღერა შეწყდა, იქვე ლოდზე მჯდარი ლევ დავიდოვიჩი წამოიმართა, გადახედა მთელ ჯარს, თითქოს ლომმა პრაიდს და ბრძანება გასცა, რომ ღმერთები, მდინარის პირას, მწკრივში ჩაეყენებინათ.

– სიმაღლის თუ სიდიადის მიხედვით ლევ?

– პროსტა მწკრივში ჩააყენეთ, მარიაჟის გარეშე, თუ შეიძლება ყველაზე მოუსვენრად შივა გამოიყურებოდა, მას სხვებისგან განსხვავებით იმდენი ხელბორკილი ედო, რამდენი წყვილი ხელიც ქონდა, ეს კი, მოგეხსენებათ – ძაან ბევრია.

– ცოტა მოუშვი, ძაან მიჭერს – დაიწუწუნა ერთ-ერთმა ღმერთმა, რომლის სახელი ლევს არ ახსოვდა. რთულია და არც არის საჭირო დაიმახსოვრო ამდენი ღმერთის სახელი, მთავარია იცოდე მიდგომა ღმერთების მიმართ.

– უნდა გიჭერდეს – ყეფით უპასუხა ლევმა და პირიდან დორბლი მხეფებად აფრქვია.

– ბუდას მოკვლით, შენ ბუდა გახდები – თქვა ლოტოსის პოზაში მჯდარმა ყმაწვილისსახიანმა მსუქანმა კაცმა.

– მარა შივას მოკვლით შივა ვერ გახდები – გაბრაზებული თვალებით გადახედა ჯერ [illegible] ბუდას, შემდეგ ლევს.

– ამხანაგო ლევ, რას ვუპირებთ ღმერთებს? – მოშვებულმა იკითხა იქვე მჯდარმა წითელარმიელმა.

– რასტრელი!

რაფაელმა და სხვა ანგელოზებმა დინჯად, მაგრამ ყურადღებით მიატრიალეს თავები, გაოცებისა და დაინტრიგების ნაზავით, რაფაელმა თავისი საფირმო რეიბანებიც კი მოიხსნა და ცასავით ცისფერი თვალები გამოაბრწყინა, ზუსტად ისეთი, როგორც რენესანსის ფრესკებში. გვარდიელები დაიბნენ და ერთმანეთს გადახედეს, თითქოს ამოწმებდნენ, სწორად გაიგეს თუ არა წითელი ბელადის სიტყვები. იგივე გაიმეორეს ღმერთებმაც.

მთელი ჯარი თითქოს გაშეშდა, მხოლოდ განგა აგრძელებდა მდინარებას.

– მაგრამ... ამხანაგო ლევ...

– არავითარი მაგრამ! გადატენეთ კალაშები... თითო ჯარისკაცი თითო ღმერთის წინ 13 მეტრში, სასწრაფოდ!

ჯარისკაცები დაბნეულები, მაგრამ ჯარისკაცული სიზუსტით განლაგდნენ ღმერთების წინაშე. ბრძანება პროგრამული კოდივითაა – ზუსტი, კონკრეტული და დაუნდობელი და ის უნდა შესრულდეს.

მათი ლულები პირდაპირ ღმერთების შუბლებისკენ მიეშვირა, ღვთაებრივი შარავანდედები ამ თავებს იდეალურ სამიზნეებად აქცევდა – თითქოს ტირში იყავი საბავშვო ატრაქციონზე.

– კალაშნიკოვები ლევ? – გაეცინა იესოს, რომელიც თავს აშკარად ამოვარდნილად გრძნობდა ინდუისტური პანთეონის ღმერთების გვერდით.

– კალაშნიკოვები იეშუა, ნუთუ არ გსმენია, რომ კალაშნიკოვმა ეს რკინა თავდაპირველად ღმერთების დასახოცად გააკეთა? მარა მას შემდეგ, ყველანი გაქრით და თვითტკობაში გადახვედით, ხოლო რეალობამ და მისგან გამოწვეულმა ისტერიულმა ისტორიამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენ ამ კალაშებით ერთმანეთის ხოცვა დავიწყეთ.

როგორც ჩანს თქვენ უკვე დიდი ხანია არ მომკვდარხართ ამხანაგებო, არა?

ნნ, ნნ, ნნ... არ შეიძლება ასე...

აი შენ, კრიშნა... ბოლოს როდის მოკვდი?

კრიშნა გაუცხოებული, ოროსანის მზერით მზერით იყურებოდა დაბლა, თითქოს ტელეპატიურად ატყობინებდა ჭიანჭველებს, რომ ყველანი

ერთად მოგროვილიყვნენ და დაგვსხმოდნენ თავს.

„ალბათ სადღაც 2 ან 3 ათასი წლის წინ?" – აგრძელებდა თავის მონოლოგს ლევ დავიდოვიჩი და მოუსვენრად დადიოდა გვარდიელების მიშვერილ კალაშებსა და ღმერთების მწკრივს შორის – „საქმე იმაშია, ჩემო წითელარმიელებო, – და ლევმა ხელებაკანკალებულ გვარდიელებს გადახედა, – და ჩემო ღმერთებო, – და ლევმა მზერა დატყვევებული ღმერთებისკენ ისროლა, – რომ ჩვენ, წითელი გვარდია – არა, მაგრამ თქვენ აშკარად გადაეჩვიეთ სიკვდილს... და ეს უდიდესი სისუსტეა. უპატიებელი სისუსტე.

ღმერთი, რომელიც არ კვდება? რანაირი ღმერთია ღმერთი, რომელიც არ კვდება? მაგრამ მაგაზე უარესია, ღმერთი, რომელიც იმდენად გადაეჩვია სიკვდილს, რომ თუ მოკვდება – ვერ მოახერხებს გაღვიძებას.

ეხლა ვნახოთ, რამდენი თქვენგანი შეძლებს რეალობის განადგურებას."

რაფაელ მთავარანგელოზმა შეწყვიტა ფრთებში რწყილების ძებნა, თავისი საფირმო რეიბანები ისევ გაიკეთა და მოვლენების შემდგომი განვითარების დაძაბულ მოლოდინში პლანგარეულ მახორკას გაუკიდა.

– წითელარმიელებო, გადატენა იარაღის! – დაიყვირა ლევმა.

მდინარის დინების ფონად რკინების გადატენვის ხმები კლავიატურაზე ტექსტის აკრეფასავით გაისმა.

– წითელარმიელო!

და-უ-მიზ-ნაააა!

კალაშნიკოვები გამყარდა იუნკერების ხელებში და ქანდაკებასავით გაშეშდა ღმერთების მიმართულებით. უეცრად ამოვარდნილი ათასი ქარიც კი ვერ შეარხევდა ვერცერთ ხელსა და იარაღს და ღმერთებიც მდუმარედ იდგნენ...

– ზალპი! – დაიძახა ლევ დავიდოვიჩმა და ჰაერში მათრახი აიქნია. მათრახი შავი გველივით აფრიალდა უზარმაზარი მცხუნვარე მზის დისკოზე.

ყველა კალაშნიკოვმა ერთდროულად მისცა ზალპი და ინდოეთისა და ტიბეტის ნეტარი ღმერთები შუბლგახვრეტილები დაეყარნენ განგის ნაპირებზე.

– კანტროლკა – დაამატა ლევმა და კიდევ ასობით ტყვიამ გახლიჩა ღმერთების დაცემული სხეულები.

– დალშე?

– დალშე ველოდებით – თქვა ლევმა და გვამების წინ ინდიელი მეჯვრავის პოზაში ჩაჯდა.

სადღაც, გულის სიღრმეში, ლევი ელოდა სასწაულებრივ წამოდგომას ამ ათასი გვამის. შემდეგ წარმოედგინა, როგორ ეხუტებიან წითელგვარდიელები და ღმერთები ერთმანეთს და საღამოს მართავენ საერთო ნადიმს – აღნიშნავენ მარადიულ დაბრუნებას, სამყაროს რეგენერაციას, სვამენ მთვარის სადღეგრძელოებს და მთვრალი ღმერთები აკეთებენ ფოკუსებს – გაუნათლებელი წითელგვარდიელების გასაოგნებლად.

მაგრამ ღმერთები არ დგებოდნენ.

ლევმა საათს დახედა, ამ მინიატურული მოწყობილობის წიკწიკის ხმა ეხლა მისთვის მთავარი დაკვირვების ობიექტი იყო.

„30 წამი... 40... 60-ს გადაცდა, უკვე წუთი..." – ფიქრობდა ლევი და აზრზე მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა ანგელოზის ხელი იგრძნო მხარზე:

– ისინი არ წამოდგებიან... ყველა მკვდარია... – თქვა ანგელოზმა და ლევს გაეცალა.

ეხლაღა აღმოაჩინა ბელადმა, რომ უკვე მოსაღამოვებულიყო, მდინარეს ჰორიზონტის მეწამული ფერი მიჰქონდა ოკეანისკენ, ხოლო გუშინდელი ღმერთები ისევ ისე – ჩვეულებრივი გვამებივით იწვნენ, ისევ იქ – სადაც დაეცნენ. ასეთი გვამები ლევმა ასობით ნახა ამ უსასრულო ომში.

„ჩვენ ღმერთები მოვკალით, ასე ცივსისხლიანად – ყველა ერთად გავაგორეთ, საშინელებააა" – ისმოდა ერთ-ერთი კოცონის მხრიდან წითელგვარდიელების კმათი.

„გიხაროდენ, ვინაიდან ეს გვამები ნიშნავს, რომ ახლოა რეალობის დასასრული, სადაც ყველაფერი დამთავრდება და სამდღიანი წყვდიადის მერე დაიწყება თავიდან... სუულ სუუულ თავიდან და ჩვენ ისევ მოვალთ განგას ნაპირებზე და ისევ დავხოცავთ ღმერთებს და ეს გაგრძელდება ad infinitum" – ისმოდა შორიდან ეგზალტირებული, დაექსტაზებული ბუხარინის ხმა.

– როგორ ფიქრობ, კარგია თუ ცუდი, რაც ჩავიდინეთ? – კითხა ლევმა ანგელოზს.

– კარგს და ცუდს, მეგონა, ჯერ კიდევ საქართველოში გავცდით, როცა ქაქუცამ ხევისბერებთან აგვიყვანა. მე მხოლოდ ვიცი ფაქტი – ვერცერთი მათგანი ომში ვერ დაგვეხმარება, მოგვიწევს ჩვენი ძალებით გამკლავება...

– მაგრამ... მაგრამ მარადიული დაბრუნების მითი??

– როგორც ჩანს, ეს მხოლოდ მითი იყო ან შემდეგ გადაიქცა მითად, ისევე როგორც ჩვენ გადავიქეცით ღმერთებად, მათი დახოცვის მერე... მაგრამ, მოდი გკითხავ – განა ეს ფაქტი ნიშნავს იმას, რომ კეფაში ეს ნაგანი რომ გაგიქანო – შენ არ მოკვდები? – ანგელოზმა ნაგანი ლევის კეფას მიადო

– ალბათ მოვკვდები – თქვა ლევმა, ისე რომ არც კი მიუქცევია ყურადღება ნაგანისთვის და გვამებს უყურებდა.

– მაშინ ერთ რჩევას მოგცემ – მოდი, ჯერ არ მოკვდე – უთხრა მისი ყურისკენ გადმოზნექილმა ანგელოზმა და სწრაფად გაეცალა ლევს.

– „მოდი, ჯერ არ მოკვდე" – ბავშვის ხმით, თითქოს გაჯავრებით გაიმეორა ლევმა ანგელოზის სიტყვები – აბა, იოფეს უთხარი ეგ.

იოფე, რომელმაც უკვე წლების წინ მოიკლა თავი, იქვე განოლილიყო, ქვიშას ტანზე იზელდა და ულრუბლო ცას გაჰყურებდა.

– დროა დავიძინოთ, ალიონზე გავდივართ – დაიძახა ლევმა და თავის „კიბუცში" შევიდა. ძილმა თითქმის მაშინვე დაიპყრო მისი სხეული და გონება.

მეორე დღეს წითელგვარდიელებმა ჯერ ღმერთების გვამები

ჩაუშვეს განგაში და შემდეგ გაყევნენ მათ პატარა ნავებით, რომელთა თავზე რეალობის განადგურების დროშები იყო აღმართული.

– დაე ჩვენს მოსვლამდე, მოსახლეობამ თავიანთი ღმერთების გვამები ნახოს, შეჭმული ნიანგებისა და ძიების მიერ – ამის შემდეგ გამოვცხადდებით ჩვენც.

## პაველიკ მოროზოვის ბოლო დილა

პავლიკ მოროზოვი, პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა რევოლუციონერი, შემოდგომის ფოთლების ხალიჩაზე პირაღმა წევს, ხელები თავქვეშ აქვს ამოდებული და ცაში აშვერილ კენწეროებს უყურებს. თანამგზავრები არ სერავენ ცას, Wi-Fi-ს სიგნალები არ ეხებიან მის კანს, არც მეტეორები ეცემიან მიწაზე, მაგრამ პავლიკა გრძნობს – ხდება რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც ლამაზი.

წევს პავლიკა და გონია, რომ მიწა ამოტრიალდება და ის შეიძლება ჩავარდეს ცაში.

„თუ ასე მოხდება, ხის კენწეროებს მაინც ჩამოვეკიდები" – იმშვიდებს თავს პავლიკა და წოლას აგრძელებს.

სადღაც შორიდან, ტყეებს და ტყეებს იქიდან დაგუბებული გუგუნი ჟონავს ზამთრის სუფთა, უმანკო ჰაერში, გადაივლის პავლიკას მზერას და ციმბირისკენ მიედინება, რათა იქ გაიყინოს და ჩამოცვივდეს ხმის კრისტალებად. ამბობენ, რომ ციმბირში ყინვა ხმებს კრისტალებად აქცევს, ერთგვარ ბიო-დისკებად, რომლებსაც თუ შეაგროვებთ და ცხელ ღუმელზე გაალღობთ, თქვენ გაიგებთ სადღაც შორს წარმოთქმულ, აწ უკვე კრისტალებად გადაქცეულ სიტყვებს.

სიტყვები ინფორმაციაა, ინფორმაცია კი ფული ღირს, განსაკუთრებით ასეთ ქაოტურ დროში. ამ კრისტალების მოპოვებითა და გადაყიდვით არჩენდა პავლიკა თავის ოჯახს. წითელ არმიას ჰაერივით ჭირდებოდა ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან, პავლიკა კი ამ ინფორმაციული კრისტალების უბადლო შემგროვებელი იყო მთელს რეგიონში. ამას გარდა, პავლიკა ცადამყვანების ერთ-ერთი მთავარი დისტრიბუტორი იყო წითელი არმიისთვის. როგორც ცნობილია, ლევ დავიდოვიჩმა სწორედ ცადამყვანების ხასხასა წითელი ფერის გამო დაარქვა თავის არმიას „წითელი".

ლევ დავიდოვიჩს ძალიან უყვარს პავლიკა – ეს პატარა ვუნდერკინდი, ოქროსფერი თმებით და ოდნავ ჩამავებული თვალის უპეებით, რომლებშიც ტაიგის ცისფერი ცასავით სუფთა, მონადირე-მგელანგელოზის თვალები ციმციმებენ. ლევ დავიდოვიჩმა ისიც იცის, რომ ასეთი თვალებით დიდხანს ვერ ცოცხლობენ, მაგრამ დუმს.

– პავლიკ, გესმის ეს ხმა?

– ასეთი რამ არასდროს გამიგია, ლევ დავიდოვიჩ, ეს არც ცხოველების ხმაა, არც დრაკონების, არც იმ ქარხნების, ეკლესიების ნაცვლად რომ აშენებენ... რისი ხმა მოდის ტყეებს იქიდან?

– ეს რევოლუციის ხმაა, პავლიკ, პერმანენტული რევოლუციის, რომელიც რკინის გველებით მოექანება ურალისკენ.

– შამბალის დასანგრევად?

– და თავისუფლების დასაბრუნებლად.

– რა ლამაზი და რა საშიში ხმაა, – ფიქრობს პავლიკა და ამ გუგუნში ნელ-ნელა ადამიანების ხმების გარჩევას იწყებს, ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, მათი ხმები ერთმანეთშია არეული, ზოგი მათგანი ყვირის, სხვები ტირიან.

სოფლის თუ ტყის მხრიდან ვიღაც ეძახის პავლიკას.

– პავლიიიიიიკ! პავლიიიიკ! ა პაველიკ!

პავლიკა ყურადღებას არ აქცევს – ის და ლევ დავიდოვიჩი გვერდიგვერდ წვანან სქელ თოვლში და კოსმოსში იყურებიან. ხმის კრისტალებით და კოპლებიანი ცადამყვანებით სავსე ჩანთა იქვე, პავლიკას ოდნავ გამოხეულ ბათინკებთან აგდია.

ლევ დავიდოვიჩს გონია, რომ ცა ადგილია, სადაც წითელი არმია სამყაროს გაფართოებას დაეწევა, პავლიკასთვის კი ცა გასართობი ეკრანია, ფრაქტალური ემ-ტი-ვი, საუკუნის დასაწყისის ბავშვებისთვის.

– თუ ჩვენ წავაგებთ...

– ჩვენ არ წავაგებთ, ლევ დავიდოვიჩ, – აწყვეტინებს პავლიკა და ბავშვური სიყვარულით ეხუტება, როგორც შვილი მამას. ლევ დავიდოვიჩი საკუთარ ლოყაზე ანგელოზის სუნთქვას გრძნობს. დრო არ იცდის, ლევ დავიდოვიჩი მალე უნდა წავიდეს, მაგრამ ის ყველანაირად ცდილობს, გაწელოს ეს დრო, ცოტა მეტი ხანი დარჩეს პავლიკასთან. ასეთი თვალებით დიდხანს ვერ ცოცხლობენ, ფიქრობს ის და აკვირდება, როგორი მელნისფერი ნისლივით ადის ცაში მისი მოსაწევის ბოლი.

პავლიიიკ! ა პავლიკ! – ისმის დედის ხმა სოფლის მხრიდან, თითქოს ძოტი ყვირის გარინდულ ტყეში.

## ვოვა ლიმონკა

*„მაგ ნაძირალა ტერორისტმა პოლიციელი მოკლა და შეეცადა ორი ქვეყნის პრეზიდენტისთვის ზიანის მიყენებას. ასე რომ, ჩაძაღლდება ციხეში მისი ნესტისგან გახრწნილი სხეული, ციხის კედლებს შეერწყმება და სიბნელეში გაუჩინარდება, თითქოს ადამიანი არც არსებობდეს საკანში."*

მისი თვალების დახუჭვა-გახელებასთან ერთად ქრებოდა და ჩნდებოდა თბილისის მუქი ლურჯი ცა, სასწრაფოს ფერადი ნათებები – და მხოლოდ ეხლა მიხვდა ვოვა, რომ ტყუილად ეშინოდა – შიში არ არსებობს, ამ ხმაურს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, არც იმას, რომ მისი ჭრილობებიდან მოშვებული ონკანივით მოდის სისხლი.

ვოვამ წამით იმასაც მოკრა თვალი, თითქოს

სადღაც შორს ცაში თვითმფრინავი მიფრინავდა თბილი ქვეყნებისკენ დაა იგრძნო, რომ ეს მამაკაცები იარაღებით, სამხედრო ფორმებში, ჟურნალისტები და ოპერატორები მანათობელი კამერებით, ექიმები პანიკაში – არარეალურია. როგორც ჩახლართული ცუდი სიზმარი, რომლისაც გჯერა, სანამ გძინავს. როგორც ფილმი, ან სპექტაკლი თეატრში.

როგორც სატელევიზიო სიუჟეტი ხალხზე, რომლებიც იმდენად შორს ცხოვრობენ, რომ მნიშვნელობა არ აქვს, მართლა არსებობენ თუ არა.

და მაშინ ვოვამ თავის ცხოვრებაში პირველად იგრძნო ნამდვილი შვება. ყველა ხმა და ეს ჩოჩქოლი, რაც მის გარშემო იყო, თითქოს მინყნარდა, თითქოს რაღაც ბინდი, რომელიც მთელი ცხოვრება აკრული ქონდა თვალებზე – გაქრა ვოვას გონებიდან და მან პირველად გაიგო საკუთარი ლაღი სუნთქვის ხმა. ღრმად ჩაისუნთქა სუფთა, თბილისის ჟანგითა და მეტალით დატვირთული ცასავით სუფთა ჰაერი.

თავიდან ამან თითქოს დააბნია ვოვა. ეს გრძნობა ხომ აქამდე განცდილ არცერთ გრძნობას არ გავდა. ნებისმიერი რამ, რაც მას აქამდე შვება ეგონა – ოთახის ლენვა პანიკური შეტევებისას, იაფფასიანი ბოზების აგდება ხიდების ქვეშ, ლაბორატორიაში გამოყვანილი ნარკოტიკები, კალაშნიკოვების გადატენვა, ლიმონკა ჯიბეში – ყველაფერი ტყუილი იყო იმასთან შედარებით, რასაც ის ეხლა გრძნობდა, თუნდაც საკაცეზე მწოლიარე და დაჭრილი, დამარცხებული და ტყვედ აყვანილი. მისი გული, რომელიც დაბადებიდან თითქოს გაბრაზებულის მუშტივით შეკუმშული იყო, ეხლა პირველად მოეშვა და გაიხსნა ყვავილივით, ხელისგულივით. შვება მორფინივით დაუყვა მის ვენებს და ახარა მის ყველა უჯრედს. – ეს არ არსებობს – ფიქრობდა ვოვა იმ მეცნიერის ალტაცებით, რომელმაც ეს-ესაა სამყაროს მთავარი საიდუმლო ამოხსნა – ეს ყველაფერი არ არსებობს! – გაიმეორა ვოვამ და გაეცინა. რა თქმა უნდა ეს სიტყვები პირდაპირ არ ასახავდნენ სამყაროს იმ საიდუმლოს, რომელსაც ვოვა მიხვდა, მაგრამ მან ჯერ ვერ მოასწრო ამ ემოციის გადმოთარგმნა ჩვენს ღარიბ, ვერბალურ სტრუქტურაში. გაეცინა საკუთარ სისულელეზე, დაკარგულ წლებზე, პრობლემებზე, რომლებსაც ასე მძაფრად აღიქვამდა, წარმატებებსა და სირთულეებზე, გაეცინა იმ აბსურდზე და სერიოზულობაზე, რაც მის გარშემო ტრიალებდა. – არ არსებობს შიში, იმიტომ რომ არ არსებობს საფრთხე, არ არსებობს საფრთხე, იმიტომ რომ არ არსებობს სამყარო. ეს ყველაფერი ხომ უკვე იმდენჯერ მოხდა, ეს სისხლი უკვე იმდენჯერ დაიღვარა, სამყარო უკვე იმდენჯერ შეიქმნა და განადგურდა, მე უკვე იმდენჯერ ვნახე ეს სიზმარი, ტელევიზიამ უკვე იმდენი მილიარდჯერ დაატრიალა ეს სიუჟეტი...

და უცებ, მისი აზრებს შეემატა ცუნამივით წამოსული სინანულის გრძნობა ხალხის მიმართ, უცებ ის მიხვდა, რომ მთელს ამ ჩოჩქოლში, ამ ათასწლოვან მარათონში ხალხს გადაავიწყდა ყველაზე მარტივი რაღაც. და მაშინ, ვოვას მოუნდა მისი აღმოჩენის გაზიარება ყველასთვის, მოუნდა პირდაპირ ეთერში ეთქვა, „რუსთავი 2"-ის, „იმედის", ნებისმიერი ტელეკომპანიის მეშვეობით ეთქვა რომ ეს ყველაფერი უბრალოდ ცუდი სიზმარია, უნდოდა ეს სიტყვები გაეგოთ ღარიბ ოჯახებს პატარა სოფლებში დიდი მთვარის ქვეშ, დევნილებს სახელდახელოდ აშენებულ დასახლებებში, სადაც მუდამ ჩართული პატარა ტელევიზორებიდან წამყვანის სიტყვებს ყოველთვის შიშინი მოყვება, გაეგო დედამისს, რომელიც ეხლა ტყვედ იყო აყვანილი და ტიროდა, როგორც პატარა იტოვებული ბავშვი. უნდოდა ეს სიტყვები გაეგოთ მის ჯალათებს, რომლებიც სავარაუდოდ დაყრიდნენ თავიანთ კალაშნიკოვებს და დაიწყებდნენ ტირილს და სიცილს ერთდროულად, უნდოდა ეს სიტყვები გაეგო ჯუნიორ ბუშს, რომელიც ვოვას, მისდა გასაკვირად, უკვე აღარ სძულდა, პირიქით რაღაცნაირი სითბოთი აივსო მის მიმართ და ეცინებოდა, როცა ხვდებოდა, რამდენად სერიოზულად აღიქვამდა ჯუნიორი საკუთარ პერსონას. და ვოვამ მთელი ძალა დაატანა თავს, რომ წამომდგარიყო.

მთელი სამყარო თითქოს გაისუსა მისი სიტყვის მოსასმენად. მგლებმა ყმუილი შეწყვიტეს შორ ჩრდილოეთში და იაგუარები სმენად იქცნენ სამხრეთის ჯუნგლებში, სადღაც მყინვარს მოწყდა ყინულის ლოდი და დიჯეები გაჩუმდნენ რადიოებში. ვოვამ ტუჩები გაამოძრავა, სიტყვა უკვე პირს მოადგა. ცოტა ძალდატანებაც...

– ინექი, ინექი, წამოდგომა არ შეიძლება – დაიძახა მედდამ და ძალით დაანარცხა ვოვა საკაცეზე.

„რა არ შეიძლება? რაღა **არ** შეიძლება?" – გაეღიმა ვოვას გულში და ისევ სცადა წამოდგომა. მისი უძლური სხეული ამჯერად უკვე სპეცდანიშნულების მგლებმა დააწვინეს. და რამდენჯერაც სცადა ვოვამ ხალხისთვის სამყაროს მთავარი საიდუმლო ეთქვა, იმდენჯერ ის საკაცეზე დაანარცხეს, მეტიც, ერთი-ორი მუჯლუგუნიც მიაყოლეს ზედ, ურჩობისთვის. მაშინ ვოვამ გადაწყვიტა დაწოლილს ეთქვა სამყაროს მთავარი საიდუმლო, მაგრამ მის ვენებში მოულოდნელად ჩაშვებულმა დამამშვიდებელმა დაამძიმა მისი ენა.

„რას აკეთებთ? თქვენ ხო ვერ ხვდებით რას სჩადით!" – ყვიროდა ვოვა ფიქრებში.

იგრძნო თუ არა მორფინის დავლა მთელს ორგანიზმში, ვოვა უკვე მიხვდა, რომ გამოღვიძებულს ისევ დაუბრუნდებოდა ნისლი თავში და სამუდამოდ დაავიწყდებოდა, ის რაც ცოტა ხნის წინ აღმოაჩინა, ამიტომ უკანასკნელი ძალები დაატანა თავს: მხოლოდ თავისა და ხელის ოდნავ წამოწევა შეძლო – პირველივე მისკენ მიშვერილ კამერას შეხედა და ის გააკეთა, რასაც ალბათ ნებისმიერი ძენის მასწავლებელი იზამდა ტიბეტის ღრუბლებში ჩაძირულ ტაძრებში რო ეუფლება საკუთარი არსების და სამყაროს სიღრმეებს – ვოვამ სიმძიმის ცენტრი ხელის კიდურებზე გადაიტანა და როგორც იქნა შეძლო და – შუა თითი აწია.

# მირიამ რეიესი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# MIRIAM REYES

*პოეტი პერფომანსერი და ვიდეო-არტისტი. დაიბადა გალისიურ ქალაქ ორენსეში. გაიზარდა კარაკასში, სადაც 8 წლის ასაკიდან გადავიდა საცხოვრებლად. დამთავრებული აქვს ვენესუელას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანური ფილოლოგიის კათედრა. მაგისტრის ტიტული მოპოვებული აქვს ბარსელონას უნივერსიტეტში. ესპანეთისა და ვენესუელის გარდა ხანგრძლივი პერიოდი აქვს გავლილი ნიდერლანდებსა და იორდანიაში. ამჟამად ცხოვრობს ბარსელონაში.*

*მირიამ რეიესს გამოქვეყნებული აქვს 6 პოეტური კრებული ესპანეთსა და არგენტინაში. მისი ლექსები თარგმნილია პორტუგალიურ, იტალიურ, ინგლისურ, სერბო-ხორვატულ ენებზე. ის საგამომცემლო სახლ Marisma-ს თანადამფუძნებელი და ერთ-ერთი დირექტორია. ნათარგმნი აქვს თანამედროვე პოეზიის სხვადასხვა ნიმუშები გალისიურ, ესპანურ, კატალონიურ და პორტუგალიურ ენებზე.*

*2000 წლიდან პოეზიას უთავსებს ფოტოგრაფიას და თანამედროვე ტექნოლოგიებს, ვიდეოხელოვნებასა და პერფორმანსებს.*

*მონაწილე იყო თბილისის V საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის (17-22 მაისი, 2019 წელი).*

# გალისიელი პოეტი ემიგრაციასა და სამშობლოს კვლავ დაბრუნებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*(ინტერვიუ)*

**ირაკლი მენთეშაშვილი – მირიამ, იქნებ მოგვიყვე ცოტა რამ შენს წარსულზე, ნაბიჯებზე, რომლებიც გადადგი შემოქმედებით გზაზე. შენს ბიოგრაფიაში ხაზგასმულია ვენესუელაში ცხოვრების პერიოდი. რა ხდებოდა ამ დროს?**

**მირიამ რეიესი** – ადრე ესპანეთი ძალიან რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, ქვეყანას, ხალხს ძალიან უჭირდა. გალისია ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი მხარე იყო ყოველთვის და მაშინ ჩვეულ ამბავს წარმოადგენდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ემიგრირება. ვენესუელასა და კუბაში ძალიან ბევრი გალისიელი მიდიოდა უკეთესი ბედის საძებნელად. ჯერ ჩემი მშობლები გადავიდნენ იქ საცხოვრებლად და ორიოდე წლის შემდეგ მეც წამიყვანეს. მაშინ მე 7-8 წლის ვიქნებოდი. რთული იყო, რა თქმა უნდა, იმ ხალხისგან მოწყვეტა, რომელსაც ვუყვარდი და მიყვარდა. სიცარიელის განცდა, რასაც ეს განშორება ტოვებს, ცხადია, მტკივნეულია. ემიგრაციაში ადამიანს ფაქტობრივად ცხოვრების ახლიდან დაწყება უწევს და ეს უდაოდ ძალიან რთულია.

**ი. მ. – ასეთი მკვეთრი ცვლილება ალბათ რთული იქნებოდა პატარა გოგოსათვის.**

**მ. რ.** – კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ვენესუელა გასაოცრად ლამაზი, თბილი ქვეყანაა. მარადიული ზაფხულით, წელიწადის თორმეტივე თვე მზიანია. ულამაზესი სანაპიროები და მთა-გორიანი თვალწარმტაცი ადგილებია. ძალიან მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მე იქ დავამთავრე სკოლა და მივიღე უმაღლესი განათლება, სრულიად უფასო. ძალიან მადლიერი ვარ ამ ქვეყნის. კარაკასი უზარმაზარი ქალაქია საოცარი რიტმით.

**ი. მ. – მსმენია, რომ კარაკასი უსაფრთხო არ არის, როგორი იყო იქ ცხოვრება, გქონია პრობლემები?**

**მ. რ.** – 16 თუ 17 სართულიან კორპუსში ვცხოვრობდით. კარაკასის დიდი ნაწილი ასეთი კორპუსებითაა გაშენებული. ყველა კომუნას თავისი ზონები და უბნები აქვს, თავისი გასართობი ცენტრები. გალისიელების კომუნა ყველაზე ღარიბი იყო. მდიდარი უბნები შემოსაზღვრულიც კი იყო კედლებით და უსაფრთხოების ბადეებით. დანარჩენი ბარაკებია, ეგრეთ წოდებული ჩავოლები, სადაც უკიდურესად გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს და სადაც სამწუხაროდ გავრცელებული იყო ნარკოტიკები და ზოგადად, უკანონობა. გაჭირვების გამო საწყალი ხალხი ყველაფერზე მიდიოდა. როგორც ვთქვი, გალისიელებს ღარიბი უბანი გვქონდა და იტალიელების კლუბში დავდიოდით გასართობად. გართობა იქ ძირითადად ცეკვაა და არა ჭამა-სმა, როგორც ეს ევროპაშია. ქალაქიც ამ ცეკვის რიტმში ცხოვრობს. კარაკასი საოცარი ქალაქია, მაგრამ არაა ყოველთვის უსაფრთხო. ჩავოლებიდან გაჭირვებისაგან განამებული და ნარკოტიკებით გაბრუებული ახალგაზრდები თავს ესხმოდნენ ხოლმე ევროპელებს, მათი გადმოსახედიდან მდიდრებს, არადა ჩვენც ძალიან გვიჭირდა, ყოველთვის, ესპანეთშიც და ვენესუელაშიც. მახსოვს, პირველად, სადღაც 12 წლის ვიქნებოდი, რომ ჩემზე პატარა ბავშვებმა გამძარცვეს, მათი ლიდერი ასე ცხრა წლის ნებოთი გაბრუებული ბიჭუნა იყო, საყურეები წამართვეს, მას მერე საყურეები არ მკეთებია. მეორედ მთელი ავტობუსი ისევ ბავშვებმა დაგვაწიოკეს, კიდევ რაღაცით გაბრუებულები იყვნენ და ძალიან სახიფათოები. ერთხელ დედასთან ერთად დაგვაყაჩაღეს, რომელიც ჩემ იმაზე იყო ორსულად. ამ ყველაფერს ისინი შიმშილის გამო აკეთებდნენ, ჩავოლებში უკიდურეს სილატაკეში ცხოვრობდნენ და მათი განსჯა არ შეიძლება.

**ი. მ. – რას აკეთებდა ამ დროს სახელმწიფო, პოლიცია?**

**მ. რ.** – სახელმწიფო კი არსებობდა, მაგრამ ფიქტიური ფუნქციით. ყველაფერს მმართველი კლასი, ეკონომიკური ელიტა განაგებდა. პოლიციაც და ყველა სხვა სტრუქტურაც კორუფციაში იყო ჩაძირული.

**ი. მ. – უგო ჩავესი ქვეყანას როგორც ამ ყველაფრისგან მხსნელი მოევლინა?**

**მ. რ.** – უგო ჩავესი სწორედ ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მოვიდა, როგორც ჩაგრულების მხსნელი. ნავთობით და სხვა წიაღისეული რესურსით მდიდარი ვენესუელა იძარცვებოდა ქვეყნის შიგნიდან და გარედან ამ რესურსებზე მომსხდარი მსხვილი კორპორაციებით და მათთან ასოცირებულ-

ბი ელიტებით. საბრალო ხალხი ცხოვრობდა ჩავოლებში და თვალებში შეცქეროდა მათი ქვეყნის ხარჯზე გამდიდრებულ უცხოელებს თუ კორუფციაში ჩაძირულ თანამემამულეებს. მდიდრები კი თავის უბნებზე კედლებს და ბარიერებს აშენებდნენ. საბრალო ჩავესმა რამოდენიმე სასიკეთო ნაბიჯის მიუხედავად ვერაფერი შეცვალა. მან ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრე, ანუ არამარტო ნავთობი, არამედ ოქრო და სხვა ძვირფასი მინერალები, ბრილიანტის და ა.შ. უმდიდრესი საბადოები სახელმწიფოს დაუბრუნა, და გადაუნაწილა არამარტო ვენესუელელ ხალხს, არამედ მთლიანად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ ღარიბ ქვეყნებს, რომლებმაც ბოლივარული გაერთიანება შექმნეს. შედეგად, სამწუხაროდ, ყველა ინვესტორი გაიქცა. დღესდღეისობით ვენესუელა ძალიან გაღარიბებულია და ქვეყანა თითქმის ყველამ დატოვა. ევროპელებს, ჰოლანდიელებს, ესპანელებს და სხვებს, როგორც მეგობრებს, ჩავესი ჰპირდებოდა უსაფრთხოებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ვენესუელაში ცხოვრება უკვე შეუძლებელია ვენესუელელებისთვისაც კი.

**ი. მ. – და ამ ყველაფრის მერე ვენესუელიდან ესპანეთში ბრუნდები?**

**მ. რ.** – უმაღლესის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ესპანეთში დავბრუნდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ესპანეთი ჯერ კიდევ დეპრესიაში იყო და იქ შეუძლებელი იყო ყოფნა. მომიწია ჰოლანდიაში გადაბარგება, სადაც ვმუშაობდი იტალიელი მაფიოზების რაღაც დაწესებულებაში, თუმცა ისინი გაკოტრდნენ. ამის შემდეგ ბარსელონაში დაბრუნებას ვახერხებ და ვასრულებ მაგისტრატურას. რაღაც პერიოდის მერე გადავდივარ ბეირუთში და იქ არასამთავრობოებში ვმუშაობ.

**ი. მ. – როდის იწყებ წერას? როდის მიხვდი რომ ეს შენი მოწოდება იყო?**

**მ. რ.** – წერა 8 წლიდან, ვენესუელაში დავიწყე. წერა ჩემთვის თავშესაფარი იყო იმ ყველაფრისგან, რაც ჩემ თავს ხდებოდა. ჯერ ლექსებს არ ვწერდი, ვცდილობდი რომანი დამეწერა, ვწერდი სიმღერებსაც. ცოტა მერე დავიწყე დოკუმენტური ტექსტების წერა, სადაც ჩემ იდეებს ვანვითარებდი. სხვათაშორის არასდროს დავბრუნებივარ იმ ჟანრებს, რომლებიც მიზიდავდა ბავშვობაში. ერთხელაც დავიწყე ლექსების წერა და მას შემდეგ სხვას ველარაფერს ვაკეთებ.

**ი. მ. – რამ მოახდინა შენზე გავლენა, რომელმა ავტორებმა, წიგნებმა?**

**მ. რ.** – შექსპირის, ლოპე დე ვეგას და გარსია ლორკას დრამატურგიული ტექსტების კითხვამ. შეიძლება ითქვას, რომ პოეზიაში თეატრის გზით შევედი და მიმაჩნია რომ იმაში, რასაც ვწერ, იგრძნობა ეს, დრამატული ხმა, დიალოგები და ა.შ. ეს იყო ჩემი პირველი არაბავშვური წიგნები. და კიდევ ბიბლიის რამოდენიმე ტექსტი, რომელთა საზარელმა სურათებმა ჩემში ღრმა კვალი დატოვა. კამიუ, ლისპექტორი, ელიოტი, რილკე, რემბო, პლათი, პიზარნიკი, პესოა, ახმატოვა, მანდელშტამი, რამოს სუკრე... უკვე მოზარდობის და ახალგაზრდობის პირველი წლების ჩემი საყვარელი ავტორები არიან. როგორც ხედავ, უმრავლესობა მათგანი პოეტია და სხვადასხვა ლიტარატურული ტრადიციის მიმდევრები არიან.

**ი. მ. – წერ გალისიურ ენაზეც, რას ნიშნავს ეს შენთვის?**

**მ. რ.** – ჯერჯერობით მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს გამოქვეყნებული გალისიურ ენაზე, „სარდინია" (2018). მისი დაწერა გალისიურის, როგორც გამოხატვის ენის დაბრუნება, ანუ ჩემი იდენტობის და პიროვნული ისტორიის აღდგენა იყო, რომელიც გაწყვეტილი აღმოჩნდა ჩემი ცხოვრების რაღაც ეტაპზე.

თავიდან ძალიან გამიჭირდა გალისიურ ენაზე წერა. ჩემი აზრით ესპანეთში შექმნილ პოეზიაში თანამედროვე გალისიური პოეზია ყველაზე საინტერესოა. რისი შეტანა შემეძლო ასეთ მდიდარ და მიმზიდველ პანორამაში? წიგნის გამოცემის შემდეგ, როდესაც გავეცანი მკითხველის გამოხმაურებას, მივხვდი, რომ ბევრი გალისიელის რეალობის ენით, ემიგრანტების გატეხილი ენით მისაუბრია, იმ დიდი ტკივილის შესახებ, რომელსაც ემიგრაცია ჰქვია და იმ დიდი სიყვარულის შესახებ, რომელსაც სამშობლო ჰქვია.

**ი. მ. – შენი ლექსები ტკბილი და ამავე დროს სასტიკია, თითქმის მისტიური სიღმის მქონე. დიდი შრომა დაგიჯდა ასეთი უნიკალური პოეტური ხმის მიგნება?**

**მ. რ.** – პირველივე წიგნიდან ვიგრძენი საკუთარი ხმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის აღარ ვარ, რაც ადრე ვიყავი. ალბათ ჩემი ხმა, ჩემთან ერთად, წლების მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა. შედეგად ყოველ წიგნში ვპოულობ ადამიანს, რომელიც ოდესღაც ვიყავი.

**ი. მ. – და ბოლოს, რას ეტყოდი ახალგაზრდა ქართველებს, ახალგაზრდა ქართველ ავტორებს?**

**მ. რ.** – ვენესუელელი პოეტის, რაფაელ კარდენასის პოემის "Ars Poetica"-ს ციტატას წავუკითხავდი.

რომ ყოველი სიტყვა თავის სათქმელს იძახდეს. / იყოს ის თრთოლვა, რაც მას აცოცხლებს. / ფეთქვად დარჩეს, იმად, რაც არის. / არ მერჩივნოს ყალბი სილამაზე / არც ფერები, არც სიკაშკაშე, იმას, რაც არის. / საკუთარი ხმის მოსმენა მინდა. / ვიყოთ მართლები, ჩვენ აქ სიმართლის სათქმელად, ვართ, / თავზარდამცემი სიზუსტე მინდა. / თუკი ყალბი ვარ, ვცახცახებ. / უნდა ვზიდოთ საკუთარი სიტყვების ტვირთი / მათ მე შემიპყრეს, როგორც მე – ისინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მირიამ რეიესი

## დაორთქლილი დაგვრჩა ფანჯრები და კედლები,

ნიჟარა – გასარეცხი ჭურჭლით გაჭედილი,
მინები – გაზეთებაკრული,
ლუმელი – მკვდარი ვირთხებით სავსე,
ქაქით დათხვრილი აბაზანის სარკე,
საკუჭნაო – დამპალი კომბოსტოს გროვით.
ჭუჭრუტანები ოფლით დავასნეულეთ.
ჭერზე გაიფანტა შიშის ექო.
საშინელების სუნი დადგა ყველა კუთხეში,
ყვირილის და დაღვრილი ცრემლების სუნი
ხალიჩის ყველა ამომწვარში, ლეიბზე, ზეწარზე,
გაზქურაზე დარჩენილ ცხიმში,
ჩარჩოების ფიცრებში და ყველა მის ხიჭვში.

ასე დავტოვეთ განოვილი ჩვენი სიყვარული, ხორცის ნაგლეჯად,
– ჩვენი სიყვარული, მხოლოდ ერთი თვის სიცოცხლით
და წინ მთელი სიკვდილით – თეთრ ტაშტში მოტიეტივე
სადღაც იქ, სადაც გრძნობა დავკარგე.

## არა მაქვს სახლი, სადაც შემიძლია დავბრუნდე

და არც იმედი, რომ ჩამოვეკიდო,
ამიტომაც დავდივარ.

ჩემ კვალდაკვალ სახლები ინგრევა –
დედამიწას გადაეფარა ნაგვის ხალიჩა.

ვჩერდები, რკინის კოვშების სილამაზეს რომ თაყვანი ვცე,
მათი მექანიკური მოძრაობები ძლიერ აღმაგზნებს.
ღამით მათი ყურებით ვტკბები:
მათი უძრავი პროფილები,
ლურჯი კობალტის ცაზე რომ ისვენებენ,
მთვარის მიმქრალი შუქის ირგვლივ.
ვინც მათ მართავს, იმათ მკლავებზე სასურველი სანახავია
ეს ექსკავატორები –
დაღებული ხახებით, ჯერ ისევ ამოვსებულით,
მინით და ნაგვით,
უზარმაზარ მკვდარ ცხოველებს გვანან.

მშობლებმა მასწავლეს არაფრისქონა,
მათ მასწავლეს სახლში არდაბრუნება,
იმის ართქმა, რომ სახლი ჩემია.
მე აქ დავრჩები.
ამ ადგილას, რომელიც მიყვარს.

კარს ვკეტავ. უკან არ ვიხედები იმის დასანახად,
რომ სახლი უკვე აღარ არსებობს.
არსად ვარ. არავისთან ვსაუბრობ. არავისთან ვარ.
მაგრამ ერთმანეთს თუ გადავეყრებით,
შემიძლია გასწავლო უიმედოდ სიარული,
მაგრამ მოღიმარს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## არაფრის მქონე არა ვარ,

მითუმეტეს არავის პატრონი.
არ უნდა გეშინოდეს,
თუ შენს სქესს ვახრჩობ –
არ ვაპირებ არც შვილების, არც ბეჭდების, არც იმედების ჩუქებას.

მინა, რაც გამაჩნია, ფეხსაცმლით დამაქვს.
ჩემი სახლი ეს სხეულია, რომელიც ქალს გავს.
ამაზე მეტი კედელი არ მჭირდება.
შიგნით ბევრი სივრცე მაქვს:
ის შავი უდაბნოა, შენ რომ გეშინია.

## მასიურ ხის სავარძლებში

ჩამომსხდარან მოწყალე მამაკაცები,
ჩემი გაღვიძება რომ უნდათ,
და მოსამართლის ინგლისური,
აფოფრილი პარიკებით
ჰორიზონტის ზოლს მიფარავენ.

ერთ ბებერ მსუქან მეტრაოთხმოციან მწერალს
ჩემი გაღვიძება უნდა,
რომ ჩემს ფეხებს შორის ენა დაატრიალოს,
მე კი თითი მივახმარო.

ერთი ძველი მეგობრის მამას უნდა
ჩემი გაღვიძება,
რომ მომაფრინდეს
ამ ცარიელ აუდიტორიაში.

ერთი მხცოვანი, სახელგანთქმული პროფესორი
იმიტომ მაღვიძებს, რომ
საწერ მაგიდაზე მოსინჯოს ჩემი უნარები.

არასოდეს არცერთისთვის მითხოვია რამე,
მაგრამ ისინი მაინც მიწვდიან ხელს ჩამოსართმევად.
ის სითეთრე რომ დასვარონ,
რომლის სიკაშკაშეც მათ აბრმავებს.

## შენ მე ცხოვრება უნდა მასწავლო?

თუ გინდა შეეხე ჩემი აქერცლილი კანის კოლექციას,
დაჭრილ ფრჩხილებს, რომლებსაც ჯიბეში ვინახავ.

მარცვლები რომ დაგვირიგეს,
საძილე აბებია
და ჩაძინებული ჭიპებიდან
ხეხილი გაიზრდება.

უნდა გაჭამო.
მოდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალთქმული მინა სხვისია.
ჩვენ ქეიშა დაგვრჩა:
პეიზაჟი, ქართან ერთად რომ იცვლება.

## მხოლოდ სიცივე სუნთქავს დარბაზში

შენი სხეული გამოსახულებაა, რომელსაც თაყვანს ვცემთ.
მასთან პირჯვარს ვიწერთ, ქედს ვუხრით, ვლოცულობთ,
ზურგს უკან დაწყობილი, გადაჯვარედინებული ხელებით,
თავს ძლივს ვიკავებთ,
ფანჯრებს რომ არ მივენარცხოთ,
რომლებმაც უკვე დაობება დაიწყეს.

ვილაც კითხულობს თაიგულებზე დაწერილ წერილებს,
შენი შვილები, შვილიშვილები, შენი და...
მათ იმეორებენ ცალცალკე ათასჯერ.
თითქოს იმ ფერთა გამაში, გვირგვინზე დარჭობილი ყვავილები რომ ქმნიან
ან ერთი ყვავილის მეორესთან მიმართებაში
შესაძლოა, რაიმე შენი გზავნილის წაკითხვა
ახლა, როცა შენ თვითონ ხარ მოჭრილი ყვავილი.

შენგან ველოდებით ნიშანს.
ყველანი ერთად ვსაუბრობთ, ერთნაირ სურვილებს გთხოვთ.
აქა ვართ.
გვიყვარხარ.
გვინდიხარ, ლამის მკრეხელური სურვილით,
რომ გვყავდე ჩვენ შორის.
შენი მთრთოლვარე სხეული –
ჩვენი სისხლი და ხორცი უტკბილესი.

## მონიშნული მყავხარ მთლიანად,

არქეოლოგიური გათხრების ველივით.
რამის აღმოჩენას კი არ დავეძებ –
კლდეში ნაშენი ძველი ქალაქის ნარჩენებში –
შენში შემოღწევა მინდა.
შენი სხეულის ქვები მინდა გამოვთალო,
ქალის ჩაღრმავებული სქესი კი
უსარგებლოა ამ სურვილისთვის.

თხრა შენი ჭიპიდან უნდა დავიწყო,
სისხლის ნაკადს რომ შევუერთდე.
შენს პირში ჩემს სულს ვშლი, ჰაერივით,
და გაკვირდები, თუ როგორ მსუნთქავ.
შენს შესახებად კანი არ მჭირდება, ვიცი,
ამას არ ეამბობ.
შენს სხეულში მინდა მღვიმე გამოვქნა
და იქ დავმკვიდრდე.

შენს მუხლებს ვხრი და იღლიების ქვეშ ვიწყობ,
როგორც ბურღის სამკლაურს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ტროტუარი, რომელსაც დაანგრევ,
შენი ქუჩისა იქნება.

მტვერს, შენი შუბლიდან რომ დავაყენე,
ნამნამებით მოვგვი.
არ გავჩერდები, სანამ მე შენ ვარ
და შენი სქესი ჩემია.
სანამ მე ვარ ის,
ვინც შიგნით შემოაღწია.

## სასურველი არაა მთელი იმედის სხვის სხეულში გადატანა,

მაგრამ ხანდახან ასეც ხდება და ამის გასაგებად
უნდა გავარკვიოთ გარემოებათა სვლა
და ყურადღებით დავაკვირდეთ
პატარ-პატარა ცვლილებებს
სიტყვა სიყვარულის მნიშვნელობაში.

გამკვრივებულებისთვის
ჩვეული რამაა
მარტივი საგნების ჩაკეტვა –
დააკვირდით ზოოპარკებს,
ენტომოლოგიურ კოლექციებს,
ქარვის ფიგურებს.
იქ ღრიჭოებიდან შეძრომა ან შეკვეხება შეუძლებელია,
განსხვავებით ჰაერისა ან წყლისა.

ჩემი შენკენ გამოწვდილი ხელები
ელექტროგადამცემ მავთულებად იქცნენ:
ჩვენ შორის ჩიტები ისვენებენ,
ქარიშხლები რეზინობანას თამაშობენ,
ქალაქები ნათდებიან.

ესე ვიტყოდი მე,
საპირისპიროდ ათასგვარი რეკომენდაციისა!

## როგორ უნდა აუწყო ფეხი პეიზაჟის მსვლელობას.

სიმშრალის შიგნიდან ტარებას შესაძლებელს ხდიდა სისველე.
იყო ეს სისველე და მე ვერ დავინახე, ახლა კი არანაირი ხელშეწყობა არ არის გარედან.
სიმშრალე ვრცელდება და რაც შიგნითაა, ყველაფერს მალავს:
ეს სივრცე და მე. ეს წამი და მე. –
ერთი ზედაპირი.

„მე“-ს ვამბობ, მაგრამ ვიცი, რომ აწი ქვიშას ნიშნავს
და წიგნებზე, ავეჯზე, იატაკზე თავსდება.
საგნებს და მათ მეგობრებს ფარავს,
ოჯახური იერი რომ დაჰკრავთ.

სცენარი ასეთია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგნიდან ჩაკეტილი კარი,
ქუჩა – შეუძლებელი ამოცანა,
თითო ოთახი – თითო მართკუთხედი,
ჩემ წინაშე რაცაა, არ შემიძლია იმისი ნაწილი გავხდე.
თითქოს სხვების ცხოვრებაა ან ის – რაც ვიყავი.
ვერ დავარქმევდი ამას სარკმელს –

აქედან არაფერი არ გადის, არც შემოდის.
აქ მე გადავსერე უდაბნოები და ქალაქები
და ვერსად ვიპოვე ადგილი, რომელსაც ჩემსას დავარქმევდი.
ვერც რეალობას ავუწყე ფეხი ვერცერთ დროში.
რა დროში? –
არც თესვის დროა და არც მოსავლის აღების.
დრო – არაფრის!

პეიზაჟი კი გამონაკლისს არ უშვებს,
პეიზაჟი არ ჩერდება.

### * * *

მდინარე დაფარული ღმერთიაო, ამბობენ.
ღმერთს ვერსად ვხედავ,
ვხედავ მხოლოდ წყალსა და ქვიშას.
ღმერთი, ჩემი საწოლის ქვეშ რომ მიედინება,
მკარნახობს, როგორ უნდა ვკეცო კუთხეები, ისე რომ სახლი
ქაღალდის ნავად არ გადამექცეს.
ვიცი, ეს სახლი წყლის მოზღვავებას ვერ გაუძლებს და
ვერც მგლის სულის შებერვას ვერ გადაურჩება.
არქიტექტორს არ შეუქმნია მისი პროექტი –
უკედლებო, მზის შუქი რომ არ დამეჩრდილოს,
დაფარული ღმერთის ხედებით და მისივე რევმატიზმებით,
რაც შეიძლება, უცებ შენი საწოლიც გახდეს.

გამომელვიძა და იქვე იყო მდინარე, მახსოვს.
შლამისფერი დაფარული ღმერთის ძვლები
და მყესები კი დაჰყმუოდნენ.
ქვიტკირის ჩემი ძველი სახლი
გაუძლებდა მგლის შემოტევებს.
უსაფრთხო იყო, მაგრამ მაინც ვერ დამიცვა ვერაფრისაგან.
ადრე სხვაგან ვიყავი, ხოლო ახლა აქა ვარ,
მდინარესთან, ღამღამობით რომ ჩამჩურჩულებს
მღვიმეებს, ლოქოებს და შიგ ჩამხვრჩალებს.
– მგლებს კი ეს სულ არ ედარდებათ.

### ყველა სხეული რომ შეუღწევადია,

გამოცდილებით ვასკვნით
და არა – ჭკუით.
ყველა.

*ესპანურიდან თარგმნეს*
*ირაკლი მენთეშაშვილმა და ნინი ელიაშვილმა*

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## პაატა ნაცვლიშვილი

## არია უპირატესთა ანუ ასერთი პაატაური*

### კაკო და პეპი

პირველი ეკზერსისი ანაგრამული პოეზიის
მომავალი ფანებისათვის

ზის კაფეში კაკო,
ელოდება **პეპის...**
პეპის უყვარს კოკა,
კაკოს უყვარს ***პეპსი!***

### მოძღვარი მელის იგავსშემდგომი ამბავი

რაკი იერუსალიმს მოითავა საქმე,
სულხან-საბამ ის მელი გაისტუმრა მექას.

### საბავშვო ბალის გახსენება

ვისაც რომ ბავშვობის ზღაპრები ებარა,
ახლა დავიწყების ზღარბი ეპარება...

### დეკომუნიკაცია

რატომ აღარ გვირეკავთ, რატომ აღარ გვეკარებით?..
ასე ნელა ერთმანეთს და მომავალს ვეკარგებით.

### ბერტრან რასელისათვის

აგივლია ნამდვილი თუ სულიერი ალმართები,
ახლა დგახარ ღრუბლებში და მხრებს იჩეჩავ: აბა, ღმერთი?!

### ქოფრე დე პეირაკისათვის

შენი შარმი
არის შრამი!

### გურული ფირალის სიმღერა

არ იცვლება ფიშთო თოფში,
რაგინდ დიდი ატყდეს შფოთი,
გინდ ბათომში, გინდა ფოთში,
არ იცვლება თოფში ფიშთო!

### ისტორიულ-მითოლოგიური პარალელი

*„აიას" რაგბისტთა გუნდს*

კვეს-აბედია და ასანთია,
აიაა და **ქუთაისია.**
და-ცა-მარცხდება აქ აიასთან,
რაგინდ სპარტაკი **თუ აიაქსი.**

### წუნია რეჟისორისათვის

არ მინდა ტრფობა გამოგონილი,
– გვერდზე გადადო გოგამ ო'ნილი.

### ბერმუდის სამკუთხედი

ვინ ჩამოვა ნეტა ციდამ ან ვინ ავა ცამდი, ვინა,
ვინ იყო, რომ გამომცადა, ვინ დამცადა, ვინ მიცადა,
ვინ მაშველი როგორც რგოლი, ჩამომიგდო ციდამ ნავი,
ვინ იმედი გაიმეტა, ვინ ღიმილი დამცინავი.

### ზღაპრული ექვიანობა

წითელქუდასი გენახათ სასოწარკვეთილება,
– ზღაპრების მეფეს დედოფლად რის წითელკაბა ესვა.

---

* ასმეერთე პაატაური თავად ეს სათაურია

### 11 იანვარი, 1798

ცნობამ ერეკლეს სიკვდილის შეძრა ცათანი *თელავის*,
არცა მხედართა უცდიათ დამალვა თვალთა *სველთაი*.

### პაოლო ჯიბრაელის ძისთვის

– ვისით ხარ ასე *თამამი?!*
– ვისით და ჩემის *მამითა*,
– რითი ხარ ასე ***ბეჯითი?!***
– რითი და ჯიბოს ***ჯიბეთი!***

### ხოლო ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე

*„ნათესავი მოვალს და ნათესავი წავალს.*
*ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე" (ეკლესიასტე 1,4)*

ვალს მოიხდი, *ვალს მო...*
როგორც ამბობს **სწავლა –**
ნათესავი *მოვალს*,
ნათესავი ***წავალს.***

### მეორე ლექსი გვანცას

გადავიწყებულო *განცდავ*,
რატომ მომევლინე *გვანცად?!*

### თვითნასწავლი ბუღალტერი

***ნიკო სამადაშვილს***

თუმცა კი დიდხანს და მონდომებით *იანგარიშა*,
მაინც დაიხრჩო ციფრთა თუ ლექსთა *ნიაგარაში*.

### მწარე გამოცდილება

საჭიროა *ნება ცისო*
ასახდენად *ოცნებისა!*

### რა შეიძლებოდა მეთქვა ჩვენი დისთვის, ვთქვათ, 1967 წლის ზაფხულში

ზურამ უნდა *დაიძროს*,
ორი *კიჭი*, *დაო*, *რძის*.

### ალისფერი იალქნები

სად უბრალო პურსა სჭამენ, სად პურს სჭამენ *დოლისასა*,
სად მიშლინის რესტორანი, სად უბრალო *სასადილო!*
სად ქურდი და ავაზაკი, სად დერვიში *და სალოსი!*
სად კლეო და კლეოპატრა, სად ჯოლი და *სად ასოლი!..*

### რა შეიძლებოდა ეთქვა ერთს ვინმეზედა ოთარსა, ჩხეიძესა

და გარდასწყვიტა *საბოლოოდ*,
ქვეყანა ეგრე *დააბოლოვა*.

### შორეული ნაოსნობა

მენატრება *მე თბილისი*
და იმისი *თილისმები*.

### „სამი ჯარისკაცი" და სხვა

ვერ განარიდა *დოს პასოსმა*
ამერიკელთა *სპა სოდომსა*.

### ვერდის „ატილა" თბილისში (1861/2016)

ძაან თარსად გაეხირა ჰუნთა ბელადს *იტალია*,
იტალიამ შეიწირა საბოლოოდ *ატილაი!*

### ამბავი აშოტ რუსთაველისა

გულზე გამსკდარა *სომხეთი*
ამ ჩვენი ვინმე *მესხითი*.

### მსახიობთათვის

ყარაბასთა და ბარაბასთა და მალვინათა და *ბურატინოთა*,
მემკვიდრე არის ყველა *თოჯინა* – ტეილორია *თუ ბარტონია*.

### ნისლი ტბაზე

ფარავს მწუხრის *ზენარი*
მოგონებას *რინაზე*.

### ელდანაცემი ხანჯლების გახსენება კიევის მაიდანზე

ბულბულები დაადუმა ქუჩის ერთმა *იადონმა*,
ვინც მოვიდნენ სმენად მხეცნი, ყველა უმალ *დაიმონა*,
ნადირობის ხელოვნება დაივიწყა *დიანამო*,
„ისმინეთ და დაუმოწმეთ!" – *როგორც გვითხრა ადონაიმ*.

ისე მიხვალთ ომში, თითქოს ბრუნდებოდეთ *ომიდანა*,
თქვენმა წასვლამ, მერე მოსვლამ სისხლი ცრემლი *მადინარო*,
ჩამოდიან კედლებიდან და კიბეზე *ამოდიან*
ბოტიჩელის ვენერა და რაფაელის *მადონაი*.

აღარა გაქვს არჩევანი – ან მშვიდობა, *ანდა ომი*,
შენი უნდა გაიტანო, უკრაინის *მაიდანო*,
თუ მინდორი გქვია დიდი, წვიმით უნდა *დაინამო*,
ვინც მოუგებს ახლა სპარტაკს, ეს კიევის *დინამოა!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მიხვალთ ომში, თითქოს ბრუნდებოდეთ *ომიდანა*,
საომარმა მაგ სიმღერამ შვების ცრემლი *მადინარო*,
თქვენზე ფილმებს დამიანი გადაიღებს *დამიანო*,
„შემოდგომავ, შემოქმედო, შემოდგომავ, *მადიანო*"...

## კოსმოსური ოდისეა–1923

ა. ტოლსტოის აელიტა
ფანტასტიკის *ელიტაა.*

## პოეზიის ძალა

რასაც ვერ იქმ უკვდავების *ელექსირით,*
იმას იზამს, დამიჯერე, *ერთი ლექსი!*

## 1799

შემოდიოდა დარიალიდან *სპა რუსულიო*
და დრო მოჰქონდა უოსმალური, *უსპარსულოი.*

## ატმის ყვავილების რიმეიქი

რტოებში ავობს ქარი *ბებერი,*
ყვავილთა ფიფქით ბანაობს ***ჯარი,***
მიუყვებიან ფერდობს *ბერები*
და სულიერი თან მიაქვთ ***იჯრა.***

მარტმა აპრილის სამი დღის *ქირა,*
ანდაზად მისცა დროის ***ნაზობსა,***
„რტოებში ავობს ბებერი *ქარი,*
ყვავილთა ჯარი ფიფქით ***ბანაობს"***.

## სილამაზის კონკურსი

*პრიზია*
*პარიზი!*

## აია სოფია ანუ უკონტროლო მიგრაცია

გუმბათს შეიქმს *მინარეთად*
ტალღა უცხო *მდინარეთა!*

## ოტება სოხუმით

ზღვას ღრუბლის ჩრდილი დაადგა, როგორც ბებერი *მეხისო,*
ნელ-ნელა დაპატარავდა და ბოლოს გაქრა *სოხუმი.*

## უძღები / მაძღარი შვილის დაბრუნება

არ იქნება, გატეხილი გული რომ არ *დაიწყნარო,*
დაგხვდებიან შენი ქვეყნის ოდეს მთები და *წყარონი.*

## TO WHOM IT MAY CONCERN-13

რისთვის განახვენ ბაგენი,
თუ უნდა გეთქვა *გინება?!*

## მენტორთათვის

უნდა იდარდო ჭკვიანის გამოც, უნდა იდარდო *დებილის გამოც,*
ალბათ ეს არის გამოწვევაც და არის შეძენაც *გამოცდილების.*

## შიში უცხოურ ინვესტიციათა გამო

ვის დარჩება სვანეთი, ვის დარჩება *რაჭა ვის?*
ჯარი მოდის უცხოელ ჩარჩისა თუ *ვაჭრისა.*

## მეორე გარდამავალი ასაკი

1.
*ამაგდარი*
*რა ამიდგა!..*

2.
*არ ამიდგა*
*ამაგდარი!*

## თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ორი მხარე

*ხარობ,* როცა შენი ქვეყნის გლოვითა და *თალხით ხარობ,*
მკითხველსა და მაყურებელს უბედური *ხალხით ართობ.*

დატვირთულხარ ქარაფშუტა ფიქრებით და *საზრუნავით,*
ზურნა რეკავს ზარივით და ზარი უკრავს *ზურნასავით.*

## სიურრეალისტური სიტუაცია

მაინც ვინ მოკლა, ჯაფარა, *ვინო?!*
ჰარპერ ლის ჰკითხავს *ფარაჯანოვი.*

## კლუბური ნარკოტიკის ძიებაში

ამერიგო გაანულებს შენს სიხარულს, *კოლუმბო!*
რომ გეგონა კლუბი იყო, ბორდელია *მოკლუბო!*

## მინდა გაკოცო, გინდა მაკოცე

მე მეგონა, ცეცხლი *ენთო,*
მე მეგონა, ***კოცონია,***
მე მეგონა, იყო *თონე*
ერთი გოგო ***კოცნიაო!***

## ხეთა რიგს, ხეთა ჯარს და ბაადურ ბალარჯიშვილს

ამ კაცს ოლონდ პოეზია *აკითხე:*
*ხითა* – არა, *ხეთი* – არა, *ხეთა – კი...*

ვისაც უნდა რაც არ უნდა *ეკითხა*,
მას პასუხი ერთი ჰქონდა – *კახეთი!*

**თხოვნა (მეგრძოლ) ათეისტ კინომცოდნეს**

ნუ დაინუნებ, ნუ, *ფილმსა*,
რაკი ტრეკად აქვს *ფსალმუნი!*

**როქიკობა ქართლში**

ხოვლეს აქეთ *ნოსტეა*,
ნოსტეს იქით **ხოვლეა...**
ნეტავი შენს *ნეტასო!*
აღდგომა და **ხვალეო!**

**როცა ბინიდან კალათბურთის მოედანი მოჩანს...**

შეატოკა ჩემს სარკმლის წინ სიომ *იასამანი*,
მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა – ნაღდი *სამიანია!*

**მთელმა მსოფლიომ დაიტირა
ჰემინგუეის უკანასკნელი ნანადირევი**

მორჩა შენი *ნადირობა*,
უკვდავების *ბინადარო!*

**დედაენა დიდებისათვის**

*კაი კია*
*კია კაი*

**დაცურებული კრამიტი**

ხმას აძლევს აგურს ოდეს *კრამიტი*,
არის ზეიმი *დემოკრატიის*.

ხმას არ სცემს ფიცარს ოდეს *კრამიტი*,
იწყება რღვევა *დემოკრატიის*.

ტრაკს აძლევს ლურსმანს *ოდეს კრამიტი*,
არის პიზდეცი *დემოკრატიის*.

**25-ე კადრი**

რა ქინძარმა და-ცა-მსუსხა, და-ცა-მჩხვლიტა რა *ეკალმა*...
ცხადია თუ სიზმარია, ფაქტია თუ *რეკლამაა?!*

**რიტორიკული კითხვა**

*რატომ*
*მარტო?*

**მედეა ჩახავა ნესტან-დარეჯანის როლში ანუ
როლების განაწილება არშემდგარი პრემიერისთვის**

მარქვით, ქიქაში რომ[illegible]
ცალკე რიგასი, ცალკე *ჩივასი*,
აქეთ დარეჯანს ვაძლევ *ჩახავას*,
იქით ნესტანი ცალკე *ჩივისა*.

**ტექსტი პრეზერვატივის რეკლამისათვის**

დაიმსახურებ დამცინავ *სიტყვანს*,
თუ არ იხმარე დამცავი *ტყვენისას*.

**მე შაირი არ მინდოდა...**

რომ გეგონა, – იპლატონე, ისოკრატე, *იპერიკლე*,
თურმე მხოლოდ იშაირე, იშარე და *ირეპლიკე*.

**კუზიანს საფლავი გასწორებს, ანუ პირიქით**

არ მომხდარა, თავის ჩრდილს კაცმა *გაასწოროსო*,
კუზიანმა საფლავი უნდა *გაასწოროს*.

**სასჯელის უმაღლესი ზომა
ანუ მეექვსე მცნების რიმეიქი**

*არა კაც-ჰკლა!*
*არაკაც ჰკალ!*

**ლიგაჩოვიადა**

გინდა იყავი სალდათი, გინდა იყავი *მარშალი*,
სიტყვასაც ვერ დაასველებ, როცა კანონი *მშრალია*.

**TO WHOM IT MAY CONCERN-14
ანუ ტელემაყურებლის ზარი პირდაპირ ეთერში**

*რაო, მამათმავალო!*
*ო! არ მალავ, თამამო?!*

**უცხოეთში „მოლვაწე" ქართველი სპორტსმენებისა**

მოღვაწეობა როდია რაგინდ მაღალი *მიღწევაო*,
ან უცხოეთში მცხოვრები ყველა როდია *მოღვაწეო*.

**რა გავიფიქრე, ოდეს რედაქტორად დამნიშნეს**

ნავიყვანო *გაზეთი*
უნდა სულ სხვა *გეზითა!*

## TO WHOM IT MAY CONCERN-17
## ანუ ტ(რ)ოლეიბუსის გამოღვიძება

ტროლა ვარ, ალიონზე აფრენილი ტროლაი,
იმის დედის დედა მოვკალ, ვინც ჩემზე თქვას, ტროლიაო!

## TO WHOM IT MAY CONCERN-18

გვიანი არის ახლა ფართხალი...
რაც ეგ ჯეელი ცოლმა აფრთხილა!

## მკვდარი ბალახის სევდა

იშვიათია
ია თივაში.

## რეცეპტი ექვიანთათვის

საყვარელი ქმარია
ერთგულების ქამარი.

## ერთი ჩემი ნაცნობი ღვინის დეგუსტაციაზე

ე, მსმელიო!
– სომელიემ.

## ერთი შემთხვევითი საღამო ოპერაში

...მაგრამ ხომ არის კიდევ კალასი,
რომელიც მაინც სულ სხვა კლასია!

## სილამაზის სალონის რეკლამა

40 წუთში დიდედა
გადიქცევა დეიდად.

## კონიაკური განწყობილება

ნყნარი მუსიკა...
ვწრუპავ კამიუს.

## 1986: სასტუმრო „კოსმოსი"

შორი არის ეს სასტუმრო რეალური კოსმოსივით,
ვისთვის იყო მოსკოვი და ვისთვის არის მოსკოვსკითი.

## გალაკტიონური ანუ 1959 წლის 17 მარტის გახსენება

ვინ რა იცის, როგორ იყო აღსასრული შოთური,
არ იცვლება ერთი ვინძლო სამ დასა და ორ თუში...
ყური უგდეთ გალაკტიონს, ახლო არის თუ შორი –
მე დღეს მიწას დავასკდები, თქვენ კი გასკდით შურითო!

## საზონის მოახლოება

დაგიდგებათ სულ მალე, სანატორიუმებო,
უცხოელი პუბლიკის სანეტარო ზეთო.

## პირველი გამოჩენა

პირი დააღო პარიზის ყოვლისმნახველმა ელიტამ,
პირველად როცა იხილა ჩოლოყაშვილი მელიტა.

## წიგნის დეფიციტი

ვერ უშოვია ერთს ბესელია.
დღეს ბესელია ბესტსელერია.

## ჩოხა-ახალუხიანი სიზმარ-ცხადი

შევიფერე ახალუხი, როგორც ქურდმა რამკა,
შევიპარე, მოვიპარე დოლარი და მარკა,
აჭრაჭუნდა იატაკი, იჭრიალა კარმა,
უცებ თავი გამახსენა ტროპიკულმა აკრამ.

ათასობით ცხელი კოცნა, როგორც კონვერტს მარკა,
სქელტუჩება ფოსტის ქალმა მთელ სხეულზე მაკრა,
ფეხებიდან დამიარა, მერე თავში ამკრა...
ჩოხა ტანზე გავისწორე, ვით კეთილი კარმა.

მერე ველარ ვერ დამიტია მიწამ, ხუთმა აკრმა.

## TO WHOM IT MAY CONCERN-21

აჰა, დაგადეს ვალიცო,
გამოგიყვანეს **წირვაო,**
აღარა გშველის ლოცვაი,
განყდა იქ, სადაც **ვიწროა!**

## კაიფი-8

თურმე მხოლოდ ხის ჩრდილია,
რომ გეგონა შენ აჩრდილი.

## შეყვარებულთა შადრევანი რომში

ეს სამი კოხტა ქუჩაა,
წყვილებს რომმა რომ აჩუქა.

## სალამი მყინვარწვერს!

ისე აელვარდი,
როგორც ალავერდი.

## დელიმიტაცია-დემარკაცია

ნეტა ვიცოდე, გამარჯვებისა
თუ მოგვახარებს გარეჯი ამბავს.

### შემოდგომა

ფოთოლთა ადაჯრა,
დილა რომ აჯადორა.

### ბუდაპეშტი

აქეთ არის პეშტი, იქით არის ბუდაი,
არც ერთია დოჰა, არც მეორე – *დუბაი!*

### თეთრი თხა და შავი თხა

რას მიქვია, თეთრი, შავი! ერთი მითხარ, – რა თხა, *რი თხა,*
ენწყინება და ენწყინოს!.. რას მიქვია, მითხარ, *ხათრი!*

### 1984: ვანში ტიმ სევერინთან ერთად

ახვლედიანთა გაჰყურებს გორა,
როგორ შემოდის რიონით *არგო.*

### ფრინველთა გადაფრენა

ახ, ცრემლი... ახ, ცრემლი... *ახ, ცრემლი...*
ალარ დაბრუნდა *მერცხალი.*

### „მცირე ანდერძის“ ფრაგმენტი ფეისბუქზე

ამოაყოლებ მაუსის *სქროლას*
ვინმე ფრანსუა ვიიონს, *სქოლარს.*

### ჩემი მეგობარი იახტსმენი

*აფრასიონ*
*აფროსანი*

### ვაჰ, დედას თქვენთას ყოვებო!

ენადა ბეჩავს **ადგომა,**
მაგრამ ვერ ადგა *ბეჩავი.*
შარში ტყუილად *ჩავები,*
უბრალოდ ვაჟამ ***ამაგდო!***

### კაიფი-15

მი არ მინდა, არც დო მინდა, *რე მინდა!*
ამ რეს უნდა გავურითმო *მდინარე!*

### მცხეთური ღამის პეიზაჟი

მაყვლოვანს იდგა *სამთავრო,*
ედგა ნათელი *მთვარისარ.*

### ქართულ ხელნაწერთა გამოფენაზე

ამ ვერცხლის ყდებზე [illegible]
ბექა და ბეშქენ [illegible]

### სენტ-ლუსიიდან მოლოცვის საპასუხოდ

ვისთვის მხოლოდ *სიო* არის, ვისთვის ტროპიზის *გრიგალიო,*
აფრები რომ დამიბერა რუსიკოა, *გრიგოლია!*

### წონასწორობა

რა მშვიდად არის *ოთახი,*
როდესაც კუთხე *ოთხია!*

### სასაფლაოდან ქელეხისაკენ

ზემოთ დაგვირჩა მწუხარებისა გამოხვეული *ალში საფლავი,*
ქვემოთ კი გველის კოლიოს მადლი და *ოხშივარი შილაფლავისა.*

### მჯობთა მჯობნი

*ახალგაზრდებო, ან კი თქვენ... (აკაკი წერეთელი)*

ბიჭებო და გოგოებო, ლაშებო და *ჯობავებო,*
თქვენ უნდა თქვათ, – სიტყვას ვიტყვი! გვანცებო და ***ბულაძენო,***
თქვენ უნდა თქვათ, – მჯობნის მჯობნის მჯობნის მჯობთა *ვაჯობებო!*
თქვენთან ყველა შევარცხვინე ბლლარძუნა და ***ბლენძუაო!***

### ერთი საღამოს სტენოგრამა

რუსმა მითხრა: „კვასი არა, ვოდკა არა, *პუნში – კი!*
ვინც ევროპას გვაზიარა, პირველია *პუშკინი!*“

### გამოცხადება

რა იხილეს *მესიაი,*
ბრბო ურიცხვი *მიესია.*

### კაიფი-17

ისე ღრმაა, *ისე ღრმა!*
ქართლ-კახური *სიმღერა!*

### სამრეკლო

მყისიერად გადაგივლის *სიბრაზე,*
ოდეს გესმის ხმა სიონის *ზარების.*

### დაუმორჩილებლობა

ვინ ეკითხება *აპატურაის*
რითმებს და რიტმებს *პაატაურის?!*

*ია ჯინჭარაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამარჯობა, სიზიფევ

ეს მონწყენა,
როგორც ნუნარი ჩიტი,
ღიაა გალიის კარი,
მაგრამ აბა სად უნდა გაფრინდე?
ნეტავ, ის უცხო ლექსი,
სიზმარში რომ შევიყვარე,
სადმე თუ შემხვდება, ვიცნობ?
ან იმ სხვებს?
ნეტავ თქვენ,
მარტო რომ რჩებით
და საკუთარ მკლავებს ჩაიკრავთ
და ოთხად მოიკეცებით,
თუ გაიფიქრებთ –
არ უნდა აუკრძალო
ბედუინს უდაბნო
და უბედურს მოთქმა?
ცხოვრება კი მიდის,
ისეთი მშვენიერი,
როგორც ჩემი შვილის მიერ
დახატული ფერადი კვერცხი,
სადაც ცხოვრობს დედა-წიწილა.
მე კი ისევ
ბურთივით დავდევ სასწაულებს
და სულ მინდა გამოველაპარაკო
იმ უცნაურ კაცს,
აღმართში ლოდს რომ მიაგორებს,
მაგრამ მრცხვენია
ჩემი ცარიელი ხელების

* * *

წითელ წიგნში რომ შემიტანონ
ყარყატივით,
თქვენ – რა ლამაზი იყო
და ეს უცნაური ლექსებიც
როგორ უხდებოდა!
არ ჰგავდეს ეს წიგნი
რკინის ალაყაფიან ანთოლოგიებს
და მიხაროდეს გათენება –
რადგან ჩემთანაა
ყველა სიტყვა,
ხე თუ ადამიანი,
რომელიც გავაცოცხლე.
რა კარგია, რომ გადავშენდი –
გავიფიქრო
და სადაც შემეძლება,
ასე უბრალოდ,
ავდგე და წავიდე
ჩემი მეგობარი
ბალახის სანახავად.

* * *

ცეცხლი უნდა გეკიდოს
საბძელივით
და მორბოდეს საშველად სოფელი,
ვედროებით გაყრიდნენ თოვლს,
ფიწლებით ღრუბლის წყალს
იხვეწებოდნენ.
შენ კი იდგე და ამბობდე,
ხვალ ბევრი საქმეა –
ნაცარი უნდა მოვაგროვო
და შევინახო გადარჩენილ კუნჭულში,
რომ მთელი სიმარტოვე
პირუტყვივით გამოვიზოგო.
ხვალ ბევრი საქმეა –
ჩემი ახალი თავი უნდა შევიყვარო
და აღარ მეგონოს, რომ
ჭირხლით მოხატული
ფანჯრების მიღმა,
დგას ბავშვი ღია თოვლში
და საზეიმოდ ჩავლილ ადამიანებს
ეკითხება –
იესოს მოფერებით რას ეძახდა დედა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჭურჭელი დარეცხილია და
კრიალებს დარბაზები,
შემიძლია, სახლში წავიდე ბატონო?
ჩემს თბილ მიწურში,
ცოტა ადრე რომ წავიდე, ბატონო?
დავჯდები, ვიფიქრებ,
ციურ და მიწიურ სხეულებზე,
ოკეანეზე და გზებზე,
სხვები რომ დადიან სხივებივით.
იქნებ მივიდე იმ ნიშნულთან –
„აკრძალულია!"
და შევაბიჯო.
შენი ბრმა მზერა,
როგორც მზე,
უცხო და დამშრალი –
ჩვენს ზემოთ.
აი, ჩემი ხელები,
მე ვავლებ კავშირს,
ამ ხელებსა და სიტყვებს შორის,
როგორც სიმართლეს და ტყუილს შორის,
როგორც ტკივილსა და შვებას შორის
და მაინც მინდა,
ჭრელი მინდვრების ჭრიჭინა ვიყო
და არაფერი მახსოვდეს,
იმ შორი,
მკაცრი ზამთრებიდან.

* * *

როგორ უნდა ჩაქრე?
ეს ისეთი ადვილია,
თქვა ადამიანმა
და თქვა – სიტყვა.
ეს ისეთი ადვილია,
თქვა ქარმა ლაბირინთში
და მცენარემ
და დახედა
დახლეჩილ მიწას,
სადაც ვწევარ მე
და ვიმეორებ:
– ჩემო ბეკეკავ, საყვარელო,
მე არ ჩავატარებ
სიკვდილის რიტუალს,
აი, შენ მატყუარა მინდორი,
ვიდრე მოეა ღმერთი – მგელი.

* * *

აღარ შემიძლია,
ვიარო ჩემს ლექსებში
და სული ვუბერო
უძლურ ყვავილებს,
მლაშე მზეს ავაფარო
ჩრდილი ხელების
და გემები მოვაბრუნო
გადარჩენისკენ.
აღარ შემიძლია, ვთქვა –
ჩაქრა ხანძარი,
დაცემული მგზავრი წამოდგა,
ბიჭი მეორე პალატიდან
და გოგონა ნანგრევებიდან
აქ არიან, ცოცხლები და
მხიარულობენ.
და წყალი მტკნარი
და წყალი ყრუ –
რა დააბერებს!
და თოვლი, თოვლი,
ყველგან თოვა...
და ქარი თარეშობს.
დრო არის ალბათ,
მივატოვო ეს ყველაფერი,
როგორც ბატკანი მივატოვე,
მოწყალე მგლის თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩემი სამსახურის კატებმა არ იციან,
რომ მათ ფოტოებს,
ამ საღამოს,
აპლიკაციით სხვადასხვა სტიკერი მოვარგე,
რომ მათ სევდის ნახევარი საათი შემიმსუბუქეს.
ცხადია, საერთოდ არ იციან,
რა არის აპლიკაცია,
რომ ის არსება,
რომელიც ყოველდღე ნიკაპს უქექავთ
და რის გამოც თვალებს ნაბავენ,
მხოლოდ დარდის გაქარვებით არის დაკავებული.
იქნებ ჯობია იყო კატა,
გციოდეს,
უდარაჯებდე დერეფნის კარის ღიად დარჩენას,
რომ რადიატორზე შეხტე.
თუნდაც წუთით მოითბო თათები,
სანამ გარეთ გამოვარდები
იმ კაცის დანახვაზე,
ვისაც უბრალოდ ეფსია
და ტუალეტში მიდის.

* * *

რამდენი დღე გაძლებენ ჩემი მცენარეები,
რომ გამოვკეტო სახლი
და წავიდე ფესვგასადგმელი ბალის საძებნად.
რამდენ ხანში გამოეწურებათ ღერო,
შეეპარებათ მიწისფერი,
ჩამოყრიან ფოთლებს და იმედებს.
წვიმა ჩამორეცხავს ფანჯარას, მაგრამ ვერ დალევენ.
ბოთლით წყალი იდგება გვერდით, მაგრამ ვერ დალევენ.
მხოლოდ შეხედავენ, მხოლოდ ეგონებათ,
რომ უხილავი ხელი მოხსნის თავსახურს
და გადმოაქცევს სიზმრებს,
რომლებშიც შრიალებენ,
რომლებშიც კვირტები ებერებათ.
რამდენი დღე შეიძლება ელოდო სიზმრის ნახვას,
სადაც არ კვდები.

* * *

ყოველი სტიქიის მერე,
რომელსაც სასწაულით ვურჩებით მე თუ ქვეყანა,
ვფიქრობ, რას იტყოდა მიმდინარე მოვლენებზე მამაჩემი
ან რას მირჩევდა დედა.
საღამოობით,
სახლში რომ ვბრუნდები და ტელევიზორს ვრთავ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ყველა არხზე თურქული სერიალი მხვდება,
მახსენდება ქერა გოგოს სახე არგენტინული სერიალიდან,
რომელსაც დედა ბოლოს უყურებდა.
მახსოვს, როგორ შევცბი დედის გარდაცვალებიდან
რამდენიმე კვირის მერე,
როცა ტელევიზორში იმ გოგოს მოვკარი თვალი
და მივხვდი,
რომ მისი ცხოვრების რაღაც ეტაპი დედაჩემმა გამოტოვა
და ველარც ქორწილს ნახავდა,
რომელიც ყველა სერიალის ბოლო სერიაში იმართება.
და დღეს, სანამ ვახშამს ვიმზადებდი,
ვიფიქრე, რომ მას არცერთი თურქული სერიალი არ უნახავს,
რომ ბევრი დრო გავიდა,
რომ პასუხებს მარტო ვეძებ ყველა რთულ კითხვაზე,
რომ თურქულ სერიალებში ყველა ქალი სასოწარკვეთილია,
რომ მე შემიძლია შევიგინო და გამოვრთო ტელევიზორი,
სტიქია კი დარჩეს.

## სალტეები

როცა დედა დაუთოებამდე
ზეწრების გასაჭიმად მეძახდა,
ყოველთვის ფეხს ვითრევდი,
რადგან ან ვკითხულობდი,
ან ვმესიჯობდი,
ან,
ან,
და ყველა საქმე ზეწარზე უფრო სწორი იყო.
ბოლოს, ვწყდებოდი მნიშვნელოვან მსოფლიოს,
ვდგებოდით ერთმანეთის პირისპირ,
ხელისგულებში ვიგროვებდით ზეწრის კიდეებს
და მეტყოდა:
„მიდი, ნელა."
დედა სუსტი ქალი იყო, სიფრიფანა.
ჩემს ოდნავ მეტ ძალას
ჩასახუტებლად გამოქცეული ბავშვივით მოსდევდა.
სახეზეც ის სიცილი გვეფინებოდა,
რომელიც ყველა ბავშვს და უფროსს,
როცა გამოწვდილი ხელები
სიყვარულის სალტეებია.
ახლა ჩემი ზეწრები თავად ირჩევენ,
საით შეტეხენ ნაპირებს,
საით წაგრძელდებიან.
ჩემი სევდა
გაუჭიმავ ზედაპირზეა გაწოლილი
და მაშინ მინვდის ხელებს,
როცა უთოს ვადგამ –
იმ დამწერობის საჩვენებლად,
რაზეც არცერთს არ გვეცინება.

* * *

ერთხელაც მივხვდები, რატომ დუმან ადამიანები,
როცა მივმართავ.
ჩემი კითხვები არ არის რთული,
ხან პასუხებსაც არ ვეძებ,
მხოლოდ მოსმენა მინდა.
პოდა, ერთხელაც მივხვდები,
რატომ არ მაქვს ხმა,
სად მეკარგება.
რა ახშობს –
რომელი მოშვებული ონკანი,
რომელი დაზგა,
რომელი ფოიერვერკი.

* * *

რა სევდიანი სანახავია დილით მეტროში თმა,
რომელიც წინა საღამოსთვის დაახვიეს,
გალაქეს და ააბრჭყვიალეს,
გამოიარა ცეკვა, კვამლი, ბალიში, თითები
და ახლა ეყრდნობა კარს, რომელსაც აწერია:
ნუ.

## ორმო

როგორ ჩავვარდი ამ ორმოში, ვფიქრობ,
ცაში ვიყურებოდი?
მზე მჭრიდა თვალს?
იქნებ ჩრდილი ეცემოდა ორმოს,
იქნებ ყინული ჰქონდა გადაკრული.
შეიძლება ფეხსაცმელმა მიმტყუნა,
ან გულმა,
ზედ ორმოს თავზე.

## RELIGION SPEECH

ჰო, მე ვიცი, რომ მაგნიტი ვარ:
ჩემთან მოსული ველარ მიდის
და ჩემგან წასულს დაბრუნება უჭირს,
მაგრამ შენ ხომ ჯარისკაცი ხარ?

* * *

კოლმეურნეობის მოედნის მეყვავილეებმა სკვერში,
შადრევნის გარშემო გადაინაცვლეს.
და წევს ცარიელი შადრევანი ყვავილებს შორის,
როგორც მიცვალებული.

## წასვლა

დიდი მონდომების შედეგად ის მოკვდა.
საერთოდ, სიკვდილი დიდი მონდომების შედეგად დგება.
ძალიან უნდა მოინდომო,
შენმა მუხლებმა უნდა იგრძნონ მიწის ზედაპირი,
აიკრან მტვერი,
შენმა ხელებმა უნდა ამოიბრუნონ თავი,
შეეშვირონ ცას,
შენი თვალები უნდა ჩაიკეცოს –
წიგნი, რომელშიც ყველაფერი დაიწერა
და თმა შეიძლება ჩამოგეფაროს სახეზე ფარდად,
თუმცა ეს ბოლო შტრიხია,
უბრალოდ, ლამაზი.
და ეს ისევე ადვილია,
როგორც მზის გამოჩენა,
რომელიც წარმოუდგენელ ენერგიას ხარჯავს
ჩვენამდე მოსაღწევად.

რომ არა მისი სიმხურვალე
რომ არა მისი დაჟინება

ბოლო ათინათს წაავლოს ხელი,
დასახუჭ თვალში შესვას, –
ფულუროში,
სადაც სიზმარი ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინი ელიაშვილი

* * *

რეკენ ზარები ჩვენ სარკმლებს ვბოლავთ
რეკენ ზარები ჩვენ ვბოლავთ სარკმლებს
ჩვენ ვინც წავაგეთ სუყველა ბრძოლა
ვინც სამომავლო ბრძოლებსაც ვაგებთ
შენ ვინც წლების წინ ჯვარზე ვერ გაცვეს
და დაიბრალე რატომღაც ჯვარცმა
ვერ გაარკვიე ღმერთი თუ კაცი
იყავი ღმერთმა უფრო კი კაცმა
რეკენ ზარები ჩვენ ვაგებთ ბრძოლას
რეკენ ზარები ჩვენ ბრძოლას ვაგებთ
ჩვენ ვინც ვიგემეთ შენს გვამთან წოლა
და ცხვირზე სამჯერ დაგადეთ სარკე
ეჭვით იმედით რომ ცოცხალი ხარ
ბოლმით ტკივილით რომ მოკვდი ალბათ
ჩვენ შენთან ერთად ვინც კი დაგვმარხეს
ვინც აღდგომამდე უბრალოდ დალპა

* * *

დღითიდღე ვხვდები ყველა რწმენა როგორ მეცლება
როგორ გადმომდის ცრუ ცეცხლივით ქრისტე სისხლიდან
როგორ ვიმარჯვებ დამარცხებებს როგორ ვისხლიტავ
როგორ დატოვეს გაზაფხულზე გული მერცხლებმა
სიცივეებში თბილ ქვეყნად რომ შეგულებიათ
მინდვრის ყვავილებს დაგიკრეფ და თაფლის სანთელსაც
მოგიტან საფლავს თუ გაგითბობს – უცხოს ნათესავს
მერცხლები ალბათ მოღალატე ბეღურებია
დღითიდღე ვხვდები ყველა რწმენა როგორ მამძიმებს
როგორ არაფრად არ მჭირდება ღმერთი მრისხანე
როგორ ტოვებენ კვირტები გულს როგორ ისხამენ
ხეები როგორც გაზაფხული მოვა – ნაძირლებს
ჩემს შავ ტოტებზე ელიმებათ და გამომშრალი
სიცილებისკენ თრობებისკენ მივედინები
ლოცვით შენიღბულ წყევლითა და ლანძღვა-გინებით
გაზაფხულობით ყველაფერი როცა შორს არი

* * *

ღამე, როდესაც მოაჯირებს გაუქრობს ხიდებს,
სიბნელე, როცა მიწყნარდება ქუჩის ორკესტრი,
გავდივარ გარეთ. საკუთარ თავს მკვლელივით მივდევ
იქ, სადაც ჯერაც შეიძლება სიცოცხლე ღირდეს.
რომ დავდგე მშვიდად და სიკვდილი გავაპროტესტო.
ღამე, როდესაც არ მგონია ჩემზე მართალი
არავინ. როცა ვაბათილებ ყველა საწადელს,
გავდივარ გარეთ. რომ დავიწყო და დავამთავრო
სიკვდილი, ყელში ამოსული, როგორც ზამთარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

არ შეიძლება, გიყვარდეს და ღმერთი არ გწამდეს,
თან ღამით, როცა ყველაფერი არის გვიანი
და მხოლოდ ისღა დაგრჩენია, რომ მის იმედად
იყო და რადგან მან სხეული ვერ გაიმეტა,
შეიძლება, რომ გააღმერთო ადამიანი,
ისე მოგინდეს, გზააბნეულს, მისი შეხება.

*

ღამე, როდესაც სიხარული არ მეხერხება,
გავდივარ გარეთ. ხომ მიყვარდა სახლიც ოდესღაც.
ახლა ხიფათი სახლში უფრო გადამეყრება.
სახლში წვიმს. სახლში, შიგადაშიგ, ქარიც გოდებს და
გავრბივარ გარეთ. რომ შემძულდეს, რასაც ვეხები.
რაც გამაჩნია, რომ ყოველი გავაპროტესტო..

* * *

ჩვენ საუცხოო მეგობრები ვართ.
ერთმანეთს ვხოცავთ.
გვიყვარს, როდესაც მზე ამოდის,
ჩვენ კი მკვდრები ვართ.
ერთმანეთისკენ ვგზავნით ყველა მხურვალე ლოცვას.
არაფერია, რაც შემაჩერებს,
შენს ხელში მოვკვდე.
მაგ ფრთებმა მზიდონ. და როდესაც აღარ ვიქნები,
სუყველა ნივთი მოისროლე.
და
ჩემი მხოლოდ იმედი გქონდეს.
მზე საცოდავად ჩაიზნიქება...
ჩემი თოვლი კი შენთვის ითოვებს.
ჩემი სიზმრები შენს გულში რჩება.
და სავსე მთვარეს რომ შეხედავ,
ნატვრა ჩაუთქვი.
რაც კი გატკინე, ერთი-ორად
იგრძნეს ამ ძვლებმა.
(ასეა — კლავ და კვდები თვითონვე)
ჩემი ცა გხურავს.
შენთან ვტოვებ ყველა გასაღებს.
აღარაფერი აღარ ხდება ირგვლივ. ბინდია.
შემისახლე და ყველასაგან გადამასახლე.
ველარ განვიცდი, რომ მივდივარ ან რომ მიდიან.
არაფერია, რაც შემაჩერებს,
შენს ხელში მოვკვდე.
მაგ ფრთებმა მზიდონ. და როდესაც აღარ ვიქნები,
სუყველა ნივთი მოისროლე.
და
ჩემი მხოლოდ იმედი გქონდეს.
მზე საცოდავად ჩაიზნიქება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციკლიდან „მამაკაცის თვალები“

1. *** *** ***

გათენებული არც იყო, რომ დავინახე.
ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ შევამჩნიე,
რომ მეტროში ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ჩამოდიოდა.
გვირილებიანი კაბა ეცვა, მუხლამდე.
მაგრამ, მანამ, სანამ კიბეებს ჩაივლიდა,
კაბა მუხლიდან ორ თითზე მაღლა იწევდა
და მე თვალნათლივ ვხედავდი მის რძისფერ ფეხებს!

ასეთ დროს იგი ისეთი სინაზითა
და ისეთი გრაციოზულობით
ჩამოუყვებოდა კიბეებს,
რომ ფორმა,
რომელიც ისედაც მიჭერდა, –
სულს მიხუთავდა!

მე რომ შემეძლოს ასეთი სამსახური არ მქონდეს,
მე რომ შემეძლოს ფეხდაფეხ ავედევნო
და მუდამ მისი ნაბიჯების უკან ვიარო,
ჩემი ცხოვრება როგორი ბედნიერი იქნებოდა-მეთქი! –
გავიფიქრე და შევკრთი.
რადგან დღეებს,
რომლებსაც რუტინული ელფერი ჰქონდა,
მხოლოდ მისი ფერადი კაბები მატებდა მრავალფეროვნებას.

***

ხანდახან მეჩვენება, რომ გოგოს,
რომელსაც რძისფერი ფეხები და ჩამავალი მზისფერი თვალები აქვს,
ფრენა შეუძლია.
და,
ერთხელაც,
როდესაც იგი მატარებლის მოსვლას
დასუსტებული ჩიტივით,
ნახევრად გაშლილი ხელებით დახვდება, – გაფრინდება!

***

ამ დილით ის გოგო აღარ მინახავს,
არადა,
წუხელ მთელი ღამე ვფიქრობდი,
რომ დღეს მიხაკისფერი კაბა უნდა სცმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. *** *** ***

ხველება რომ გაუხშირდა,
პირველად მისი დაკარგვის მაშინ შემეშინდა.
„– არ მინდა, საფლავზე ის ყვავილები ამომიტანო,
რომელსაც ვყიდდიო“ –
იმდენად გამხდარი ხმით მითხრა,
შევკრთი და ხმისამოუღებლად ჩავეხუტე.
მე რომ ქალი ვყოფილიყავი,
აუცილებლად ვეტყოდი-მეთქი რამეს, –
ვტუქსავდი საკუთარ თავს და თან მიკვირდა,
როგორ ახერხებდნენ ქალები ნებისმიერ დროს
და ნებისმიერ სიტუაციაში საჭირო სიტყვების პოვნას.

– ძალიან თბილი თითები გაქვსო. – ამ რამდენიმე დღის წინ,
ახალმოსულს, პური რომ გამომართვა, მაშინ მითხრა.
– ჰო, მთელი დღე თონეში ვითბობდი-მეთქი, გავეხუმრე
და მის მიერ ვერგაყიდული ყვავილებით მორთულ მაგიდას მივუჯექი.
ასეთ დროს,
როდესაც ყვავილებიან მაგიდასთან ვსვამდი
ლინდას მიერ დაყენებულ გვირილის ჩაის,
მეჩვენებოდა,
რომ მაგიდასთან ჩვენი ბიჭიც იჯდა
და მასთან ერთად რომ მეთამაშა,
ჩქარ-ჩქარა შევექცეოდი მთლიან პურს.
იმ პურს, რომელსაც ლინდა მხოლოდ ყუას ატეხავდა
და ხმისამოუღებლად,
უგემურად ჭამდა.

ლინდა ყოველთვის ჩემზე ძლიერი იყო,
ძლიერი იმდენად,
გამოგონილი ბედნიერებით რომ არ ეცხოვრა.

ჩვენი შვილი ზამთრის ქარიშხლიან დღეს გარდაიცვალა.
ზამთრის სუსხიან დღეებში,
როდესაც ჭკნებიან მინდვრის ყვავილები.
მე მუდამ ვიცოდი,
რომ ჩემი ცოლი მინდვრის ყვავილია.
ის ყვავილია,
რომელიც ყოველ ზამთარს უფრო და უფრო მიჭკნება.

***

წარმოდგენაც არ მინდა,
რამდენად დიდი გახდება სახლი,
როელშიც რომელიმე ჩვენგანი მარტო იცხოვრებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

### 3. ტვირთის სიმძიმე

თავიდან კარგი იყო შენი გზებით სიარული,
ჩემთვის უცხო და თანაბარი ნაბიჯებით,
მაგრამ როდესაც დავინახე,
რომ გზა არასოდეს აგრევია
და რომ
არცერთხელ არ ჩამორჩენილხარ ჩემს ფიქრებს, – შევკრთი.

სხვა ქალებისთვის რომ მომეყოლა ისტორია,
თუ როგორ შემიყვარდა პირველად გოგო
მზეზე მბრწყინავი მისი საოცარი თმის გამო,
იტყოდნენ,
რომ არის ამაში,
რაღაც პოეტური და,
შესაბამისად,
რომანტიკულიც.
შენ კი ასეთ დროს ყოველთვის დუმდი
და უფერულ ხის ნაჭერს ემსგავსებოდა შენი თვალები.

***
თითქოს ქვესკნელის დიდ კარებთან დგას შენი გუშაგი – ნეთი
და მელოდება.
„ხემდუ, ხემდუ"! – ამშვიდებ მას.
მე კი კვლავ მეჩვენება,
რომ შენი სიცოცხლე
სწორედ ჩემი სიკვდილის გულშია.
უნდა წავიდე!

შენი ფიქრები ჩემს ნაბიჯებს უსწრებს.
უნდა წავიდე!

მიწისმოქმედზე გაცვეთილი მწყემსი დუმუზივით თავს სანამ ვიგრძნობ,
უნდა წავიდე!

შენ ხარ ყველა ჩემი საბედისწერო ქალი!
უნდა წავიდე!

### 4. *** *** ***

სულ ერთადერთხელ მყავდა ნანახი,
რომ ვუთხარი,
– შენს გამოჩენამდე მეგონა, მხოლოდ მატარებლის რელსებს ველოდი,
ახლა კი ვიცი,
მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შენ გელოდა,

რომ დამშვიდებულიყო-მეთქი.
– ორნაფაზდარტყმულ სიგარეტსაც შეუძლია ასფალტი ამოწვასო, – მხოლოდ ეს მითხრა და წავიდა.

ბიბლიოთეკა

***

შემდეგ მე დიდხანს,
ძალიან დიდხანს ვფიქრობდი,
რომ ენახავდი, რა უნდა მეთქვა.

– როცა ბალახს ახლოდან უყურებ,
ირგვლივ არაფერი არ ჩანს,
ხოლო, როდესაც საყვარელ ადამიანს, – ვერაფერი,
გარდა შორეული ზღვისა და ხასხასა ბალახისა-მეთქი, – ჩავჩურჩულე.

გამიღიმა.

მაშინ ვიცოდი,
ძალიან ღრმა რომ იყო მისი ზღვა,
თუმცა, როდესაც ნაწნავივით ვიწრო წელს
ხელები შემოვხვიე,
მივხვდი, – განსაკუთრებული არაფერი.

***

სიგარეტი ახალმოკიდებული მქონდა,
მორიგმა მარშრუტმა რომ გამოიარა.
ჩავაქრე.

5. *** *** ***

დღეს მილენა ვნახე,
მან არ იცის,
რომ მისი სახელი ნლების წინ სწორედ მაშინ დავიმახსოვრე,
როდესაც მარშრუტის მძღოლმა გასძახა,
ამ ფულის დატოვებას,
სჯობდა თბილი მზერა დაგეტოვებინაო.
ამბობდნენ,
რომ ამ ბიჭს მაშინაც კი უყვარდა იგი,
როცა მის უკვე გარდაცვლილ ქმარს ძალით გააყოლეს.

დღეს, ამდენი ნლის მერე,
მილენა პირველად ვნახე.
მხოლოდ თვალებით ჰგავდა იმ გოგონას,
რომელიც ბავშვობიდან მახსოვდა.
მიუხედავად იმისა,
რომ მას დღესაც არ შევუმჩნევივარ,
მე მაინც ზეპირად ვიცოდი მისი ყველა მიხვრა-მოხვრა,
ამაყი ყელი
და პაწაწინა ხალიც კი – თეთრ მკლავზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხშირად,
როცა მარტო ვრჩებოდი,
წარმოვიდგენდი,
შუადღის გულზე,
როცა იგი სამუშაოდან ბრუნდებოდა,
როგორ ნაზად ჯდებოდა ფეხებმორყეულ სკამზე და უყურებდა,
თუ როგორ ღებავდნენ მეზობლის სახლს.
ამბობენ,
საღებავს მძაფრი სუნი აქვსო,
მაგრამ მილენა ვერასდროს გრძნობდა მის სუნს,
რადგან მშვენივრად იცოდა უფრო მძაფრი – მძიმე ყოფის სუნი.
ყოველთვის,
როცა წვიმდა,
იგი შიშით წვებოდა საწოლზე
და პირაღმა მწოლიარე ითვლიდა სახურავიდან გამოჟონილ წვეთებს...
ვერ იქნა და ვერ დამთავრდა წვეთები,
ვერ იქნა და ვერ დამთავრდა მისი სიცოცხლეც.

დღეს მილენა ვნახე,
არ ვიცი,
მკლავები თხილის კრეფამ დაუკაწრა,
თუ საკუთარმა ფრჩხილებმა.

## 6. *** *** ***

ის ოცნებობს, იცხოვროს სახლში,
რომელსაც ლურჯი კარი
და ფერადი ფანჯრები ექნება.
მე კი რამდენიმე დღე ვუკითხავდი ლექსებს,
რომ მისი უფანჯრო ოთახი მენახა.

***

როდესაც მისი მუხლების ცახცახი
ყავის ფინჯნებს ძრავს,
ხოლო სუნთქვა – ფარდებს,
მგონია,
რომ სწორედ ის არის,
ვინც ჩემს გადასარჩენად უნდა მოსულიყო,
მაგრამ ჩემი სული,
პოეტის სული, მუდამ მარტოა
და ერთადერთს,
რასაც ვინარჩუნებ – ყველაფრისადმი გულგრილობაა!

***

დილით ცარიელი სახლი და მისი წერილი დამხვდა:
„სანამ მონეტა ჰაერში იყო, მე ზუსტად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა!"

***

ჭერიდან უცნობი გრძნობა – შიში დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცოტნე ავსაჯანიშვილი – მამაჩემი მომკლავს

ნია მარანელს გრძელი შავი თმა რომ ჰქონდა, ზუსტად მაგიტომ გადაეკიდა ლუკა ლიქოკელი გინდა თუ არა ჩრდილო მექსიკური კლიჩკა უნდა დაგარქვაო. გავიდა ერთი კვირა და აუდიტორიაში ქარიმხალ კატრინასავით შევარდნილი ლიქოკელი გოგონას უკვე კანტალისიას ეძახდა. ისე ნია მარანელი მექსიკელ ლამაზებს ყველას სჯობდა და ნაღდი მთიელივით, კიდეც იმოლტებოდა და კიდეც გრაციოზულად იყო მოხვეული. გოგონა სულით და გულით ცდილობდა ხუმრობად მიეღო მასზედ გადაკიდებული ცეტი ჭაბუკის გამოხტომები, მაგრამ ლიქოკელის პიროვნებაში გამჯდარი ოხუნჯობის სრულად გათავისება ვერ იყო ნიასნაირი სიფრიფანების საქმე. არადა ლუკა ეარშიყებოდა ნიას და კიდეც ეგონა მოვხიბლე და ეგ არიო. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, ნია მარანელს ჩოგანმა პროფესორმა ქულები დააკლო და აუდიტორიის კართან აწუწუნებდა. საოცარია, როცა ლექტორები უმადურ ოროსნებს აწუწუნებენ, მაგრამ საზიზღრობაა, როცა იგივეს კარგ ვინმეებს უშვრებიან. ნია ისე სნავლობდა, მაგის წილი სტიპენდია ვინმე ზუზრიაჩკას არ უნდა წაელო და ზუსტად მაგას ეუბნებოდა იმასაც, რო აიო, ბატონო ლექტოროო, გთხოვო... ოღონდ მორცხვიც იყო ნია და ამაყიც და ბოლომდე ვერც სთხოვდა და მოკლედ ცუდად იყო გოგო, წითლდებოდა, ლურჯდებოდა, აღარ იცოდა რა ექნა და ის ჩემის პრაფესორი მაინც ალესილი დაჰყურებდა ვითომც არც არავინ მელაპარაკებაო. აი ეგ კადრი იყო და ლიქოკელი გამობაჯბაჯდა კალიდორში, ნიას გვერდით დაუდგა, ხელი ხელში ჩაავლო და ამ ლექტორის წინ შემოუძახა, აგავის ქალღმერთებს მოწყალების თხოვნა არ ეკადრებათო. მერე ხელჩაკიდებულმა გაიყვანა უნივერსიტეტის შენობიდან. გოგონა ინერციით მიჰყვებოდა ცეტ ლიქოკელს. გარეთ ლუკამ სიგარეტს მოუკიდა და სულელური ღიმილით უცქერდა ნიას. გოგონამ ახლაღა გააცნობიერა, რომ სტიპენდიას ველარ აიღებდა, ზიზღიანი მზერა აჯახა ლუკას და თავდახრილი ავტობუსის გაჩერებისკენ წავიდა.

ეეე, კანტალისია, დონდე? – სიტყვა დააწია ლუკამ.

შემეშვი რა... – გოგონას ხმაში ცრემლი ისმინებოდა.

აუ ერთგან წამომყვები? – წამოეწია ლუკა.

ვინ ხარ, რას გადამეკიდე, დამანებე რა თავი!

ეე კაი რა, რას მეჩხუბები... გულს ნუ გაიტეხ ბონიტა, შენ ეგ არ შეგშვენის! ნანახი გაქ ბაში-აჩუკი?

ხუთი წუთის წინ, შენს გამო სტიპენდია დავკარგე, ცუდად ვარ, შემეშვი, წადი რა...

მე რა შუაში ვარ ე? მე მოვჟმოტე ქულები? ჩემზე რო იყოს, მსოფლიოს ყველა სტიპენდიას შენ მოგცემდი.

შენ რომ არ მოთრეულიყავი... ოოოო... – ნიას ტირილი აუვარდა.

ეგრე გინდა ის სტიპენდია ტო? – შეწუხდა ლუკა.

კი... – ამოიკნავლა გოგონამ.

რათ გინდა?

ოოო არ ვიცი, მინდა რა. შენნაირი უმიზნო არ ვარ.

უმიზნო რატო? იცი რა მაგარი მიზნები მაქ? გინდა მოგიყვე? წამო გავისეირნოთ და მოგიყვები.

არ მანაღვლებს შენი მიზნები!

სამი წუთია გელაპარაკები და ისე გადამიარე თავი პუტინი მგონია. არადა არაფერი დამიშავებია... ნუ შენთვის არ დამიშავებია.

კაი მაპატიე. ნავედი, კარგად...

წამო მეტრომდე მაინც ჩავისეირნოთ ფეხით. გთხოვ.

ნიამ გაიღიმასავით. გაივლის წლები და სახაჭაპურეში მჯდომი უსაქმური ლუკა ლიქოკელი გაიხსენებს, როგორ არ

წაიქცა ნიას ღიმილის დანახვისას მაშინ, როცა ფეხებს მართლა ველარ გრძნობდა.

კაი წამო... – ჩაიქირქილა ნიამ, რომელიც უეცრად დადგა კარგ ხასიათზე.

კანტალისია და მისი კავალერი რუსთაველის მეტროსკენ წავიდნენ. იდგა გაზაფხული და თბილისში დაფრინავდა იმაზე მეტი ჩიტი, ვიდრე საერთოდ დაფრინავს ხოლმე, რადგან თბილსელ ჩიტებს შეუერთდნენ კახელი ჩიტებიც, რომლებიც მასიურად გაურბოდნენ კისტის თოფით შეიარაღებულ ბალღებს, რომლებსაც აღარ მოსწონდათ ქათმის ჩახოხბილი, რადგან მიხვდნენ, რომ ნაღდ ჩახოხბილს, ხოხობი თუ არა მწყერი მაინც უნდა და ქათმის ჩახოხბილი კი, სინამდვილეში ჩაქათმულია.

ფეხებზე დაიკიდე რა. რათ გინდა მაგ ჩათლახების სტიპენდია. – გაუტია ლუკამ.

კაი, არ მინდა. – ისევ რაღაცნაირად ულიმოდა ნია.

შენ სხვა ტიპშა ხარ. არ უნდა ეხვეწო შენ არავის. მე ეგრევე ვხვდები ტიპებს ვინ როგორია. აი შენ რო დაგინახე, ეგრევე მივხვდი სხვანაირი რო იყავი.

ოუფ...

ეგეთი რამეები აღარ მითხრა, თორე აღარ იქნები კაი ტიპი.

როგორი რამეები?

ოუფ და რაღაცეები.

კაი აღარ გეტყვი.

აუ, შენ ლაპარაკი არ გიყვარს ჰო? – მოიწყინასავით ლუკამ.

რა მიზნები გაქ მომიყევი. ჰო მეუბნებოდი მოგიყვებიო. – თვალები დაქაჩა ნიამ.

ეეე, ეგრე რა... მექსიკიდან არგენტინამდე ბოდიალი მინდა და ლექსების წერა. წამოხვალ?

სად წამოვალ გაგიჟდი? მამაჩემი მომკლავს. – შეცბა გოგონა.

ჰაჰაააააა.... – ჩაბჟირდა ლიქოკელი.

რა გაცინებს? – გაბრაზდა ნია.

არაფერი კაი დაიკიდე. – ჩახუტება სცადა ლუკამ.

რა დავიკიდო, გადი იქით... – კვლავ გაბრაზებული იყო ნია.

მექსიკაში წავიდეთ და მამაშენს მოვუხერხებთ რამეს. ხვალვე ხო არ წავალთ...

რას მოვუხერხებთ?

ნუ, თუ ტკბილი სიტყვა არ გაჭრის და შენც მისი ნებართვის გარეშე არ შეგიძლია, მოვიტაცებთ, დავაბამთ და მანამ არ ავუშვებთ, სანამ არ იტყვის რო წადითო შვილებოო, კურთხევას გაძლევთო.

კურთხევა რაღად გინდა? – დაიბნა ნია.

იქ თუ წამოხვალ, ცოლადაც გამომყვები... – განაცხადა თავდაჯერებულმა ჭაბუკმა.

იდიოტი ხარ.

ერთგან გამომყვები?

სად?

ბებიაჩემი ცხოვრობს სოლოლაკში და პური უნდა ავუტანო.

არა. მეჩქარება სახლში.

აუ წამო რა... თან ლამაზია ზემელიდან სოლოლაკისკენ მომავალი ხვეულები.

ვიცი, მაგრამ უნდა წავიდე.

მამა მოგკლავს? – ისევ აცანცარდა ლუკა.

არა!

მაშინ წამომყევი ბებიასთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქართლის დედა ლამე უფრო ჩანს ვიდრე დღეო, ფიქრობდა ლუკა ლიქოკელი, მაგრამ ნიას არ ეუბნებოდა და არც არავის ეუბნებოდა, იმიტომ, რომ ეს მოსაზრება მის გონებაში ჯერ კიდევ განხილვას ექვემდებარებოდა. ღამით გარშემო სხვა არაფერი ჩანს და ქართლის დედას კიდე ლამპოჩკები უყენიაო. დღისით კი, იმდენი რამე ჩანს, დედა იკარგება და თითქოს ქართლს დედა აღარ ჰყავსო. ისე კაცმა რომ თქვას, ღამ-ღამობით ხედავდა ქართლის დედას ყველაზე კარგი ტრაექტორიით ლიქოკელი, ამას თვითონაც ხვდებოდა და სწორედ ამიტომაც ექვემდებარებოდა ზემოთ ნახსენები დასკვნა განხილვას. ლუკას ძმა და სულის ზიარება ზუკა ნონეშვილი ისე ახლოს ცხოვრობდა ქართლის დედასთან, რომ სალამოობით ლუკა მაგასთან დასალევად რო ადიოდა, თავი სულ დახრილი ჰქონდა ემანდ ხმალს არ დავეჯახოო. ნიას რომ ეუბნებოდა ბებიასთან გამომყევიო, სინამდვილეში ზუკა ნონეშვილი იყო ეგ ბებია, მაგრამ ნია ვერ მიხვდებოდა მაგ ტყუილს, იმიტომ, რომ ლუკამ ცრემლმორეულმა უამბო, ბებია სულით ავადმყოფია და ახალ ადამიანებს რო ხედავს ეშინიაო. ცოტახანი გარეთ დამიცადე, პურს მივუტან და გამოვალო. ჰოდა თონეში ერთი პური იყიდა ლუკამ და ასე, ხელდამშვენებული მიადგა ზუკა ნონეშვილს.

ვააა, ლუკა შე ბოზზოო! – გაუხარდა ძმაკაცის დანახვა ზუკას.

ჩუუუუ.... – პირზე თითი მიაჭირა ლუკამ.

რა იყო შეჩემა? – დაიბნა ზუკა.

გოგო მელოდება გარეთ...

მერე რას მაჩუმებ, მიდი ამოიყვანე რას დააყენე ცოდოა ტო. გავალ დავუძახებ. – ზუკა კარისკენ წავიდა.

დაჯე ბიჯოო! – ხელი სტაცა ლუკამ.

რა შლეგი ბუნებისა ხარ რაიყო?

სად მიდიხარ, არ დაენახვო.

არ დავენახვო რა, ოპერის აჩრდილი ვარ?!

ბებიაჩემი ხარ.

ჰა?

ბებიაჩემი ჰგონიხარ რა...

მოიცა გოგო მოიყვანე და უთხარი, რო ზუკა ნონეშვილია ბებიაშენი და იმას სჯერა? – იკითხა აჭრილმა ზუკამ.

არა. ვუთხარი, რომ აქ ცხოვრობს ბებიაჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ზინაიდა ლიქოკელი და ისიც, რომ ზინა სულით ავადმყოფია და პური უნდა მივუტანო რა.

რა ლამაზია ტო. ეს შენ რატო დაგყვება. – ზუკამ ოდნავ გადაწია ფარდა და ნიას უყურებდა.

დიდებული ვინმეა. – დაეთანხმა ლუკა ლიქოკელი.

რა ჰქვია?

კანტალისია...

შენ დაარქვი ჰო?

აბა მამამისი ჰო არ დაარქმევდა.

და მამამისმა რა დაარქვა?

მე რა ვიცი...

მოიცა და რატო მოატყუე ბებიაჩემთან ავდივარო? – ზუკა ლუკასკენ მოტრიალდა.

რავი, რამე საყვარელი უნა მომეფიქრებინა სასეირნოდ რო წამომყოლოდა... მამაჩემი დამიშვებსო და არ მოდიოდა.

რა არი მამინაცვალი ზრდის? – გაიცინა ზუკამ.

არა, მთიელი ზრდის...

ეგ ისეთი იქნება, წყაროზე რო ჩაგიყვანს და არ დაგალევინებს.

ოცი ლარი მომე რა.

რათ გინდა?

რავი ან ნაყინზე დავპატიჟებ, ან დავლევთ სადმე.

ათს მოგცემ. ნაყინს მეტი რათ უნდა.

თხუთმეტი მომე... თან ნახე პურიც მოგიტანე.

ძაან ძვირიანი პურია ღმერთმანი. ვენესუელაში ვართ?

მაიტა ჰა.

აჰა და არატირო, საყვარელი ვინმე ჩანს.

რა უნდა ვატირო ტო... კაცი ხარ ზუკაჩო, დიდი კაცი.

* * *

რაო ბებომ? – ჰკითხა ნიამ ზუკასგან გამოსულ ლიქოკელს.

შენზე მითხრა ლამაზი გოგოაო. ფანჯრიდან გიყურებდა.

აკი უცხოების ეშინიაო... – დაიბნა ნია მარანელი.

რავი, დღეს ეგონა რო 1948 წელი იყო და მე მაგის უფროსი ძმა ნოდარი ვიყავი. ჰოდა შენ მომავალი რძალი ნუნუ ეგონე და მეუბნებოდა, ნოდარიკო რა კაი გოგოა დედასაც მოეწონებაო.

რა სიგიჟეებს მიყვები.

რა არი სიგიჟე. ეგრე მითხრა მართლა.

არ მინდა ვიფიქრო, რომ გიჟმა მომიტაცა. – სერიოზულად დაიძაბა ნია.

ჰო გიჟმა მოგიტაცა. ოღონდ კეთილმა გიჟმა... ცოტა ხანი გაერთობა და გაგიშვებს.

ისე, რა გქვია? – იკითხა ნიამ.

სამი კვირაა ჯგუფელები ვართ და ჩემი სახელი არ იცი? – ეწყინა ლუკას.

არ გითქვამს...

ლუკა მქვია.

ლამაზი სახელია. გიხდება.

ჰო მარა პაპსაა...

ანუ?

მთელ მსოფლიოს ლუკა ჰქვია.

აბა ვის?

მე, ლუკა მოდრიჩს, ლუკა ტონის, ლუკინო ვისკონტის...

მე ეგეთი რამ გიორგიზე ვიცოდი.

გიორგი მარტო გიორგებს ჰქვიათ, დაჟე ზოგი გიორგი მთლად გიორგიც არ არი... მაგალითად, ლაშა-გიორგი. აი ლუკა სულ სხვანაირადაა. ზოგი ვაჟაა, მაგრამ ლუკაცაა.

პაპაჩემს... – დაიწყო ნიამ.

პაპაშენსაც ლუკა ჰქვია? – შეაწყვეტინა ლუკამ.

არა.

აბა რა შუაშია პაპაშენი? – თითქოს დატუქსა ლიქოკელმა.

ბოდიში... – დაიბნა ნია.

კაი ჰო გეხუმრები. რა უნდა პაპაშენს? – მოლბა ლუკა.

არაფერი.

კაი რა გეწყინა ეხლა...

არაფერი არ მწყენია. დამავიწყდა უბრალოდ რას ვამბობდი.

თქვი რას ამბობდი, თორე მე ვიტყვი შესაძლო ვარიაციებს. – დაემუქრა ლუკა.

რა შესაძლო ვარიაციებს?

პაპაშენმა დისიდენტი ძმაკაცები ჩეკისტებთან ჩააბოზა... – დაიწყო ლუკამ.

რაა? – დაიბნა ნია მარანელი.

ეს არა? კაი... პაპაშენმა მამაშენის ძაღლი მანეთად გაყიდა, რომ მთელი კვირა აბაზიანი ღვინო დაელია. ამის შემდეგ მამაშენი დაიბოღმა და ახლა პაპაშენზე დაბოღმილი შენ გიტრაკებს.

რეებს მიედ-მოედები? – ნია ვერ ხვდებოდა რა უნდოდა ლუკას და თან ბრაზდებოდა.

მაშინ, პაპაშენმა ბებიაშენს ცისფერ გაიშნიკთან უღალატა! – არ ჩერდებოდა ლუკა.

წავედი მე სახლში კაი... კარგად ლუკა. – ნია თავისუფლების მეტროსკენ წავიდა.

პრიანიკი გიყვარს? – კითხვა დაანია ლუკამ.

რაა?

პრიანიკი გიყვარს მეთქი?

რა ვიცი. კი...

წამოდი ვჭამოთ და მერე წადი.

საიდან გაგახსენდა ეხლა პრიანიკი?

მაგარი პრიანიკი ვიცი. ერთ ბუტკაში იყიდება მარტო ეგეთი პრიანიკი.

კაი, ოღონდ გერმანულად ვიხდით.

ანუ?

მე ჩემსას, შენ შენსას...

ნუ სარგებლობ იმით, რომ გრუზინ-რაინდობა სულაც არ მიმაჩნია კეთილშობილებად.

არ მაინტერესებს შენი შეხედულებები!

* * *

ოპერის უკან ერთი მაღაზიაა. გუდვილისხელა არ არი, ჩვეულებრივი უბნის მაღაზიაა. ეგეთები ბევრი აღარ შეგხვდება ტიფლის ქალაქში. აქა-იქ, უბანთა წიაღში არიან მიმოფანტულნი ბებერი სტაიაწშიკებივით. იდეალისტი კაცი იმასაც არ იფიქრებს ნამდვილები არიანო და მცირე მუზეუმები ეგონება, რომლებიც რეალურად ყველას ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ მაინც სიძველედ აღიქმება და ვერც ვერაფერს ჰკადრებენ. ოპერის უკან, მაღაზიაში, ადრე თბილისში საუკეთესო ატმის არაყი იყიდებოდა, მაგრამ როცა საქმეს სჭირდება, შეიძლება ატმის არაყს პრიანიკი დაარქვა, ალბათ იმიტომაც, რომ სინამდვილეში არც არსებობს თბილისში საუკეთესო პრიანიკი, არადა თბილისში თითქმის ყველგან იყიდება პრიანიკი და ნებისმიერ მათგანს შეგიძლია უწოდო საუკეთესო და ლუკა ლიქოკელიც საუკეთესოს იმას უწოდებდა, რომელიც ოპერის უკან იყიდებოდა. შუახნის მსუქანა გამყიდველმა ლუკა რომ დაინახა, მაშინვე ის უთხრა ბოთლი თუ არ გაქ არაყს ვერ გაგატან, მეც ერთიცალი მაქ ნახევარლიტრიანიო და შემდეგ გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა, როცა ლიქოკელმა უპასუხა არაყი კი არა პრიანიკი მინდაო. გაბრაზდა საწყალი ქალბატონი, იფიქრა დამცინის ეს ვირიშვილიო. რის პრიანიკიო, საიდან მოელანდაო... მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, რამდენი გინდაო ჰკითხა ოხუნჯ ახალგაზრდას. ლუკამ აინ შეკვრუნო და თითით ერთიანი ანიშნა, რომ ქალბატონი მთლად არ დაბნეულიყო. ქალბატონმა გამყიდველმა ლუკა ლიქოკელს ცელოფანში ჩასტეპლერებული რვაცალი პრიანიკი მიაწოდა. ლუკამ ზუკას მიცემული ფული გადაიხადა და თან დანკეო დააყოლა. ქალი უფრო დაიბნა, მაგრამ შეჩვეული იყო გიჟებთან ურთიერთობას და ისიც იცოდა, რომ სულაც არ იყო უპრიანი ზედმეტ კონტაქტში შესვლა. მაღაზიიდან გასულ ლიქოკელს, სახტად დარჩენილმა, უკმაყოფილო ნიამ ჰკითხა ეგ რა ქენიო? ლიქოკელმა რა ვქენიო? სულ შენ რატო გადაიხადეო, ჰო გითხარი გერმანულადო... თუ გინდა შევიდეთ და ვკითხოთ ქალბატონ გამყიდველს, რომ მთელი ანგარიშსწორება სწორედაც რომ გერმანულთან მიმსგავსებულად განვახორციელეო თავი იმართლა ლუკამ.

* * *

ჰო მაგარი პრიანიკია ე? – თავს იწონებდა ლუკა.

კი მართლა მაგარია, რამდენი წელია მანდ დევს? – ირონიულად იკითხა ნიამ.

რავი მე... რა მნიშვნელობა აქ. კაი პრიანიკი მანავის მწვანესავითაა, რაც უფრო ძველია, მით უფრო ასწორებს. ჰო მართლა მაგარია? – ვითომ ვერ მიხვდა დაცინვას ლუკა.

კი, მგონი შეგეშალა. სუხარი უთხარი ალბათ. – აგრძელებდა ქალურ ოხუნჯობას ნია მარანელი.

რავი მე. ეტყობა გერმანულად რო ვცდილობდი სუხარი და პრიანიკი ამერია ერთმანეთში. როგორ არი გერმანულად პრიანიკი? – ისევ არ იმჩნევდა ლუკა.

პლიანიკერ.

უახ...

რა?

ჰო გითხარი. მე სუკპენგურ ვუთხარი. ეგ ეტყობა სუხარია.

სუხარი კი არა, ორცხობილა.

შენ თქვი პირველად სუხარი, მე რა შუაში ვარ.

შემეშალა ალბათ...

ანუ იგონებ მაგ კეთილსიტყვიერებას. ორგანული არ არი. ვის ატყუებ? მე მაგალითად მაგრად მკიდია, ფეჩს მეტყვი თუ ღუმელს.

აგავა რა არი? – უცბად იკითხა ნიამ.

საიდან გაგახსენდა ეხლა აგავა?

წელან ლექტორთან რომ მითხარი, აგავის ქალღმერთებსო მუდარა არ ეკადრებათო თუ რაღაცო...

აგავა არი მცენარე. კაქტუსივით არი. მექსიკელები დგანან ხოლმე სიცხეში და მაჩეტეებს ურახუნებენ, რო მერე აგავამ ტეკილა გამოაფსას.

მერე მე რა შუაში ვარ?

შენ ჰო კანტალისია ხარ. კანტალისია ლეას კრუსესი. აგავის ქალღმერთი. სანამ გვადალუპეს ღვთისმშობელი იქნებოდა, შენ იყავი ჩრდილო მექსიკელთა გულებში და მაჩეტეს ყველა მოქნევაზე ამბობდნენ ხოლმე, კანტალისია ოღონდ წელს კაი მოსავალი იყოს და კაი შარაფს მოვანყობთ შენ სახელზეო....

მგონი მართლა გიჟმა მომიტაცა. – შენუხდა ნია.

მაგრამ ერთხელაც ერთმა მოკვდავმა გაჯობა... – ჩაილაპარაკა ლუკამ.

ვინ? – იეჭვიანასავით გოგონამ.

გავიოტა ვასკესი იყო ერთი. ხუჭუჭა, ლამაზი გოგო. ისე მედეგიანად და ლამაზად იქნევდა მაჩეტეს რომ ხალხმა იფიქრა ეგ არიო კანტალისიას განსხეულებაო და მაგაზე დაიწყეს ლოცვა. მერე ერთ ღამეს, ახურებული გავიოტა აკაპულკოელ მეთევზე ხაკობო მაჩანჩალას გაექცა და ხალხმა იფიქრა ეგ ქალღმერთი ვერ იქნებოდაო. ბოდიშებით მოტრიალდნენ შენსკენ, კანტალისია გვაპატიე ეგ რო ვჭამეთო.

შენც გაქვს ჩემთან ბოდიში მოსახდელი...

ვითომ რატომაო? ჰო არ გინდოდა ის სტიპენდია. ბოდიში კიარა, მადლობა მითხარი ქალღმერთო, რომ არ მოგეცი უფლება თავი ვიღაცა ლექტორთან დაგემცირებინა.

სტიპენდიის გამო არა.

აბა რის გამო? ააა უი... ბონიტა კანტალისია, მაპატიე, რომ გამხმარი პრიანიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭამე და გითხარი, რომ ქალაქში საუკეთესო პრიანიკი იყო.

მიპატიებია!

უჰ, მადლობა...

შენ უნივერსიტეტში საერთოდ როგორ მოხვდი?

ეროვნული გამოცდები ჩავაბარე.

კაი ერთი... და რატო ჩააბარე? ჰო ფეხებზე გკიდია?

რავი, რა მეკეთებინა აბა? თან ეგრეც არ მკიდია შენ რო გგონია.

როგორ არა. გკიდია.

არა. მე დიდი პოეტი უნდა გავხდე და აკადემიური ბექგრაუნდიც მჭირდება. ჩემს დოსიეში უმაღლესი განათლება თუ არ ეწერება საზოგადოების ყველა ფენას ვერ დავიპყრობ.

მართლა გჯერა რო მაგარი პოეტი ხარ?

კაი რა. მაგარი პოეტი ვის გაუგია. კლასიკოსების გარდა ყველა სირბანჯოა.

შენც?

მეც, მეც... აჰა პრიანიკი, დარბილდა ცოტა.

აღარ მინდა. წავალ ეხლა მე კაი?! არ მოდიხარ შენ?

არა, მე ერთ მაგარ ადგილზე მივდივარ. სახლზე ვერ გავცვლი იმ მაგარ ადგილს. გაგაცილებ და მერე წავალ...

სად მიდიხარ?

სახელს ვერ ვარქმევ, რომც დავარქვა და გითხრა, ვერც მიხვდები.

რატო დებილი ვარ?

არა კაცო, უბრალოდ ძაან სტრანნი რამეა. წამიყვანე.

მერე მამა არ მოგკლავს?

მივწერ რომ დაქალთან ვარ.

ჰაჰაჰაჰაააა...

რა იყო?

ეხლა შენით მიბოდიალობ გიჟთან ერთად, ვერ იტყვი მიტაცებსო. არ გეშინია?

არა!

მე მაოცებეენ, ლამპიონებიიი...

* * *

ვერ გავიგე ფშალორო, აბა თავიდან მითხარი. – ბობოქრობდა მილორად ანტიჩი.

რა ვერ გაიგე... ციგნები ჰო ხართ აქა? – იკითხა ლუკამ.

ციგანიც ხარ და ეგვიპტელიც, აქ რომას ხალხი ცხოვრობს! – გაუბრაზდა ანტიჩი.

კაი, გინდა რომა იყოს, გინდა ლაციო... ათ ლარს მოგცემ და ვითომ მიცნობთ და რამე რა...

მაინც ვერ გავიგე. – მხრები აიჩეჩა დაბნეულმა მილორადმა.

ბიჭო, შენ ჰო ხარ აქ გლავნი? – გაცხარდა ლუკა.

ბარონი. – შეუსწორა მილორად ანტიჩმა.

ჰოდა მოგცემ ფულს, ერთ გოგოს შემოვიყვან და ვითომ ჩემი დიდი ხნის ნაცნობი ციგნები ხართ და მეძმაკაცებით.

აააა... – მიხვდა მილორად ანტიჩი.

ხუინაა. – წამოსცდა ლუკას.

რა თქვიი? – დაიძაბა ანტიჩი.

ბავშვებს მეტროში შენ ამათხოვრებ, ტო? – თემა შეცვალა ლიქოკელმა.

მე რა შუაში ვარ, მშობლები ამათხოვრებენ. ნაციონალური ბიზნესია. – თავი იმართლა ბარონმა.

კაი რამდენიმე ტიპის სახელი მითხარი და იმათთან ვილაპარაკებ მარტო. ვითომ ვიცნობ რა. – საქმეზე გადავიდა ლუკა.

მე მილორადი მქვია. აი ის, ჩემი ცოლი მარიანაა, ყველაზე მაგარი მკითხავია მთელ საროკაში. ისინი კიდე ჩემი გერები არიან, ვასია, ანტიოქია და ედიკა.

გერები რატო?

სანამ მე მარიანას გავიცნობდი, მანამდე გააკეთა ფშალორო სოლომონმა. მე გვიან შევუერთდი ამათ. სოლომონი რო მოკვდა, მერე მე გავხდი ბარონი, იმიტო რო იმან დაიბარა, ეგ არი, ვინც არიო. ცოლიც მე დამიტოვა და ეხლა მე იმასეშვები... – ჩაიხითხითა ანტიჩმა.

ედიკას ვიცნობ მეტროდან. ერთხელ ხურდას ვეძებდი მისაცემად, ლარიანი ამომყვა, უკან ჩავიდე და კეთილები მაგინა.

ჰო, უზრდელი ბავშვები არიან. ჩემი მხარის რომას ხალხი სულ სხვა ზრდილობის და გაქანებისაა... – ამოიოხრა მილორადმა.

რა შენი მხარისა, კაცო? – დაიბნა ლუკა.

მე ჩერნოგორიელი ვარ. ჰო იცი ჩერნოგორია? ადრე იუგოსლავია იყო, მერე სერბეთი, ეხლა ცალკე ჩერნოგორიაა. ესენი ბესარაბიელები არიან. წლების წინ, მე ბუკოვინაში ვიყავი საქმეზე და ამათ შევუერთდი... რა მიჭირს, მაგულავებენ. რაო, რამდენს მოგცემო?

ათ ლარს! – სიამაყით გამოსცრა ლუკა ლიქოკელმა.

მეკაიფები?

რას გეკაიფები, თქვენი ქალები მთელი დღე ირანელ ტურისტებს ნეწავენ, თუმანი რო ააგროვონ და მე კიდე არაფერში ვიხდი მაგდენს... – გაბრაზდა ლიქოკელი.

ოცი მომე და წავედით!

ეეე, არ მაქ ათზე მეტი.

აი, დაფიქრდი. ათი ბანაკზე უნდა გატყდეს და მეც ჰო უნდა დამრჩეს რამე? ნასინგ ფრივეით, ითზ ონლი ბიზნეს მისთერ ქორლეონე. – დაიწყო ახსნა მილორად ანტიჩმა.

ვა, ეგ რეები გცოდნია. ბარონი კიარა, კაპო დი ტუტი კაპი ყოფილხარ. – შეაქო ლუკამ.

იასნა, ფშალორო, იასნა. – შეიფერა მილორად ანტიჩმა.

მილორად, საიდანაც გინდა მეჩალიჩო, ათ ლარზე მეტს ვერ გაჩითავ და ხუთი ჩაიდე ტო.

ეგ რა თქმაა?! – ეწყინა ანტიჩს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე ამბობ? – ვერ მიხვდა ლუკა.

ხუთი ჩაიდეზე...

ჰო, ათი ჰო უნდა ჩაგედო და ეხლა ხუთი ჩაიდე. სულ არაფერს ჰო ჯობია. ხუთი ბანაკს ჩაუდე, ხუთი შენ ჩაიდე.

ვააა, რა ჟილკიანი გრუზინი ხარ შენა. – ხელი ჩაიქნია მილორად ანტიჩმა.

ჰა, მოსულა?

მოსულა, მოიტა ხელი. – დაეთანხმდა მილორად ანტიჩი.

რა შავი ხელი გქონია...

ჭუჭყიანი არ არი, ისეა შავი.

ბიჭო და ფშალორო რა არი, რო ვიცოდე? – იკითხა ბოლოს ლუკა ლიქოკელმა.

ფშალორო? ფშალორო არი, ძმაო, ჩვენ ენაზე...

* * *

ეეე, სადღაა ბოშათა ბანაკები, ფერადი კარვებით და სვეტლანა ტომასნაირი ცქრიალა გოგონებით. იორლა ცხენებით და კლასიკური გიტარებით. აღარ არის, მითუმეტეს ჩვენში და მითუმეტეს მილიონნახევრიან მეგაპოლისში. ციგნები იმდენნი არიან, რო შეკრიბო და ენგურში ხურდები ჩაყარო, რუსების ბლოგპოსტს ისე აატალახებენ, შლაგბაუმის პოვნას არქეოლოგიური გათხრები დასჭირდება, მაგრამ ციგნები რო არიან, ბანაკები არ არიან და ჩვენ თუ დავკარგეთ ქართველობა, იმათაც დაკარგეს ციგნობა და არიან ესე, გათითოკაცებულნი, ერთმანეთზე გადამტერებულნი, დიდუბეში მორბენალნი და აკორდეონმომარჯვებულნი. სადღაც, სამგორში არიან ჩვენი ციგნები, რომლებსაც მიუვიწყებიათ მამა-პაპური ბოდიალი და საერთოდაც, დანგრეულ შენობაში შესახლებულან, სადაც როგორც ძველი სამგორლები ამბობენ, ადრე სწორედაც რომ წმინდად საბჭოთა ქარხანა უნდა ყოფილიყო. დილით, ძალიან ადრე იღვიძებს ძველი ქარხნის შენობა და ერთიანად გამოიშლება გროშების მაძიებელთა მცირე ჯგუფები ქალაქის მეტროსადგურებსა თუ მინისქვეშა გადასასვლელებში. ცენტრალურ ქუჩებსა თუ ელიტურ რაიონებში. შრომობენ დედები, ხელში სხვისი შვილებით და შვილები, უფროსად სხვისი დედებით. ღამით კვლავ ხალხით ივსება ძველი ქარხნის შენობა ქალაქის იმ გარეუბანში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, გარეუბანიც არ იყო. სალამოს ერთად შეკრებილი ქართულად მოლაპარაკე ბოშები სულაც არ სხედან ტრიალ მინდორში მდინარის პირას და აღარც ცეცხლის ალის წინ აკვნესებენ გულთა გამკილავ რომანსებს. სხედან ლეიბებზე და ითვლიან გულიანი გურჯი გადამხდელებისგან აკრეფილ აბაზიანებს და შაურიანებს. ზოგჯერ, იღბლიან შემთხვევაში, აქა-იქ გროშთა ოკეანეში ათშაურიანიც გამოერევა ხოლმე. ცოტა ამგროვებლებს რჩებათ, მეტი მათ აქაურ ზემდგომებს, უფრო მეტი კი, ბოშათა მეფეებთან მიდის, რუმინეთსა და ბესარაბიაში. ამ საუკუნეში აღარსადაა ბოშათა ბანაკები, მითუმეტეს ჩვენთან, ქალაქში, სადაც არის მდინარე, მაგრამ არ არის მინდვრები.

* * *

ბავშვები რატომ ეწევიან? – იკითხა ნია მარანელმა.

უნდათ და იმიტო. – მარტივად გადაწყვიტა პრობლემა ლუკა ლიქოკელმა.

ვერ ვუშლით ქალბატონო. ეგრევე გვაგინებენ. კიდევ კარგი პატარები არიან და მუშტით ვერ გვერევიან... – აუხსნა ნიას მილორად ანტიჩმა.

ლუკა, სად მომიყვანე? – მიუტრიალდა ნია ლიქოკელს.

მე სად მოგიყვანე? შენ არ მითხარი, წამიყვანე მაგარ ადგილზეო? – თავი იმართლა ლუკამ.

ჰო მაგრამ... რა ადგილია?

ბოშათა ბანაკი. – დასვა წერტილი ლუკამ.

დიახ, ქალბატონო, ეს ჩვენი ბანაკია... არა, მთლად ბანაკი არ არის, მაგრამ ბანაკიცაა, იმიტომ, რომ ბოშათაა, თუ რა ვიცი, მოკლედ, აქ ვცხოვრობთ და რადგან აქ ვცხოვრობთ, ბანაკია. – გაიკრიფა ბარონი მილორადი.

ციგნები არიან? – ნიამ კვლავ ლუკასკენ მიიხედა.

რომალე! – ხაზი გაუსვა მილორად ანტიჩმა.

რა თქვა? – იკითხა ნიამ.

რომას ხალხი ვართო. – უპასუხა ლიქოკელმა.

ქალბატონო, ჩემთვის დასასმელ კითხვებს ლუკას რატო უსვამ? – გაბრაზდასავით ანტიჩი.

იმიტომ, რომ არ გიცნობ. – ჩაიღიმა ნიამ.

ფუ, იოლკი პალკი... ბოდიში, როგორ დამავიწყდა, მილორად ანტიჩი! – ბარონმა ნიას ხელი გაუწოდა.

რა შავი ხელი გქონიათ... – გაიცინა ნიამ.

ჭუჭყიანი არ არი, ისეა შავი. – იწყინა ბოშამ.

მილორად, მარიანა სად არი? – ჰკითხა ლუკამ ანტიჩს.

დავუძახებ, დაიცა. – მილორადი დანგრეული ქარხნის შენობაში შევიდა.

ესენი ვინ არიან? სად დამათრევ რა... – წამოიტირა სასოწარკვეთილმა ნიამ.

აბა, რას ამბობ, კანტალისია?! ამ ხალხის მოგონილია ყველაფერი ლამაზი და ესთეტიური. ვერ გაიგე, რა გითხრეს? რომას ხალხი ვართო... რომადან მოდის სიტყვა რომანტიკა. ეს ღამე ყველაზე ჯადოსნური იქნება შენს ცხოვრებაში. – მგზნებარედ წარმოთქვა ლიქოკელმა.

რა უნიჭო პოეტის სახით მიყურებ. – მოლბა ნია.

რაც ვარ, იმის თვალებით გიყურებ. მოიტა ხელი. – ლუკა ნიას ხელს დასწვდა.

რათ გინდა ხელი? – დაიბნა ნია.

წეროები ვითამაშოთ, სანამ მილორადა მოვა. – ლუკამ ხელები წეროებისთვის მოამზადა.

რანაირი სახელია მილორადი. – ცხვირი აიბზუა ნიამ.

სერბული. – სწრაფად უპასუხა ლუკამ.

კიდევ რამე სიტყვა არ წოდის რომადან? – თემა შეცვალა ნიამ.

კი. რომა რცხილაძე. ციგნებს ჰქონდათ საროკაში ერთი ლამაზი ხე. ჩაუთქვამდნენ ხოლმე, ხურდაო, ჩიბუხიო, ცხენიო, პლანიო, ისაო, ესაო... და უსრულდებოდათ და რომა რცხილაძემ ზაგაზე დანერა სიმღერა „ნატვრის ხე". რომა რომ ერქვა იმიტომ.

ფშალორო, მარიანა მოვიყვანე. – დაიძახა მილორადმა.

გამარჯობათ. – ჩაილაპარაკა მაღალმა შავმა ქალმა, რომელიც კაი ნაომარ ინდიელს მოგაგონებდათ, ოღონდ კაცს.

რანაირი ბანაკია? ცეცხლი მაინც დაანთონ... – არც შეუხედავს ნიას მარიანასთვის.

მარიანას მიესალმე, ტეხავს. – უკარნახა ლუკამ.

გამარჯობა, მარიანა. ცეცხლს რატომ არ ანთებთ? – ახლა მარიანას ჰკითხა ნიამ.

შეშა არ არი. – ჩაილაპარაკა მარიანამ.

არ ჩამოუტანიათ... – აჰყვა მილორადი.

ვის უნდა ჩამოეტანა? – ჩაეძია ნია.

ვინც ქრის და ყიდის, იმას. – მხრები აიჩეჩა მილორად ანტიჩმა.

მილორად არც ღვინო გაქვთ? – ხელები გაშალა ლუკამ.

ათ ლარში ღვინო არა, კონიაკს დაგალევინებ კიდე... – შეუღრინა ანტიჩმა.

რა თქვაა? – დაინტერესდა ნია.

ვინა? – კითხვა შეუბრუნა ლუკამ.

ვინ და იმ ციგანმა. – ხელით აჩვენა ნიამ მილორადი.

რომალე! – ისევ შეახსენა ანტიჩმა.

რომალეო, რავი მე... – არ დაიბნა ლუკა.

არა, მანამდე. – არ ეშვებოდა ნია მარანელი.

გინდა გიმკითხაო, გოგო? – მიუჯდა ნიას მარიანა.

უფასოდ? – შეშფოთდა მილორადი.

გაჩუმდი, შე წუწკო იუგოსლავიელო! – შეუღრინა ქმარს მარიანამ.

უნდა, უნდა... მიდი უმკითხავე. – აჰყვა ლუკაც.

მეშინია ეგეთი რამეების. – თავს არიდებდა ნია.

ბესარაბიაში ყველა ამბობს, მარიამ თქვა, ჩვენები დუბასარის ხიდს გადავლენ და რუსებს გაყრიან, ჰოდა ყველას სჯერა, რო მოლდოვა აუცილებლად შევა წირასპოლში იმიტომ, რო ეგ მე ვთქვი... – თავს იქებდა საროკელი მარჩიელი მარიანა.

კარგი, კარგი, მიდი... – დათანხმდა ტვინგაბურღული ნია.

ხელი მომეცი! – თვალები დაქაჩა მარიანამ.

შენც წეროები უნდა მეთამაშო? – იკითხა შეშინებულმა ნიამ.

რა ლამაზი ხელები გაქ, გოგო. – შეაქო მარიანამ.

ამათ მთელი დღე იძახეს, რა შავი ხელები გაქ, რა შავიო... შენ კიდე რა ლამაზი გაქო, ეუბნები. – იწყინა მილორად ანტიჩმა.

ფულიანი ქმარი გექნება. – ახარა მარიანამ ნიას.

ფულიანი არა ისა... – ჩაერია ლუკა.

გაჩუმდი, ბიჩო მანდა! – გააჩუმა ლიქოკელი მარიანამ.

კიდევ მითხარით რამე. – ემხში შევიდა ნია.

კიდევ თუ გინდა, ხუთი ლარი უნდა! – ჩაერია ანტიჩი.

ციგანივით ნუ იქცევი. – გაუბრაზდა მარიანა.

აბა რა ვარ? – დაიბნა ანტიჩი.

რა ხარ და რომა. – თვალი ჩაუკრა ლუკამ.

ჰაჰაჰა... დამასტუკე არა, შე შათლახო?! – შეუკურთხა ბიჭს ბარონმა.

ამ ბიჩს რო დასდევ, ცუდი ბიჩი არ არი. კაი ბიჩია, მარა გიჟია, აფერისტია, ვერ არი თავის მატორზე, ნუ დასდევ, ტყუილა დაიღლები გოგო, ვერაფერს გარგებს. – განაგრძობდა მარიანა.

რა დღეში ხარ ქალო, ეეეე? – გაჭედა ლუკამ.

დამაცადე-მეთქი, ბიჩოო. – განმგმირავი მზერა მიაპყრო ლუკას მარიანამ.

გააჩუმე, ტო... – მიაძახა ლუკამ მილორადს.

ეგ მე რო მიჯერებდეს, ეხლა თუმნიანს უნდა ართმევდეს შენ გოგოს. – დაამთქნარა მილორად ანტიჩმა.

შენ მერე, დიდი რო გაიზდები, სხვაგან ცახვალ. ამერიკაში ან ისპანეთში ან აფრიკაში და იქ სამუშაოს იშოვი, ბევრი ფულები გექნება და მარიანა არ დაგავიწყდება. – ენად გაიკრიფა მკითხავი.

აკი ფულიანი ქმარი ეყოლებაო? – ცოტა დაწყნარდა ლიქოკელი.

მერე რა? ქმარიც ფულიანი, თითონაც ფულიანი. – გადაასწორა მარიანამ.

დავაი, ეხლა მე მიმკითხავე. – თავზე წაადგა ლუკა.

შენ ხუთი ლარი! – ამოსძახა მარიანამ.

ვახ, ძლივს... – ამოიოხრა მილორად ანტიჩმა.

რო შემისულდაა, ჩიდმეტი წელიი... – გიტარაზე აბრახუნებდა მარაიანას შვილი ედიკა.

მოდი ედიკ, აქა! – დაუძახა დედამ.

არა! – მკვახედ გადმოუგდო შვილმა.

მოდი ედიკ, მოდი... – დაუძახა ანტიჩმაც.

რატო? – ცოტა გალღვა ლაწირაკი.

იმღერე რა. – შეუერთდა ლუკაც.

ტყუილა ვიმღერო, რადიო ვარ? – მოვიდა ედიკა.

მე ვიმღერებ, დე... – გამოვარდა ხუთი წლის ანტიოქია.

ეეე, რა საყვარელია. მოდი რა ჩემთან. – სიყვარულის ბუშტი გაუსკდა ნიას.

არ მოვალ... – გაინაზა ანტიოქია.

მე მოვალ. – ნიასკენ წავიდა ლუკა.

გაეთრიე რა, უფ... – გაბრაზდა მარანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიოქიამ იცის ციგნურები სიმღერები. მიდი, იმღერე გოგო! – უბრძანა მარიანამ.

ორი ლარი მიეცით და... – ჩაერთო მილორად ანტიჩი.

სტუმრებს ფულს ნუ სთხოვ! – გაუბრაზდა მარიანა.

მე დავუკრა? – იკითხა შეწუხებულმა ედიკამ.

ჰო. შენ დაუკარი. მიდი გოგო, ჯელემ ჯელეეემ... – შემოუძახა შვილს მარიანამ.

ჯელემ არ ვიცი. – ისევ გაჩერდა ანტიოქია.

რამე იმღერე შენ კიდე, ძაან არ გაიგონ ამ გრუზინებმა, ჯელემ ჯელემია თუ ოჩი ჩორნიე. – ამოიხრა მრავალჯერ გალანძღულმა, ჩერნოგორიელმა მილორად ანტიჩმა.

ციგანი ლუბიატ პესნი, ა პესნი ნე პრასწიეე... – დაიწყო სიმღერა გოგონამ.

რა საყვარელია. – კვლავ ამბობდა ნია.

ციგანი ლუბიატ კოლცი, ა კოლცი ზალატიეეე... – მღეროდა ანტიოქია.

მაშ, კაი ოქროს ბეჭედს კაი ფასიც აქ... – ჩაილაპარაკა მილორად ანტიჩმა.

ციგანი ლუბიატ ვინაა, გრუზინსკავა რასლივაა... – გრძელდებოდა სიმღერა.

ღვინო როგორ არ დამალევინა ამ ციგანმა. – ნამღერზე გაახსენდა ლუკას.

* * *

ყველგან წამომყევი და ბარემ მექსიკაშიც წამო... – დაიწყო ლუკამ.

რა მექსიკა, მეტრო დაიკეტება მალე! – ჩქარობდა ნია.

მექსიკაში მეტროთი მაინც ვერ წავიდოდით.

ვიცი!

წამოხვალ მექსიკაში?

მამაჩემს უნდა ვკითხო.

სად ესდიო მამაშენს, მართლა ჰო არ მოგკლავს, წამო რა.

კაი, წავიდეთ.

უეჭველი?

მამაჩემს ვკითხავ და წავიდეთ.

კაი, მაშინ მიგაცილებ მეტრომდე და რო კითხავ, მითხარი და ეგრევე წავიდეთ.

ანუ ცოლადაც მოგყვები?

კი. ოღონდ ცოლი აღარ თქვა რა.

იქნებ ვერ მიძლებ. იცი, რა დამპალი გოგო ვარ?!

ვიცი.

რაა? – გაბრაზდა ნია.

არაფერი, დაიკიდე. – გაიცინა ლუკამ.

ერთგან წამომყვები? – იკითხა ნიამ.

ჰა? – დაიბნა ლუკა ლიქოკელი.

ჰო, რა იყო? ერთხელ შენც წამომყევი სადმე.

ეხლა, ტო?

ჰო ახლა...

მამა არ მოგკლავს? – აცანცარდა ლიქოკელი.

ნია გზისკენ გაიქცა და ტაქსი გააჩერა. სანამ ლუკა მივიდოდა, ტაქსისტისთვის ლოკაციის თქმაც მოასწრო და ფულიც გადაუხადა.

რატო გადაიხადე, ე? – გაუბრაზდა მანქანასთან მისული ლუკა.

გერმანულად გინდოდა? – დასცინა ნიამ.

სულ მე მინდოდა! – მაჩოობდა ლიქოკელი.

შენ მთელი ფული მილორადს მიეცი. – თვალი ჩაუკრა ნიამ.

ვახ, მატჯა ჰარი... – ჩაილაპარაკა იმედგაცრუებულმა ლუკამ.

ნწ. შოშანა ვარ მე.

ორევუაააა შოშანაააა... – წამოიყვირა ლუკამ.

დასხედით რა, მალე! – გაბრაზდა ტაქსისტი.

ერთი წუთით... – ყოყმანობდა ნია.

რა იყო, ცუდად ჰო არ ხარ, ე? – შეშინდა ლიქოკელი.

არა, თავბრუ დამეხვა უბრალოდ. ჩავსხდეთ. – გოგონა უკანა სავარძლისკენ წავიდა.

სად მივდივართ, შოშანა? – ჰკითხა ნიას ლუკამ.

ნახავ. – ცივად მიუგო ნიამ.

გიჟს იტაცებ? – მხნეობას ინარჩუნებდა ლიქოკელი.

* * *

დიდი ხანია? – იკითხა ლუკამ.

შვიდი წლის ვიყავი... – უპასუხა ნიამ.

დღისითვე გეთქვა, ყვავილებს ამოვიტანდით. – ამბობდა ცრემლმორეული ლიქოკელი.

დღისით აქ მოსვლას კი არა, იმასაც არ ვაპირებდი, რომ ბებიასთან წამოგყოლოდი. – გაუღიმა ნიამ.

ეხლა რატომ მოვედით? – ლუკა მთლიანად იყო წამხდარი.

ვიფიქრე, ერთად ავიღებდით მისგან მექსიკაში წასვლის ნებართვას. – თავი დახარა ნიამ.

როგორ მოხდა? – ძალიან ჩუმად იკითხა ლუკამ.

მამა სასწრაფოს ექიმი იყო. ზაფხულის ერთ ღამეს, სრული სისწრაფით მიმავალ სასწრაფოს მანქანას, რომელშიც მამა იჯდა, ტაქსი დაეჯახა. მერე ამბობდნენ მძღოლი მთელი ღამე ტაქსაობდა და საჭესთან ჩაეძინა. ჰოდა მამა დაიღუპა. ტაქსის მძღოლიც. მას მერე ვერც სასწრაფოს მანქანებს ვიტან და ტაქსში ჩაჯდომაც მიჭირს.

წამო წავიდეთ ეხლა მექსიკაში. – წამოდგა ლუკა.

# ოცნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მანანა მენაბდე*

ეხ, აშტაფინო, აშტაფინო. გაურკვეველი ეროვნების, ასე, ორმოცდაათს მიტანებული, გამხდარი, დაბალი, მუქი ფერის კანით, უიმედოდ მომზირალი, დამჭკნარი ქლიავისფერი თვალებით, – სიყვარულად ამღერებული ქურდი. პალატის წინ ჩაცუცქული, ჩამქრალი პრიმის ზიროკით ხელში. შიშის ზარს რომ სცემდა ყველას, ხათუნა ლაღიძისა და ჩემ გარდა. ხათუნას ხელთ იყო აშტაფინოს ჯანმრთელობა და მისი დროებითი „თავისუფლება", მე კი რისი უნდა შემშინებოდა?! ჩემთვის აშტაფინო პირველ რიგში ადამიანი იყო და დანარჩენი აბა, ვისი რა საქმეა. ჰოდა, როგორც მხეცი გრძნობს ყველაფერს, ზუსტად ასე გრძნობდა ადამიანებს აშტაფინო.

მე, ნერვიულად მოარული ჩემი პალატის წინ, დამწუხრებული, რომ ჯოჯოხეთურად მარტო ვარ, რომ ყველამ მიმატოვა, უსაშველო დილეგში ვარ გამომწყვდეული და არავინ იცის, როდემდე ვიქნები ასე „ტაზეპამებსა" და „რიფადინებზე", რომლებსაც არ ვსვამ და ჩუმად, კარადაში გადამალულ ქილაში ვაგროვებ, ყოველ დილით, ადრიანად, საავადმყოფოს უკან გავდივარ და გულმოდგინედ ვვარჯიშობ, – იქნებ და სასწაული მოხდეს, დავეხსნა ამ „ხუდადოვის კლინიკას", რომელიც ჩემთვის სამთავიანი გველეშაპივითაა. ვერც წიგნები და ტელევიზორი მარიგებს ბედთან, ვერც ნანა ხატისკაცისა და ლანა ღოღობერიძის ამოტანილი ჩემი უსაყვარლესი სამი კილო ლელვი, რომელსაც თავად მიირთმევენ და მე ორი ძლივსაღა მრჩება საჭმელად. კი მახალისებს, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნით. კვლავ საგონებელში ვვარდები და ხუდადოვიდან გაქცევაზე ვფიქრობ.

ჩემგან განსხვავებით, აშტაფინო მეცხრე ცაზეა, რადგან ეს საავადმყოფო მისთვის საზღვარია, რომლის იქითაც დიდი ურდულით ჩარაზული ცხოვრებაა. საავადმყოფო მისთვის „ვერსალია", ამიტომ არ სურს აშტაფინოს იქით გახედვა, აქეთ სურს, ქლექიანებში, ამ საავადმყოფოს კედლებში, სადაც უკვე ამდენმა „მისიანმა" და „არამისიანმა" დალია სული. ადრე თუ ჭლექი ინტელიგენტების დაავადება იყო, ახლა მხოლოდ ქურდებისა და ციხეში მოხვედრილთა ხვედრია. ყველაფერთან ერთად, ავადმყოფობამაც კი შეაქცია ზურგი ინტილიგენციას და ვინმეს ხომ უნდა მიჰკედლებოდა?

მოკლედ, აშტაფინო ღამღამობით ახალგაზრდა, მორიგე ექთანს ახვევს, ხან რას ჰპირდება და ხან რას. მორფი უნდა აშტაფინოს, მორფი, რომლითაც თავის ბედს დაივიწყებს, საკუთარი თავი რა ხანია დავიწყებული ჰყავს. ექთანთან უშედეგო ცდის შემდეგ, კრძალვით შემოდის ჩემს პალატაში და კუთხეში მორცხვად დგება. სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადააქვს, ხელებს იფშვნეტს და ეს უხერხულობა და თავშეკავებულობა, ვგრძნობ, რაღაცას მიქადის.

აშტაფინო თვალს მარიდებს და სადღაც, ფანჯრის მიღმა, ღამეში გზავნის მზერას, სადღაც შორს... იიიქით... სადაც ლამის ქალაქია, თავისი სიხარულითა და ტკივილებით. მაგრამ აშტაფინოს ახლა სულის სიმშვიდისათვის სულ სხვა რამ სურს. უსასრულობაში გაშტერებული მზერით, სადაც ყოფა მისთვის მხოლოდ ილუზიაა, ჩუმად, თითქმის ჩურჩულით მეუბნება სათქმელს, აშტაფინო მთხოვს, რომ ვუმღერო. ჩემი სიმღერა სურს აშტაფინოს მორფის ნაცვლად! მხოლოდ ჩემი სიმღერა! ღმერთო ჩემო, ვუმღერებ, აბა რას ვიზამ, თუ გიტარის მოტანის უფლება მომცეს. ქურდიც ხომ ადამიანია. რავიიი... იქნებ მე უფრო მეტად ვარ გზას აცდენილი და თავი კიტრივით მომაქვს?

გიტარის მოტანის უფლება არ მომცეს და აშტაფინომ, შენთან სახლში მოვალ, როდესაც „სროკს" მოვიხდიო.

..................

როდესაც „ხუდადოვის საავადმყოფოც" და მორცხვად თავდახრილი აშტაფინოც გადამავიწყდა, სწორედ მაშინ, ერთ მშვენიერ დღეს, ფანჯრებს მიღმა ძახილი შემომესმა: „მანან, მანან..." ხმა მეცნო, მაგრამ რას წარმოვიდგენდი?!.. გადავიხედე და კისერგადაგდებული, ჩემი ფანჯრებისკენ სიხარულით და ამაყი სახით მაცქერალი აშტაფინო დავინახე. ღმერთო, თვალებს არ ვუჯერებდი. ან საიდან მიპოვა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ იმ წამსვე მივხვდი ჩემს სიბრიყვეს. შინ მივიპატიჟე. არაფერს მიეკარა, არც ჭამა, არც დალია, არც დაჯდა. იდგა ასე ოთახის კუთხეში დასჯილი ბავშვივით და ქუდს ხელში ნერვიულად ატრიალებდა. მომწყინდა აქ და ისევ იქით უნდა დავბრუნდეო, ჩურჩულით მითხრა, თითქოს არ სურდა ჩემს მეტს, ვინმეს გაეგო. მეც გაკვირვებულმა რატომღაც ჩურჩულით ვკითხე, ეგ როგორ-მეთქი?! მანან-ჯან აქ ვერ ვიცნებობ და სხვა გზა არ მაქვსო! იქ თუ იოცნებებ, თორემ აბა, აქ რაზე უნდა იოცნებოს კაცმაო... ვერაფერს მივხვდი, მაგრამ დავუჯერე, რადგან შესამოწმებლად „სროკზე" ვერ წავიდოდი.

უცებ აშტაფინომ, როგორც მაშინ, საავადმყოფოში, მორცხვად დახარა თავი, გაწითლდა კიდეც, თუ მომეჩვენა, არ ვიცი და ყრუდ მითხრა: „მანან-ჯან, იქით ასე ნუ გამიშვებ, მიმღერე. შენც ხომ იცი, მაგისთვისა ვარ მოსული, თორემ ჩემისთანა კაცს აბა, შენთან სახლში რა უნდა. მეტს აღარ შეგაწუხებ, ჩემმა მზემ. მიმღერე, სანამ „სროკს" ავიკიდებ. იქ ამ სიმღერაზე ვიოცნებებ და მაშინ რაღაც მიზანი ექნება ჩემს ცხოვრებას".

მას მერე, აშტაფინოზე აღარაფერი მსმენია. შეიძლება, დიდი ხანია ცოცხალი არ არის, ან, შეიძლება, როგორც ამბობდა „სროკზე" წავიდა საოცნებოდ.

*თბილისი, 2014 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭუჭრუტანა

*კობა ცხაკაია*

ჩაიხედე ამ ჭუჭრუტანაში! – უბრძანა გურამს შინაგანმა ხმამ.

– აბა ჭუჭრუტანა? – იკითხა ახლადგამოღვიძებულმა გურამმა და დაამთქნარა.

– ჩაიხედე-მეთქი ჭუჭრუტანაში! – უყვირა ხმამ.

– რა ჭუჭრუტანა, რის ჭუჭრუტანა! – შეეპასუხა გურამი და ყავა კინაღამ პერანგზე გადაისხა.

– ფუი, შენი!

– გიბრძანებ, ახლავე ჩაიხედო ჭუჭრუტანაში!

– მიბრძანებ?! ჰა-ჰა-ჰა! – გადაიხარხარა გურამმა.

– ამხელა კაცი ხარ და ჭუჭრუტანაში არ იხედები? – დასცინა ხმამ.

– არსადაც არ ჩავიხედავ! – თვალი ჩაუკრა საკუთარ ანარეკლს გურამმა.

– ჭუჭრუტანაში! ჭუჭრუტანაში! – გუგუნებდა შინაგანი ხმა.

– აბა დელი დელა! აბა დელი დელა! – ღიღინებდა გურამი ლიფტის კაბინაში.

ქუჩაში გასულმა ყურსასმენები გაიკეთა და მუსიკა ჩართო. შინაგანი ხმა გაებუტა... გურამი გზაჯვარედინზე გადავიდა და მაღაზიიდან გამოსულ უმშვენიერეს ქალს გააყოლა თვალი. მანდილოსანი ვნებიანად მიარხევდა ზღვისფერ კაბაში გახვეულ თეძოებს და ირგვლივ ძვირადღირებული სუნამოს არომატს აფრქვევდა.

ეეჰ! – ამოიგმინა გურამმა და ყურსასმენი მოიხსნა. ამ „ტაატ-ტაატის" შემხედვარეს აღარც შინაგანი ხმა ახსოვდა და აღარც ჭუჭრუტანა.

კარგი, ბატონო, არ გინდა, ხომ?.. მაშინ ნუღარ ჩაიხედავ მაგ ჭუჭრუტანაში! – „დაუყეფა" შინაგანმა ხმამ.

რომელ ჭუჭრუტანაში? – დაიბნა გურამი.

სწორედაც მაგ ჭუჭრუტანაში! – გაუმეორა შინაგანმა ხმამ.

რომელ მაგაში? – გაბრაზდა გურამი.

ძალიან კარგად ხვდები, რომელ ჭუჭრუტანაში!

აბა, სადაა ჭუჭრუტანა? – ირგვლივ მიმოიხედა გურამმა.

ჭუჭრუტანა ყოველთვის იქაა, სადაც იყო!

იქ სადაა? – ხელები გაშალა დაბნეულმა გურამმა.

რა სადაა?

შენი ჭუჭრუტანა!

ჩემი კი არა – შენი!

ჩემი?

ჰმ... უფრო სწორად, ჩვენი!

ჩვენ გვაქვს საერთო ჭუჭრუტანა? – დაეჭვდა გურამი.

ჩვენ არა გვაქვს... მაგრამ ჩვენია.

ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ ჩვენია? – ჩაეკითხა გურამი.

დიახ!

და ამ ჭუჭრუტანაში უნდა ჩავიხედო, რაკი ეს შენ გინდა?

მე კი არ მინდა, ასეა საჭირო! – დაუკონკრეტა შინაგანმა ხმამ.

ესე იგი, საჭიროა ჩავიხედო იმ ჭუჭრუტანაში, რომელში ჩახედვა არ მაინტერესებს.

ჰოო, არ გაინტერესებს, მაგრამ... სასარგებლოა.

სასარგებლოა – სასარგებლოა!

ნუ დამცინი! – ეწყინა შინაგან ხმას.

გულზე ხელი დაიდე და მითხარი – შენ მართლა გინდა, რომ ჩავიხედო იმ ჭუჭრუტანაში?

შინაგანი ხმა დუმდა.

არც შენ გინდა? – კვლავ ჰკითხა გურამმა.

ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა! – ამოიოხრა შინაგანმა ხმამ.

გინდა თუ არ გინდა?

სიმართლე რომ გითხრა, ჩემთვის სულერთია, რადგან შენგან განსხვავებით, მე არა მაქვს ტკივილის გრძნობა... მე მხოლოდ ინტუიცია და წინათგრძნობა გამაჩნია, თუმცა არც ნათელმხილველი ვარ, არც ვარსკვლავთმრიცხველი, არც მკითხავი და არც ასტროლოგი... და შესაბამისად, მხოლოდ შენს შეგრძნებებსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ლოგიკურ დასკვნებსა და ინფორმაციებს გაწვდი...

რა ჭკვიანურად და გრძლაად ლაპარაკობ?! – გაიცინა გურამმა.

იცი, რას გეტყვი? თუ არ ჩაიხედავ... თუ არ ჩაიხედავ, შეიძლება მერე ძალიან გეტკინოს!

მერე... შეიძლება.

ჰოო, მერე შეიძლება დაზუსტებით ითქვაა!

დაზუსტებით თუ შეიძლება?

უნდა ჩაიხედო! – მოუჭრა შინაგანმა ხმამ.

ეგ გასაგებია, მაგრამ შენ პირადად გინდა თუ არ გინდა?

მინდა, რა?

რომ ჩავიხედო.

შინაგანი ხმა დაფიქრდა.

გინდა თუ არ გინდა?

არც მე მინდა, მაგრამ... – ამოიღუღლუღა ხმამ.

მაგრამ, ამის მიუხედავად, საჭიროა?

ჰოო, საჭიროა!

სხვა რამეში რომ ჩავიხედო და არა ჭუჭრუტანაში?

ჭუჭრუტანაში უნდა ჩაიხედო!

ეგებ უკეთესია, სარკეში ჩავიხედო!

არა!

წიგნში ჩავიხედო?

კი ბატონო, მაგრამ ჯერ ჭუჭრუტანაში.

ეგებ იმ ქალს ჩავხედო თვალებში!

იმ ქალს! – ესიამოვნა შინაგან ხმას, – ემეც აუცილებლად, მაგრამ ჯერ ჭუჭრუტანაში უნდა ჩაიხედო!

ჭუჭრუტანაში? – აღშფოთდა გურამი, – მაინცდამაინც ჭუჭრუტანაში?

ჰოო, სწორედაც რომ ამ ჭუჭრუტანაში! – ქედმაღლურად დაუდასტურა ხმამ.

იმ ჭუჭრუტანაში, თუ ამ?

იმ თუ ამ? იმ, თუ შენს ადგილას დავდგებით და ამ, თუ ჩემი პოზიციიდან დავხედავთ!

იმ თუ ამ, ორივე ერთია?

დიახ, ეჭვიც არ შეგეპაროს!

გურამმა მიმოიხედა.

იმ ან ამ, რომელ ჭუჭრუტანაში? რომელ იმ ან ამ ჭუჭრუტანაში?

ზუსტად იმ-ამ ან ამ-იმ ჭუჭრუტანაში!

ზუსტად, რომელ იმ-ამში თუ ამ-იმში?

იმაშიცამაშიც! – დასცინა ხმამ.

ესე იგი ჭუჭრუტანა ერთი კი არა ორია?

ნუ ლაზღანდარობ. ადექი, გაბედე და ჩაიხედე!.. ეგებ გეშინია?

არრრრა! – ამოიგმინა გურამმა და შინაგან ხმას ქედმაღლურად ზურგი აქცია, – არსადაც არ ჩავიხედავ!

არა? ესე იგი არა? – უკნიდან შეაპარა შინაგანმა ხმამ.

დიახაც, არა! – ფეხი დაჰკრა გურამმა.

ანუ არ ჩაიხედავ იმ ჭუჭრუტანაში?

– არა!

ანუ კატეგორიულ უარზე ხარ?

ჭუჭრუტანაში კატეგორიულად არ ჩავიხედავ!

კი მაგრამ ის ჭუჭრუტანა ხომ შენთვისაა? – [illegible] შინაგან ხმას.

უკვე გადავაბიჯე ჭუჭრუტანებში ჩახედვის პერიოდს! – ამაყად წარმოსთქვა გურამმა და გზა გააგრძელა.

სად მიდიხარ? რატომ მიდიხარ? რისთვის მიდიხარ? – შესძახა შინაგანმა ხმამ, – შენი ჭუჭრუტანა ხომ აქაა!

ჭუჭრუტანაზე ვერ წამომაგებ!

გურამმა სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. თავი გამარჯვებულად იგრძნო და ბეჭებში გამართული გაუყვა უკაცრიელ ტროტუარს...

ცოტა ხანს ამაყად მიაბიჯებდა, ღრმა ნაფაზებს ისუნთქავდა და ხმაურით, ქშენა-ქშენით უშვებდა არომატულ ბოლს.

ჭუჭრუტანა არა მუჭრუტანა! პუჭრუტანა! ტრუჭრუტანა!

ცოტა ხანში, მართალია დაინტერესდა ჭუჭრუტანის ამბით, მაგრამ თავი შეიკავა, არ ჩაიხედა ჭუჭრუტანაში და გზა განაგრძო...

მან არ იცოდა წინ მიდიოდა თუ უკან, რადგან იმ გზას, რომელზეც მიაბიჯებდა, არც წინა ჰქონდა და არც უკანა.

„ეს ალბათ იმ ჭუჭრუტანაში გამოჩნდებოდა!" – უეცრად გაიფიქრა გურამმა და ამოიოხრა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა და უკან არ დაიხია.

შინაგანმა ხმამ ერთხელ კიდევ სცადა:

ჭუჭრ...

ჩშშ! – მკვეთრად შეაწყვეტინა გურამმა.

ჭუჭ...

ჩჩჩშს! – მკაცრად მოუჭრა გურამმა.

ჭუ...

აბა, ეხლა მეთქი! – მუშტით დაემუქრა გურამი. შინაგან ხმას შეეშინდა და დადუმდა. იფიქრა: ცოტა ხნის მერე კიდევ ვცდიო – თუმცა ბოლოს ხელი ჩაიქნია... ყოველი შემთხვევისათვის პირჯვარი გადაიწერა და უხმოდ გაჰყვა ძლიერი ნებისყოფის მქონე პატრონს...

გურამი ენერგიულად იქნევდა ხელებს და მკერდით მიარღვევდა მილიონიანი ქალაქის გარინდულ ჰაერს. ფეხები მძლავრად ურტყამდნენ გზის ასფალტირებულ ზედაპირს. აბეზარი ქარი უფრიალებდა თეთრად შევერცხლილ შავ თმას. გაბრდღვიალებული თვალები უცრემლიანდებოდა. ტუჩები მოუსვენრად უცმაცუნებდა, მაგრამ გურამი მაინც მიდიოდა... სადღაც, გონების თუ სულიერების ცხრაკლიტულში მიყუჟული შინაგანი ხმა უხმოდ სლუკუნებდა, მაგრამ გურამი არ ჩერდებოდა... მიდიოდა გურამი... მიდიოდა იქ, სადაც... იქ სადაც...

მოკლედ, მხოლოდ ჭუჭრატანამ იცოდა... მხოლოდ ჭუჭრუტანაში ჩანდა, სად მიდიოდა ამაყი და ძლიერი ნებისყოფის მქონე გურამი.

# 4 კრიტიკა; ესეისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსსრ, მზიური ნალკოტი და დავილონის აბსტრაქციონიზმი

*დავით ჩიხლაძე*

## ცალას გაერთიანებული თეატრი-არენა საზღვრებს გარეშე

მომავლის მზიური ქალაქის საზოგადოება მოულოდნელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. შემთხვევით ცეროდენა არიცია თავისი ჯადოსნური ჯოხით ზოოპარკში დაბმულ ორ ვირსა და ერთ ჯორს – ტლინკას, მერანასა და კალიგულას ადამიანებად გადააქცევს და ისინიც მაშინვე ერთ თარგზე გამოჭრილ სტილიაგებად (საბჭოთა ტერმინია, შეესაბამება დასავლეთის სამყაროს ჰიპსტერს) და ხულიგნებად მოგვევლინებიან. ქალაქის მოსახლეობა მათ ქარიფანტიებს შეარქმევს. უბედურება ის იქნება, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ქარიფანტიებს მიბაძვას დაუწყებს. საგაზეთო სტატიების ავტორები ცდილობენ უფრო კარგად გაგვარკვიონ შექმნილ სიტუაციაში და იტყობინებიან, რომ: „ქარიფანტიები არიან შერეკილები, ლენჩები, ნაძირალები, ქარაფშუტები, პიჟონები, მრომშველები, დამთხვეულები (უკრ. ვისლუგანები), პიტეკანტროპები, პაჭანიკები, ფლოქვიანები“. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ ქარიფანტიები უკვე მოდის ტენდენციებსაც კარნახობენ საზოგადოებას და კულტურაზეც დიდ გავლენას ახდენენ. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს თეატრის რეჟისორი ცალა, რომელმაც საკუთარი ორიგინალური თეატრი ჩამოაყალიბა.



ალექსეი ლაპტევის და გენრიხ ვალკის ილუსტრაციები ნიკოლოზ ნოსოვის რომან-ზღაპრებისთვის „არიცია მზიურ ქალაქში“ და „არიცია მთვარეზე“.

„ახალ გავლენას ვერც თეატრი ასცდა. როგორც კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი თეატრალური რეჟისორი ფართო მოყვითალო-მომწვანო მოდურ შარვალსა და ფოჩიან ჭრელ ბერეტში გამოეწყო, მაშინვე თქვა, თეატრი მუზეუმი როდიაო, ის ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩესო, და თუ ახლა ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც საჭიროა, თეატრშიაც ყველაფერი თავდაყირა უნდა გაკეთდესო. თუ წინათ მაყურებლები დარბაზში ისხდნენ და მსახიობები სცენაზე თამაშობდნენ, ახლა, პირიქით, მაყურებლები სცენაზე უნდა მსხდარიყვნენ და აქტიორებს მაყურებელთა დარბაზში უნდა ეთამაშათ. სწორედ ასე გააკეთა ამ რეჟისორმა, რომელსაც ცალა (მტუჩკინი, ოინა) ერქვა, მან სცენაზე სკამები გააწყო და მაყურებლები ზედ დასვა, მაგრამ, ვინაიდან სცენაზე ყველა არ დაეტია, საზოგადოების დანარჩენი ნაწილი ისევ მაყურებელთა დარბაზში მოათავსა და მსახიობები მათ შორის – შუა ადგილას ათამაშა. – ასე უფრო უცნაური იქნება, – უხაროდა რეჟისორ ცალას, – წინათ მაყურებლები ცალკე ისხდნენ და მსახიობებიც ცალკე თამაშობდნენ, ახლა კი მსახიობები მაყურებლებს შორის იქნებიან. რასაკვირველია, ხალხით გარშემორტყმულ არცერთ მსახიობს არ შეეძლო ისეთი სისწრაფით შემობრუნება, რომ მისი სახე ყველასთვის დასანახი ყოფილიყო, ამიტომ ზოგი მხოლოდ მსახიობის სახეს უყურებდა და ზოგიც კეფას. დეკორაციების განლაგებაც სულელური იყო, მაყურებელთა ერთი ნაწილი მსახიობებსაც ხე-

დავდა და დეკორაციებსაც, მეორე ნაწილი კი ვერც ერთსა და ვერც მეორეს, ვინაიდან დეკორაციები მათ მხარეს ზურგით იყო მობრუნებული და მსახიობებსაც ეფარებოდა. ასეთი არასაინტერესო სანახაობის ცქერა რომ არ მოსწყენოდათ, რეჟისორმა ცალამ რამდენიმე მსახიობს უბრძანა წარმოდგენის დროს მთელ დარბაზში ერბინათ, მაყურებლებისათვის ფერადი ნაჭრები შეეყარათ და თავში ტკაცუნები და ჰაერით გაბერილი ბუშტები ერტყათ. საზოგადოებას მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს თეატრალური ოინები, მაგრამ რეჟისორმა ცალამ თქვა, სწორედ ასეა საჭიროო, რადგან თუ წინათ კარგ სპექტაკლად ის სპექტაკლი ითვლებოდა, რომელიც მაყურებელს მოსწონდა, ახლა, როცა ყველაფერი უკუღმა კეთდება, კარგ სპექტაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომელიც არავის არ მოსწონსო" (ნ. ნოსოვი, „არიცია მზიურ ქალაქში", 1958, მთარგმნ. ალექსანდრე გაბესკირია).



თუ გავიხსენებთ, რომ მოქმედება ხდება მომავლის კომუნისტურ საზოგადოებაში ნიკოლოზ ნოსოვის რომან-ზღაპრიდან „არიცია მზიურ ქალაქში" (1958 წ.), მაშინ ამ ათვლის წერტილის ირგვლივ ქარიფანტიების კულტურის პარალელებსაც დავინახავთ, როგორც 1990-იანი წლებიდან, ისე მანამდეც, 1920-იანი წლების ე. წ. ნეპის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის) პერიოდში.

*უახლესი შედარებისთვის – 1990-იანი წლები:*

„მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი თავიდანვე მოწოდებულია კოლექტიური დადგმებისკენ. ეს არის პერმანენტულად ცვლადი, პროცესუალური კოლექტივი, სადაც რეჟისორის ფუნქცია განისაზღვრება, როგორც სიტუაციის კურატორის. საბაზო ენა ჩვენი მუშაობისა არის თამაში პარალელურ სცენებს შორის (ჩვენი თეატრი იყენებს 2 პარალელურ, ოპოზიციურ სცენას და 1 არენას მათ შორის). ტექსტის მხოლოდლა მუსიკალური მიზნებით გამოყენება ჩვენი სადადგმო ფილოსოფიის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია. თეატრი მუშაობს წარმოდგენებზე შემთხვევითი მონაწილეებით. ახალი მგრძნობელობის თეატრი ამბავს კი არ გვიყვება, არამედ გვრთავს ამბავში" (მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრი, ბუკლეტი „მარგო არენა-2", 1995).

*ქარიფანტიების კულტურის ადრეული გამოვლინებისთვის – 1920-იანი წლები:*

1927 წელს ტფილისის სახელმწიფო ოპერის დირექციამ პარიზიდან მოიწვია რეჟისორი ეიხენვალდი, რომელმაც დადგა ორი ოპერა: „მაზეპა" და „სამსონი და დალილა". ამ უკანასკნელი ოპერის დადგმა იმით გამოირჩეოდა, რომ სცენაზე 200-მდე ტიტველი ქალი და ვაჟი იქნა გამოყვანილი... 1929 წელს მუშათა კლუბში (პლეხანოვის №123) დაიდგა ოპერა „აბესალომ და ეთერი" და ბალეტში თითქმის სავსებით ტიტველი ქალი გამოვიდა...

იმავე პერიოდში მოსკოვიდან თბილისში საგასტროლოდ იყო ჩამოსული ვსევოლოდ მეიერხოლდის ბიომექანიკის თეატრი წარმოდგენით „ტყე", თუმცა, მაყურებელი სცენაზე ტყეს ვერსად აღმოაჩენდა, ხოლო კინოთეატრ „სოლეილში", ზემელზე, უჩვენებდნენ ფილმს „აზრეკ ზაური", რომელიც მიბაძვის შედეგად იწვევდა აურზაურს როგორც დარბაზში, ისე ქუჩაში. ვანქის ეკლესიის გალავანში (ბარათაშვილის 12) კი ყოველდღე იმართებოდა დიდი სახალხო ბაზარი და ბალაგანი, რომელშიც ბაბილუგის ქუჩის (შემდგომში პაპანინის, დღეს – ვანო სარაჯიშვილის ქუჩაა ზემელზე) ადგილობრივი და სოფლიდან ჩამოსული ჯიბგირებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ. აგარაკებზე მიმავალ მატარებლებს ხალხმა „რქიანი მატარებელი" შეარქვა, რადგან ის ხშირად იყო მიზეზი ცოლ-ქმრის ღალატისა და ოჯახური არეულობის, ხოლო მზის აბაზანების პარალელურად ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „მთვარის ვანები", რაც შეყვარებულთა გვიან ღამით მთვარის შუქზე შეხვედრებს გულისხმობდა. პლეხანოვის პრ. №121-ში, სადაც დღეს საქველმოქმედო სახლი „კათარზისია", საერთო საცხოვრებელი იყო გახსნილი და მსმენელები ყველა საგნებზე უფრო სწავლობდნენ რომანტიზმს. ქალების მიღწევა ამ მხრივ საუცხოვო იყო: თითოს ორი შეყვარებული მაინც ჰყავდა... (იმდროინდელი პრესის მასალების მიხედვით). ალბათ, ამ გარემოებას ასახავს იეთიმ გურჯის ლექსი „ჩვენი დროის სიმღერა" (1927):

სანამ დრო მაქვს ვიპარპაშო,
ხან ქეიფია, ხან კი მაშო.
სანამ ჯერ არ გაუგიათ,
შენ დაუკარ სათამაშო...

...მთვარეზე კი, ქალაქ დავილონის ერთ-ერთ ღამის თეატრში დაშვებული იყო დამპალი ვაშლების სროლა მსახიობებისთვის. თუმცა, მთვარის კულტურის გარკვეულ ასპექტებს ჩვენ ცოტა ქვემოთ შევეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როდესაც საზოგადოებას კაკაფონია იპყრობს



მზიურ ქალაქში თეატრალებს არც მუსიკოსები ჩამორჩნენ და კაკაფონიური კონცერტების გამართვას მიჰყვეს ხელი.

„რამდენიმე ქარიფანტია საკონცერტო დარბაზში შეიპარა და დიდძალი საზოგადოების წინაშე მოშლილი და გაფუჭებული მუსიკალური საკრავებით გამართეს კონცერტი. ეს ისეთი მუსიკა იყო, რომელსაც ყური ვერ უძლებდა; მაგრამ ქარიფანტიებმა ხმა დაყარეს, ყველაზე მოდური მუსიკაა და მას კაკაფონია ეწოდებაო. კაკაფონია მთელ ქალაქში გავრცელდა. მალე კიდევ რამდენიმე ორკესტრი გაჩნდა, რომლებიც დამტვრეულ და მოშლილ საკრავებზე უკრავდნენ. იმ დროს მოდაში იყო კაკაფონიური ორკესტრი „ქარაფონი" („Ветрофон"), რომელიც სულ ათიოდე ცეროდენისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი კონსერვის ქილაზე უკრავდა, მეორე მღეროდა, მესამე წრიპინებდა, მეოთხე წკმუტუნებდა, მეხუთე სრუტუნებდა, მეექვსე კნაოდა, მეშვიდე ყიყინებდა; დანარჩენებიც სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემდნენ და ტაფებზე უკრავდნენ. მუსიკის მოყვარულები, რომლებსაც ამ მოდური კონცერტების შემდეგ ყურში აღარაფერი ესმოდათ, ხელებაპყრობილები სწყევლიდნენ ყოველგვარ კაკაფონიას, ქარაფონიას და თავიანთი გაჩენის დღესაც კი" (ნ. ნოსოვი, „არიცია მზიურ ქალაქში", 1958, მთარგმნ. ალექსანდრე გაბესკირია).

რაც უფრო გაუგებარ სახეს იღებდა ეს ყველაფერი, მით უფრო მოწინავედ და პროგრესულად ცხადდებოდა მსგავსი სიახლეები ქარიფანტიების მიერ. თავიდან არავინ იცოდა, თუ როგორ უნდა გამკლავებოდნენ ამ თავსდატეხილ უბედურებას, მაგრამ ცოტა ხანში პროფესორმა ქინქლამ გაზეთში საკუთარი თეორია გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რომ ეს თავხედი ცეროდენები ორ სახეობად იყოფიან – ნამდვილ ან მიბაძვით წარმოქმნილ ქარიფანტიებად. თუ ე. წ. ნამდვილ, დაბადებით ქარიფანტიებს მათ კუთვნილ ვირის იერს დავუბრუნებთ, მაშინ მიმბაძველ ქარიფანტიებს მაგალითი აღარ დარჩებათ და ნელ-ნელა თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდებიანო. ამ თეორიამ გაამართლა – ტლინკა, მერანა და კალიგულა ისევ ვირებად გადაიქცნენ და ჩვეული წესრიგი ქალაქში მალევე აღდგა.

## მსოფლიო რესპუბლიკის არქიტექტურა

მზიურ ქალაქში, სადაც არიცია და მისი მეგობრები – ტიკარტა და თხუპნია ჭრელჭრულა 1958 წელს აღმოჩნდებიან, მაღალი ფაზის კომუნისტური წყობა სუფევს. აქ ისინი ნახავენ მბრუნავ სახლებს, სადაც მზის სინათლე დღის განმავლობაში ყველა მხრიდან თანაბარად ნაწილდება, ბინები ავტომატური სასადილოებითაა აღჭურვილი და სპეციალური ლიფტის ღილაკების გამოყენებით საუზმისა თუ სადილის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ყოველგვარი საფასურის გარეშე. ქუჩებში ასევე სრულიად უფასოდ ავტომატურად მართული ტაქსები მიმოდიან, რომელთაც პროგრამულად დამახსოვრებული აქვთ ქალაქის ყველა შესაძლო მარშრუტი და ტრანსპორტის მართვა ფიქრითაც – ტვინიდან მომავალი მიმართულების იმპულსების დამჭერი სენსორის საშუალებით – შესაძლებელია. უკვე არსებობს აუდიოწიგნი, რობოტი მტვერსასრუტი, ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი და მრავალი სხვ., რაც ჩვენთვის დიდი ხნის შემდეგ გახდა ცნობილი. ტექნიკას მთლიანად შეუცვლია ადამიანის შრომა. უნივერსალური წრიული თვითმავალი კომბაინები ცირკულინა (ფარგალა), პლანეტარკა (ცთომილა), ექსცენტრიდა, კონცენტრინა, ხრახნია და სხვ. დისტანციურად იმართებიან რადიოლარიიდან, ყოველგვარ სახნავ-სათეს სამუშაოს ითავსებენ და ამით წლიურ მოსავლიანობას რამოდენიმეჯერ ზრდიან. მილიციას კი მხოლოდღა ქვეითთა საგზაო კონტროლისა და ავტოინსპექციის ფუნქციები დარჩენია, რადგან აღარც ისეთი ქმედება გვხვდება მეტად, რასაც დანაშაული შეიძლება ეწოდოს.

## დავილონის აბსტრაქციონიზმი სახალხო ბედნიერების წინააღმდეგ

მზიური ქალაქის შემდეგ არიცია, ფუნთუშა და დანარჩენი ცეროდენები მათ მიერვე აგებული კოსმოსური ხომალდებით „ადფ" (არიციასა და ფუნთუშას საპატივცემულოდ) და „პდქ" (პატარძალასა და ქამაყას – ხომალდის კონსტრუქტორების საპატივცემულოდ, თუმცა კი, ხომალდის აგების სამუშაოებში დიდ მონაწილეობას იღებდა ინჟინერი მოქლონაც) მთვარეზე გაფრინდებიან და მის სიღრმეში არსებულ კაპიტალისტურ ცივილიზაციას აღმოაჩენენ. აქ ისინი გაეცნობიან მთვარის ცნობილ დიდ ქალაქებს: დავილონს, ცარცვენბერგს, როშვენბერგს, სან-კოლოსს, ლოს-ღოროსს, ლოს-ტახოსს, ლოს-უხამსოსს, ფანტომასს, სოფლებს – უპურეთს, შიმშილეთს,

უჭმელეთისა და ასევე სულელთა კუნძულს. მთვარეზე მრავალფეროვანი პერიოდული გამოცემები გამოდის – „გაზეთი სულელებისთვის“, „გაზეთი ჭკვიანებისთვის“, „დავილონური იუმორესკები“, „გაზეთი დანოლილ მდგომარეობაში კითხვის მოყვარულთათვის“ და სხვ. აქ ყველაფერს კაპიტალისტები კრაბსი, კრიჟენფილდი, ხარბინგი, ბინძურინგი, ძუნწინგსი, ბალლინჯობსი, შტერსი და მათთან ერთად კრიმინალები – ჟულიო, ხამხამსი, ანტიკვარი და სხვ. განაგებენ.

არიცია ქალაქ დავილონში აბსტრაქციონისტულ ნახატს წააწყდება და ვერაფერი გაუგია, თუმცა მისი ახლადშეძენილი მეგობარი ბეკეკა, რომელსაც ასეთი ნახატები ადრეც უნახავს საპნის ერთი მდიდარი მეფაბრიკის, გვარად ბინძურინგის სახლში, შეეცდება ის ყველაფერში გაარკვიოს:

„არიცია ხშირად უყურებდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს გაუგებარი ხვეულებითა და კლაკნილებით და ცდილობდა გაეგო, თუ რა იყო მასზე გამოსახული.

– შენ, ძმობილო, სჯობს ამ ნახატს არ უყურო, – ეუბნებოდა მას ბეკეკა. ტყუილად ნუ იმტვრევ თავს. შეუძლებელია მასში რაიმეს გაგება. ჩვენთან ყველა მხატვარი ასე ხატავს, რადგანაც მდიდრები მხოლოდ ამგვარ ნახატებს ყიდულობენ. ერთი ასეთ კლაკნილებს დაჯღაბნის, მეორე რაღაც გაუგებარ კულულებს გამოსახავს, მესამე წყლიან საღებავს ერთიანად გადაასხამს ტილოს და მთელ შუაგულს დაფარავს, რაც ბოლოს რაღაც გაუგებარ, უაზრო ლაქად იქცევა. შენ კი შესცქერი ამ ლაქას და ვერაფერი გაგიგია – მხოლოდღა რაღაც უმსგავსობაა! მდიდრები კი უყურებენ და აქებენ კიდეც. „ჩვენ, ამბობენ, არც გვჭირდება, რომ ნახატი გასაგები იყოს. ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ რომელიმე მხატვარი რაიმეს გვასწავლიდეს. მდიდარს მხატვრის გარეშეც ყველაფერი ესმის, ღარიბს კი არაფრის გაგება არ სჭირდება. იმიტომაც არის ღარიბი, რომ არაფერი არ



უნდა იცოდეს და სიბნელეში უნდა ცხოვრობდეს“. აი, როგორ მსჯელობენ ისინი“.

(ნ. ნოსოვი, „არიცია მთვარეზე“, 1964, თარგმანი წერილის ავტორის)

და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთვარის ქალაქ დავილონში თეატრში მსახიობებისთვის დამპალი ვაშლების სროლაც დაშვებული იყო.

*კონტრ-შედარებისთვის:*

საქართველოში 1930-იან წლებში მოქმედებდა კლუბებთან არსებული სახალხო თეატრები, საკოლმეურნეო და სასოფლო მოძრავი თეატრები, სანიტარული კულტურის თეატრი. 1934 წელს თბილისში თოჯინების და ლანდების სახელმწიფო ქართული თეატრი დაარსდა. 1928 წლიდან მოქმედებდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელსაც თავისი ნორჩი მაყურებლების მომსახურებისათვის ავტობუსიც ჰყავდა და სხვადასხვა საბავშვო კერებიდან ავტობუსით მოჰყავდა ბავშვები თეატრში...

ჩვენ კი შეიძლება გვგონია, რომ დედამიწაზე ვართ და არიცია და მისი მეგობრები აქედან გაემგზავრნენ მთვარეზე სამოგზაუროდ, მაგრამ, საქმე პირიქითაა – ჩვენ დღეს სწორედაც რომ კაპიტალისტურ მთვარეზე ვიმყოფებით და არიცია მხოლოდღა ცოტა ხნით ჩამოდის სტუმრად ჩვენთვის უკვე სადღაც არსებული ადამიანთა დედამიწიდან.

## თბილისი – ამაზონების მზის ქალაქი ათასი წლის შემდეგ და სახელმწიფოს გაქრობა

თუ გვსურს თვალნათლივ ვიხილოთ, თუ როგორ განხორციელდება მზიური ქალაქის ფუტუროლოგიური იდეები ათასი წლის შემდეგ, ივანე ყიფიანის რომანს „ამონი ანუ ტფილისი ათასი წლის შემდეგ“ (1936) უნდა გავეცნოთ, რომელიც საბჭოთა ფანტასტიკის ერთ-ერთ პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

შავი ზღვის აუზის ადგილას ახალი სახელმწიფო ამონი წარმოქმნილა, სადაც პირველი ამონელები ქართველები ყოფილან, თუმცა, ახალი საერთაშორისო ენის, პოლიტიკური წყობილებისა და კულტურის გავლენით სხვადასხვა ერი ბუნებრივად გაერთიანებულა. „...ის ხანა, როდესაც სხვადასხვა ერი არსებობდა დედამიწაზე, არასოდეს არ დაბრუნდება. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა ჩვენ გაერთიანებას ხელი შეუწყო. დღეს დედამიწაზე არცერთი ერი აღარ არსებობს, ყველა ისტორიის ბორბალს გადაჰყვა... თქვენი წარმოდგენით ეროვნება ყვავილს ან რომელიმე საკრავ იარაღს წარმოადგენდა. ჩვენ კი გვგონია, რომ ძველი ეროვნება იყო კედელი, იგი სხვადასხვა ხალხს უშლიდა ერთმანეთთან დაახლოებას, ერთმანეთის გაგებასა და სათანადო დაფასებას".

აქ საუბარია მომავლის მსოფლიო სახელმწიფოს შესახებ, რაც სახელმწიფოს საერთოდ გაქრობასაც



გულისხმობს. მსგავსი მსოფლიო რესპუბლიკის შექმნის იდეას ლევ ტროცკის ან ე. წ. გლობალისტებს მიაწერენ, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების I ყრილობაზე სსრ კავშირის შექმნის შესახებ მოხსენების დროს სტალინმა პირველად წარმოადგინა მსოფლიო სახელმწიფოს – მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (მსსრ) იდეა და მის პირველსახედ ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირი დაასახელა. ამ ფორმულირებამ შემდეგ სსრ კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციაშიც გადაინაცვლა, ხოლო 1924 წელს საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში იქნა შეტანილი.

პოეტ ივანე ყიფიანის მოცემულ ფანტასტიკურ რომანში საუბარია კაცობრიობის ერთ საყოველთაო ენაზე:

„ეროვნებათა გაერთიანების პროცესი საერთო ენის შემოღებამაც გამოიწვია. კაცობრიობა უკვე ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელსაც ამონთა ენა ჰქვია"...

(იხ. ფუტუროლოგიური თეზისი ახალი საერთაშორისო ენის შესახებ, რომელიც სტალინის მიერ დაყენებული იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობაზე და შემდგომ შეტანილი იქნა ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები", 1950).

რომანი „ამონი ათასი წლის შემდეგ" არიციას მზიურ ქალაქში მოგზაურობას მოგვაგონებს. ამონის უდიდესი მზე-ქალაქი სტომი აგებულია ინჟინერი-პოეტის მიერ, ქუჩები წრიულად და რადიუსებითაა განლაგებული და ავტომატურად მოძრაობს, რადიალური ქუჩები მზის სხივებს მიაგავს. ამინდი საზოგადოებრივი მოთხოვნილების მიხედვით რეგულირდება. ქალაქის ქვეშ, 2 კილომეტრის სიღრმეზე ე. წ. მეორე სტომია გაშენებული თავისი ხელოვნური მზით და აქ განლაგებული ფაბრიკა-ქარხნები დისტანციურად იმართება. შრომის პროცესი მთლიანად ავტომატიზებულია და მუშების მაგივრობას მანქანები სწევენ. სპეციალური ტექნიკით მიწა პირდაპირ საჭირო ნედლეულად გარდაიქმნება და ასეთი დაჩქარებული მეთოდით სულ რამდენიმე წუთში მიიღება აბრეშუმი, ბამბა და სხვა ნებისმიერი აუცილებელი პროდუქცია.

მართლაც, გასაოცარია ივანე ყიფიანის დროთა საზღვრების გადამლახავი წინასწარგანმჭვრეტი სურათები 1930-იან წლებში – ამონის ახალი ქვეყნის დიდი ქალაქების, სტომისა და ტფილისის მოსახლეობა მზე-სადგურებითა და რადიოტელეფონებით სარგებლობს. წიგნები ელექტრონულად იბეჭდება და პატარა პერანგის ღილისა თუ მაჯისსაათისოდენა ფირფიტებზე ინახება. ქაღალდი აღარც ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდად გამოიყენება, მათ მაგიერ მიმოქცევაშია მუდმივ განახლებადი, უზარმაზარი მოცულობის ელექტრონული გაზეთი „სამყარო", თემატიკის სურვილისამებრ შერჩევით თითოეული მკითხველის მიერ. არც ხელით წერა ან ბეჭდვა ესაჭიროება ვინმეს, რადგან სპეციალური საწერი მანქანები არსებობს, რომლებიც კარნახით ბეჭდავენ და ასწორებენ კიდეც ტექსტს.

ფაბრიკა-ქარხნებიდან ავტომატურად წარმოებს სხვადასხვა საჭირო ნივთების დარიგება-განაწილება. მოსპობილია სასაქონლო წარმოება, საქონელმიმოქცევა და სავაჭრო საქონელი, როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანი. მის ადგილს ესა თუ ის ნივთი, მოხმარების საგანი და პროდუქტგაცვლის წესით განაწილება იკავებს. ფულიც დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, აღარ არსებობს ფულადი ბრუნვისა და ფულადი სახსრების მოპოვების საშუალება. გაუგებარია რაიმე ჯილდოს აღება შრომისათვის. პრინციპით „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის" პიროვნებისა და კაცობრიულის საქმე განუყოფელი გამხდარა. ყოველდღიური შრომა მოთხოვნილებას წარმოადგენს და მისი სამაგიერო საზომი მხოლოდღა სიტყვით გამოთქმული უბრალო სურვილია. მოქალაქეები წარმოებული პროდუქციის სანაცვლოდ იღებენ არა ფულს, არამედ მათთვის აუცილებელ ნაწარმს. „ყველასგან რამდენიც გვინდა, ყველას სურვილისდა მიხედვით" – განვითარებული ტექნოლოგიების წყალობით, თუნდაც მთელი კაცობრიობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისია ადამიანმა დღეში, საშუალოდ, სულ დიდი ერთი საათი იშრომოს. ამიტომაც, საზოგადოების წევრებს რჩებათ საკმაო თავისუფალი დრო ფიზიკური და გონებრივი უნარის განვითარებისა და ყოველმხრივი განათლებისათვის. დაწესებულია საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რათა საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილი იქნას საკმაო განათლების მიღება იმისათვის, რათა ისინი მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია.

კომუნიზმის დაბალი ფაზის სოციალისტური ფორმულა „თვითეულისგან – მისი უნარის მიხედვით, თვითეულს – მისი შრომის მიხედვით" შეცვლილია კომუნიზმის მაღალი ფაზის ფორმულით „თვითეულისგან – მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით".

(იხ. ი. სტალინის მესამე ფუტუროლოგიური თეზისი ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", 1952).

აღარც სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აპარატი არსებობს თავისი ჯარებით, ეკლესიითა და ადმინისტრაციით. აღარავის ასამართლებენ, რადგან თვით დანაშაული გამქრალა. ამონის ქვეყანაში ჯერ ყოვე-

ლის მმართველობა – ჰეკასტოარქია დამყარდა, მას კი ბუნებრივად მოჰყვა უმართველობა, რაც მხოლოდ კომუნიზმის მეორე საფეხურზეა შესაძლებელი. ვერსად შეხვდებით ორ მსგავს პიროვნებას, თუმცა, ყველა ემორჩილება საზოგადოებას და მის წესებს. აღარ არსებობს კლასობრივი განსხვავებები, გათანაბრებულია ქალაქი და სოფელი თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ყოფითი მნიშვნელობით და გათანაბრებულია გონებრივი და ფიზიკური შრომა.

„დღეს მთელ სისტემაზე არის პიროვნების თავისუფლება. მან არ იცის ძალადობა ადამიანზე, საზოგადოების ერთი კლასისაგან მეორე კლასის დაჩაგვრას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უშორეს წარსულში, დღეს ადგილი აღარ აქვს, რადგანაც საზოგადოების კლასად დაყოფა დიდი ხანია მოისპო. დღეს ყოველი ადამიანი არის თავისი მთავრობა, ის თავის საქმეებს განაგებს ისე, როგორც მას უკეთ მოუხდება, მაგრამ არა სხვების საზიანოდ".

ეს იდეები მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს რომ არ განეკუთვნება, იმითაც ჩანს, რომ გაივლის დიდი დრო და 1970-იან წლებში ძალზე პოპულარული გახდება ცნობილი დასავლეთელი ქარიფანტიის, ჯონ ლენონის ზუსტად ასეთივე შინაარსის მქონე სიმღერა სახელწოდებით „წარმოიდგინე".

ამონის ახალი სახელმწიფოს იდეოლოგიაში შეგვიძლია დავინახოთ აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძისთვის ძვირფასი ლოზუნგი „ძმობის, ერთობისა და თანასწორობის", რომელიც დეკაბრისტებს ეკუთვნით და რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ ალბათ არცთუ შემთხვევით სახეცვლილი „ძმობის, თავისუფლებისა და თანასწორობის" ფორმით შემორჩენია თანამედროვე ევროპას.

მაგრამ, ჩვენ უფრო ფუტუროლოგიური კუთხე გვაინტერესებს და არა იდეოლოგიური, როგორიცაა, ვთქვათ, კოლექტიური თუ ცალკეული თავისუფლების შეპირისპირება. ამიტომაც, ივანე ყიფიანის ფანტასტიკური რომანის საკითხთა მხრივ უფრო საინტერესო იქნებოდა 1920-იანი წლების ერთი ქალაქური ჭორიც გაგვეხსენებინა, რომ თითქოსდა მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის №7-ში მდებარე ტფილსაზკვების ტრესტის რესტორან „ორიანტიდან" (შემდეგ აქ „ინტურისტის" სასტუმრო განთავსდა, მოგვიანებით კი – მხატვრის სახლი) ფუნიკულიორზე არსებულ განთქმულ რესტორან „ედემამდე", სადაც ღია ადგილას მოედანზე მოსადილეებისთვის მუსიკოსების ანსამბლიც უკრავდა, საბაგირო გზა უნდა გაეჭიმათ და ორივე რესტორნის მენიუ თანაბრად ხელმისაწვდომი გაეხადათ კლიენტებისათვის.

## ეგვიპტური მზის ქალაქი შუასაუკუნეების ევროპაში

როგორია მზის ქალაქებისთვის დამახასიათებელი ის საერთო ატრიბუტიკა, რაც სხვადასხვა ეპოქების ლიტერატურულ ნაწარმოებებს თანაზრად განმსჭვალავს?! გარეგნულად ყველა მზის ქალაქი წრიული ფორმისაა, რაც, პირველ რიგში, ადამიანთა თანასწორობაზე, ძმობასა და კომუნაზე მიუთითებს. მართლაც, მეცნიერული სოციალიზმის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე ეს მახასიათებელი მკაფიოდ ჩანს იტალიელი ფილოსოფოსის, თეოლოგისა და პოეტის, ტომაზო კამპანელას 1623 წელს გამოცემულ წიგნში „მზის ქალაქი", სადაც მცხოვრებლები ერთდროულად მდიდრებიც არიან და ღარიბებიც, რადგანაც, ყველაფერი აქვთ, რაც სურთ, თუმცა კი, პირად საკუთრებაში არაფერი გააჩნიათ. კერძო საკუთრებასთან ერთად გაუქმებულია მონოგამიური ოჯახიც, რადგან ისიც ყოველგვარი დანაშაულისა და მანკიერების მთავარ მიზეზად მიიჩნევა. „მზის ქალაქის" ფილოსოფია ჰგავს როგორც პლატონის „სახელმწიფოს", ისე საბჭოთა კომუნას მის საწყის ეტაპზე. ყველა თანასწორად შრომობს და ფიზიკური შრომის შემთხვევაში სამუშაო დღე 4 საათს არ აღემატება. დანარჩენი დრო მეცნიერებას, სწავლას და განვითარებას ეთმობა, რასაც ტექნიკის სიახლეები და ეზოტერიკული მეთოდებიც (მაგ., მოსავლის მოყვანის დაჩქარების მეთოდი) ეხმარება. ვისაც არაფრის კეთება არ შეუძლია, ჯაშუშად მუშაობს. ქალაქის მოსახლეობა კომუნებად ცხოვრობს, რათა არავინ აღმოჩნდეს უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარების ცდუნების წინაშე. დიდ მანკიერებად ითვლება სიამაყე, უმადურება, სიზარმაცე, სასოწარკვეთილება, ოხუნჯობა, სიცრუე და სიბრაზე. ქალაქის მმართველს მზე და მეტაფიზიკოსი ეწოდება. ის წარმოადგენს როგორც მეფის, ისე უმაღლესი მღვდელმსახურის ხელისუფლებას და მას თორმეტი ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია ეხმარება. რელიგიას მთლიანად ცვლის მეცნიერება და ეგვიპტური მაგია, ხოლო ჯადოქარ-ქურუმები ხალხს მუდმივი ბედნიერებით, კეთილდღეობითა და სათნოებით უზრუნველყოფენ.

## კომუნიზმი შუასაუკუნეების საქართველოში „ვეფხისტყაოსნის" მაგალითზე

ძმობის, ერთობისა და თანასწორობის და კომუნისტური მოწყობის ადრეულ მაგალითს „ვეფხისტყაოსნის" ბოლო-თქმაშიც ვხვდებით:

1664

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საზრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

„ვეფხისტყაოსნის" მსოფლმხედველობის მიმართ ეკლესიის დაპირისპირების გამო ეპილოგის დამაბოლოებელ 1666-ე სტროფში თამარის სახელი შეცვლილი იქნა დავითის სახელით, რათა პოემისათვის თამარის საეკლესიო აღიარების მქონე შარავანდედი ჩამოე-

ცილებინათ. მეორე მხრივ, შუასაუკუნეების მისტიკურ ტრადიციაში თამარის სახელი შეესატყვისებოდა ხურმის ხის სიმბოლოს, რაც თავის მხრივ ორმუზის, ჰერმესის, არმაზის, არმას და, ზოგადად, ჰერმეტისტული ცოდნის აღმნიშვნელი იყო.

1665
გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გაელეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! –
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

1666
ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს მარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საქებარებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

რაც შეეხება ე. წ. ვითომდა დამაბოლოებელ 1667-ე სტროფს, როგორც ეს დიდი ხნის წინ გამორკვეული იქნა პავლე ინგოროყვას მიერ, ის მთლიანად ყალბია და მოგვიანებითაა დართული.

## პირიმზის მარადიული იდეალი – რტო სიმშვიდის და სათნოების

თამარის, იგივე პირიმზის იდეალი პირველად არგონავტების თქმულებით ჩვენამდე მოღწეულ აიეტიდა მედეას – მზის მეფე აიეტის დიდებული ქალიშვილის სახეში ჩნდება. მე-20 საუკუნეში კი მარადიული ღმერთქალის ქართული სახე სანდრო შანშიაშვილმა შთამბეჭდავი შტრიხებით მოგვცა პოემაში „ლატავრა" (1926), რომელიც ზაქარია ფალიაშვილის იმავე სახელწოდების ოპერის ლიბრეტოს დაედო საფუძვლად. ლატავრა მზის ქალიშვილია, პირიმზის გამომელავნებაა და სილამაზით კიდეც სჯობნის მას, იგი სახეა იდეალისა და ხალხის უმრავლესობის ნების გამომხატველია. მის ქვეყანაში ყველანი მზის შვილები არიან და მზეს ადიდებენ, იქ ყოველი დღე მზისაა და სახალხო დღესასწაულია. მზე წარმართავს ლატავრას გზას და თავადვე ყველა ღვთაებას აღმატებული, მზეს ეთაყვანება ისიც:

მზეო, მზეო, გვასულდგმულებ,
მარად ჰბადებ სურვილ-ნებას!
შენს წინაშე წარმომდგარვარ,
ხალხთან ერთად გიძლვნი ქებას.
შენ გადიდებთ, ჩაუმქრალო,
მხურვალეო, მხურვალეო,
ოქროს თვალო!
დღისით მეფევ, ღამით სიძევ!
ბრწყინვალეო, გარდუვალო!

ლატავრას ჰყავს ქალთა ამალა, მსგავსად მედეასი, რომელსაც ასევე მუდამ თან ახლდა ქალწულ არტემიდეს საიდუმლო მისტერიებში ხელდასხმული თანმხლები, ქუთაისელი წმინდა ქალწული. შეუძლებელია ლატავრას თვალი მოსწყვიტო, მისი შემხედვარე – „ძალას იკრეფენ მოხუცებულნი, იმედს ჰპოვებენ გულგატეხილნი, დავრდომილები ჯანსაღდებიან, სასტიკი ღბება, მრისხანე ცხრება, ვნებადამშრალი ინთება გრძნობით". იგი თავის საკუთარ ხალხს წინ უდგას, როგორც სულის სარკე და წარმოაჩენს ყოველივე კარგს, რაც მათშია. როდესაც მუშათა სახელოსნოებს ესტუმრა, მას შემდეგ „აღარცერთა დარდი არ მოსწოლია, მუდამ იმედი უცხოველდებათ, მუშებმა შეჰქმნეს მისდამი ჰიმნი და ყველა გულში იმას ღიღინებს". მუშებმა და ლატავრას ქვეყნის მცხოვრებლებმა დაანგრიეს ცივი კერპები და სანაცვლოდ ხალხის ნამდვილ და თავდაპირველ საუნჯეს, სულის კეთილშობილ მისწრაფებებს და ლატავრას დაუდგეს ტახტი, რომელსაც „სიამოვნების ოქროს ფლოსტი ფეხზე ჩაუცვამს, ხელში უჭირავს რტო სიმშვიდის და სათნოების".

შემდეგ მოდის სახე ბოროტებისა – ინკუბუსი. ის უდარდელი კუპლეტების სიმღერით შემოდის სცენაზე:

ჩემთან ასულო! ჩემთან ლამაზო! ჩემთან იცეკვე!
დილავ რანინა, დილავ რანინა, დილავ რანინა, ჰო!
დილ-დილა დილავ რანინა, დილ-დილა დილავ რანინა,
დილ-დილა დილავ რანინა, ჰო!

თუმცა, მოჩვენებით გულუბრყვილობასთან ერთად ინკუბუსი სიმართლესაც ამბობს და უცხოელ ბატონთა დაპირებებით გაბრიყვებულ მზიური ქვეყნის გამყიდველებსაც დასცინის შეფარულად:

ერთ კაცს ჰყავდა დიდყურა,
წელზე ფიჩვი ეხურა,
აზიდვინეს ქვაკირი,
ვერ გაბედა გაჰქირი,
რადგან მოუქონებდნენ,
ეძახოდნენ გმირთა-გმირს,
ზედაც შეაჯდებოდნენ
პატრონსანს პირს!
ქონდრის კაცი პატარა,
თავს აწონებს ლატავრას
და რომ გახდეს პირველი,
არის გასაკვირველი
თუ ოდესმე გაბედავს,
მას ბატონი დაბეგრავს,
ლაგმით აუკრავენ პირს
ჩოჩორიკა ვირს.

ლატავრას შორეული სახე კოლხეთის მზიურ ქალაქ აიას, იგივე სურიას ადრინდელ ხატებაში ჩნდება, რომელსაც მოგვიანებით მზის ციხე – არდის ციხე – ვარდციხე ეწოდა, სადაც მდინარეები ყვირილა (ფაზისი) და

რიონი ერთმანეთს ხვდებიან, სადაც „ოქროს დარბაზში ჰელიოსის სხივები ალაგია“ (მიმნერმე, სტრაბონი) და მის სიახლოვეს „ბრწყინვალე, წითელი ფერის ბეწვი“ (დრაკონცეუსი), „ჩამავალი მზის სხივებით ანთებული ღრუბლის მსგავსი ოქროს საწმისი“ (ვალერიუს ფლაკუსი) ძევს.

მედეა ჩამომავალია ჰელიოსისა, მზის შვილიშვილია. მისი ძმა აბსირტოსი მზის ეტლს, ფაეტონს მართავს, ხოლო აიეტის და – გრძნეული კოლხი ღმერთქალი კირკე, თმა ცეცხლის ისრებივით რომ ადგას თავზე და მისი სუნთქვა კი ირგვლივ ნათელს აფრქვევს, მისტერიების წმინდა ქალაკ აიაიას, იგივე კირკეონის ველს განაგებს, სადაც მან სალორიას ტყის მიდამოებში ოდისევსის მეგობრები ღორებად აქცია. პლინიუსი ფაზისზე აგებულ ქალაქს კირკეს სახელს აკუთვნებს და კირკეუმს უწოდებს. აქ აიასის სასახლიდან აღმოსვლას იწყებს მზე, რომლის სახელსაც ქართველთა შორეული წინაპარი ხეთები მეფეებს არქმევდნენ, რადგან მათი ქვეყანაც მზის ქვეყანა იყო.

მზიურ ქალაქ აიას ქართული ღმერთქალი კირკე, იგივე ცირცეა სათავეს უდებს როგორც მომდევნო მზის ქალაქებს, ისე საერთოდ რელიგიურობისა და ეკლესიურობის იდეასაც. მისი სახელიდან გამომდინარეობს ისეთი სიტყვები, როგორიცაა კირხე (გერმ., ეკლესია), ცერკოვ (რუს., ეკლესია, церковь), ცირკულარულობა (წრებრუნვა), წრიულობა, გარსშემოვლება (მაგიური წრე, საკრალურობა) და ანტიკურობის აკრობატული თამაშების მოედანი – ცირკი, ღვთაებრივისა და ადამიანურის დამაკავშირებელი არენა. ტერტულიანეს თანახმად პირველი საცირკო თამაშები ქალღმერთმა კირკემ დადგა და ისინი საკუთარ მამას, მზის ღმერთ ჰელიოსს მიუძღვნა. ამგვარადვე, კირკეს და პასიფა (იგივე ფასიფა, კრეტა) – მთვარის საყოველთაო მშვიდი სინათლისა და ფაზისისა და კრეტას ქალღმერთი – პაციფიზმს, მშვიდობისმოყვარეობას უდებს სათავეს.



კირკესია კავკასიის ადრეული სახელიცაა და ეს სახელი დღემდე ჰქვია ძველი ჩრდილო-კოლხური კულტურის ქვეყანას – ჩერქეზეთს (კირკესია, ჩერქეზეთი). საყურადღებოა ისიც, რომ მზიურ ჩამომავლობასთან ერთად კირკე ძველი საქართველოს უმთავრესი მთვარის ღვთაებაცაა. ქრისტიანულმა ხანამ იგი თანდათანობით ჩაანაცვლა ჯერ ვითომდა ოდესღაც არსებული მამრობითი სქესის მთვარის წარმართული ღმერთით, გიორგით (ივანე ჯავახიშვილის დაკვირვების თანახმად), შემდეგ კი ქალღმერთ კირკეს უძველესი რელიგია და მასთან ერთად ოქროს საწმისის მცველი დრაკონის კულტი მთლიანად შეცვალა დრაკონთან მებრძოლი წმინდა გიორგის ქრისტიანული ხატებით. ამ იძულებითი მეტამორფოზის კვალი დარჩენილია თურქულ ენაში, სადაც გიორგი იწერება და წარმოითქმის სწორედ როგორც კირკი. ასევე, ამ სინთეზისა თუ ჩანაცვლების ამსახველი მართლაც იშვიათი სცენაა შემონახული შავი ზღვის (იგივე პართენიის ანუ ქალწულის ზღვის) სიახლოვეს, – სადაც ოდესღაც ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი მეფე პითიადორა მართავდა კოლხიდის ქვეყანას და რომლის სახელიც ასევე თითქმის ამოშლილია ისტორიიდან, – გურიაში, აჭის ეკლესიაში არსებულ ფრესკაზე, რომელზედაც წმინდა გიორგი, ტრადიციული იკონოგრაფიის საწინააღმდეგოდ, დრაკონს კი არ გმირავს შუბით, არამედ საბელით სასეირნოდ მიჰყავს იგი.

## ყველასთვის კარგად ნაცნობი წესიერი რობოტი

„არიციას მოგზაურობა მზიურ ქალაქში“ 1957 წელს დაიწერა. 1957 წლიდან კოსმოსისა და წყალქვეშა სივრცის დაპყრობას ქართული მულტიპლიკაციის გმირი ხელმარჯვე ოსტატი (იგივე სამოდელკინი, ჭანჭიკა, ხრახნილა) იწყებს, რომელიც რეჟისორმა ვახტანგ ბახტაძემ და მისმა მეუღლემ, სცენარისტმა ნინა ბენაშვილმა შექმნეს. ეს პერსონაჟი ისეთი პოპულარული გახდა, რომ უცხოეთიც დაიპყრო და მნიშვნელოვანი ჯილდოებიც მოიხვეჭა (მაგ., სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე 1960 წელს), მოსკოვში კი მაშინვე „მხიარული კაცუნების კლუბში“ გააწევრიანეს (სადაც ასევე შედიან არიცია, ბურატინო, ჩიპოლინო, პეტრუშკა, გურვინეკი, დიუიმოვოჩკა და ლურჯთვალა) და ფანქარასთან (კარანდაშთან) ერთად ხელშეუხებელი პოზიციაც არგუნეს. 1957 წელს საბჭოთა კავშირი თავისი პირველი ხელოვნური თანამგზავრით „სპუტნიკ-1“ მართლაც იწყებს კოსმოსის დაპყრობას, ქალაქების მცხოვრებლებისთვის კი ავტომატ-სასადილოების კულტურა ფართოდ ინერგება. ბავშვებისთვის „ნორჩი ტექნიკოსის“ სპეციალიზებული მაღაზიები იხსნება. თბილისში ასეთი მაღაზია სანაპიროზე, ქორწინების სახლის გვერდით მდებარეობდა. იქვე იყო საბავშვო კინოთეატრი „ნაკადული“, სადაც ხელმარჯვე ოსტატისა და კარანდაშის თბილისის „მხიარული კაცუნების კლუბიც“ ფუნქციონირებდა აბონემენტებით დასასწრებად უქმე დღეებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1957 წლის დასაწყისიდან გაზეთი „ნორჩი ლენინელი" ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან ერთად წარმოგვიდგენს ხრახნილას სასნავლო-საწარმოო კომბინატ „ხელმარჯვეს", სადაც ექიმ წამალასაც (პილიულკინს) შევხვდებით „არიცვას თავგადასავლიდან" – პოეტ კუკური გოგიაშვილის (შალვა კარმელის ძმის) შესანიშნავ საბავშვო ლექსში „საახალწლო მიღება ექიმ პილიულკინთან". დასასრულს, მცირედი შემოკლებით გთავაზობთ ამ ლექსს, მითუმეტეს, რომ ექიმ წამალასთან ვიზიტი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებით არც დღეს აწყენდა ბევრს, მთვარის კაპიტალიზმისა და დავილონის აბსტრაქციონიზმის პირობებში.

თქვენ მკურნალი ხართ, ძმობილო,
ჩვენც მოგვედის თქვენი ამბები,
გთხოვთ აქაც გამოიყენოთ
თქვენი ცნობილი აბები.

ვისაც მოგიყვანთ, ექიმო,
წამლით აუწვი ყანყრატო,
თქვენი ცნობილი აბები
გთხოვთ ყველას ბლომად აყლაპოთ. –

პირველად მგელი შევიდა,
რომ უყვარს აყალ-მაყალი.
ნემსი უჩხვლიტეს ჩხუბისთავს
გრძელი და ახალთახალი.

ექიმმა უთხრა: – მგელუკა,
ცუდ სახელს შენ რად ატარებ?
მოგარჩენს ჩემი წამალი,
ველარ დაჩაგრავ პატარებს.

შემდეგ მელია შებრძანდა
ცრუ და თვალების მნაბავი:
ექიმს შესძახა: – გავიგე,
თქვენი ჩამოსვლის ამბავი.

როგორ ბრძანდებით, ძვირფასო,
აქ მოუთმენლად გელოდით,
თუ არ ვხარობდე, რომ გხედავთ,
გულზე დამედოს მე ლოდი!

– მლიქვნელო, – უთხრა ექიმმა, –
აქ არ გაგივა ფანდები!
მე კარგად ვიცი ვინცა ხარ
და რა შვილიცა ბრძანდები.

ვერ გადურჩები ჩემს წამალს,
თავს იკატუნებ ძალიან,
ტყუილის გუდა შეგარქვეს,
ფლიდო და ქათმის პარიავ!

თქვა და აბები აყლაპა,
კარგი აღმოჩნდა შედეგი,
კარებისაკენ გასძახა:
გთხოვთ შემოუშვათ შემდეგი! –

ერთად შევიდნენ ფრინველნი,
თუთიყუში და კაჭკაჭი.
ექიმმა როგორც შეხედა,
მყის მიხვდა იმათ გასაჭირს.

– შენ, თუთიყუშო, რად გიყვარს
ნათქვამის გამეორება?
სხვას ჰბაძავ, თვითონ არ ცდილობ
აამუშაო გონება.

რად გიყვარს გაზვიადება,
კაჭკაჭო, ენატანიავ?
ორ ნაბიჯზედაც ამბავი
სწორედ ვერ მიგიტანია!

შემდეგ კურდღელი მოიხმეს
და ციყვი მეტად პრანჭია,
ექიმმა მათთვის წამალი
იქ დიდხანს როდი არჩია.

ციყვს უთხრა – ზედმეტს კოპწიობ, –
ყურცქვიტას: რად ხარ მშიშარა? –
ჩქარა, დალიეთ წამალი,
დალიეთ, არა გიშავთ რა!

იმ ფეხმოჩორთილ დათუჩას
ზარმაცს ეძახდნენ მეტწილად,
ეძებეს, ნახეს, უქნარა:
რიგში ინვა და ეძინა!

– ეგ შენი გამოფხიზლება
სწორედ რომ გითხრა, მადლია,
დე, სნავლაც ისე გიყვარდეს,
ვით ხის ფუღუროს თაფლია! –

უთხრა ექიმმა დათოს და
კვლავ მიუბრუნდა ყველასა:
– გახსოვდეთ, ჩემი წამალი
გარგებთ ციყვს, მგელს და მელასაც.

1982 წელს ნოდარ დუმბაძის ინიციატივით პიონერთა ქალაქი-პარკი „მზიური" თბილისშიც – მდინარე ვერეს ხეობაში გაიხსნა ვაკეში, იქიდან კი საბავშვო მატარებლის ხაზის გაყვანაც იგეგმებოდა... წარსულის ისტორიული ძეგლისკენ – ბეთანიისკენ. ეს პროექტი ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩილ ქიქოძის კინემატოგრაფიული თვალი

*ლევან გელაშვილი*

ნარატოლოგიური თვალსაზრისით არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო" მხოლოდ იმით კი არ არის საინტერესო, რომ ამ ურბანულ რომანში ერთი დღის ამბავია მოთხრობილი, არამედ იმითაც, რომ თხრობის თვალსაზრისით მწერლური ოსტატობა და სტილი იპყრობს ყურადღებას.




ეკფრასისი თავდაპირველად ტექსტში მხატვრულ ნაწარმოებს აღწერდა. მკითხველს მკაფიოდ უნდა წარმოედგინა აღწერილი ობიექტი. დღეს, ის უკვე, ზოგადად, აღწერით თხრობად გაიაზრება. ტექნოლოგიური გლობალიზაციის პირობებში ტექსტის მოხმარების ჩარჩო გაფართოვდა და ეკფრასისიც ვიზუალური ხერხების მთელ არსენალს მოიცავს. მან რამდენიმე ეტაპი გაიარა და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში უბრალო აღწერითი თხრობიდან ტექსტის ვიზუალური თხრობის სტრატეგიად გადაიქცა. საგნის ვიზუალური დანახვის მცდელობა ტექსტში, ვიზუალურის წინ წამოწევა და, ზოგადად, ვიზუალურ დანახვაზე ავტორის მიზანმიმართული აქცენტირება, კინოსცენარის შექმნამდე არსებობდა, მაგრამ კინო ასეთ მხატვრულ ნაწარმოებებში ხელახლა აღმოგვაჩენინებს ვიზუალურ ნიშნებს – სწორედ კინოხელოვნების გავლენით. ყოველდღიური ყოფის ვიზუალური სივრცით გადატვირთვასთან ერთად, მაყურებელმა ისწავლა ეკრანული კოდების გაშიფრვა და კინემატოგრაფიულად აზროვნება დაიწყო. თანამედროვე მწერლებმა თხრობის ტექნიკაზე გაამახვილეს ყურადღება. ლიტერატურის ერთ მხატვრულ სისტემაში ესთეტიკური ზემოქმედების საშუალებები ისეა განაწილებული, რომ მკითხველის ჩართულობა მაქსიმალურად იყოს გამოყენებული მოქმედების განვითარებაში. თავდაპირველად კინომ და შემდეგ უკვე ვიზუალურმა მედიებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა არა ლიტერატურაზე, არამედ ადამიანზე, რომელიც მწერალიცაა, მკითხველიც და მაყურებელიც. უფრო მართებული იქნება, თუ ვისაუბრებთ კინოს გავლენაზე ცალკეულ მწერლებზე და არა ლიტერატურაზე, ან ლიტერატურის რომელიმე მიმართულებაზე. დღეს უკვე თანამედროვე მკითხველს, ბავშვს თუ ზრდასრულს, ეზარება კითხვა ან ცოტას კითხულობს. მწერლები ცდილობენ, წერონ ისე, რომ მკითხველი ჩაითრიონ ამბების თხრობაში. წერის მანერა მკვეთრად შეიცვალა. ბევრი მწერალი წიგნის წერის დროს, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ფიქრობს, თუ როგორი იქნება მისი წიგნი ეკრანზე. იშვიათია მწერალი, რომლის ლიტერატურული ნაწარმოები არ იყოს ეკრანიზებული, ან არ სურდეს, რომ მისი წიგნი ფილმად გადაიღონ. ბევრი წიგნის გმირი ხალხში ცოცხლობს ფილმში შესრულებული როლის მიხედვით. ასეთ ტექსტებზე გაზრდილი მკითხველი როდესაც მწერალი ხდება, არაცნობიერად, აჩქარებული რიტმის რელევანტურ ხედვით-ვერბალურ თხრობას მიმართავს. მარტივად რომ ვთქვათ, ფილმური თხრობა ხშირ შემთხვევაში მწერლების ძირითადი ნარატოლოგიური არჩევანია.

მაყურებელი, რომელიც ვიზუალური მედიების გავლენების სფეროში ცხოვრობს, რეალობას სწორედ კინო და ვიზუალური მედიების გავლენის კონტექსტში მოიხმარს და სამყაროს სწორედ კინემატოგრაფიული თვალით უყურებს. სწორედ ასეთი პერსონაჟია „სამხრეთული სპილოს" მთავარი გმირი. თავად რომანის სათაურიც ვიზუალური მასალიდან გამომდინარეობს. მთავარ პერსონაჟს სახლში, წიგნის თაროზე ჩამოკიდული აქვს ფოტო, რომელზეც ის და მისი მეგობარი სამხრეთული სპილოს ჩონჩხის წინ არიან გამოსახულები. გზადაგზა, რომანის ამბის გამოვლენაში ერთვება კომპიუტერის ეკრანზე გამოსახული სურათები, რომლებიც ორგანულ კავშირშია კონკრეტულ ემოციასთან და მოსაყოლ ამ-

ბავთან. ზოგ შემთხვევაში სურათის ქვეშ დანერილი კომენტარებიც კი აქტიურად მოქმედებს ამბავზე. კომპიუტერი რომანში ერთგვარად ფლეშბექების კალეიდოსკოპის ერთ-ერთი მამოძრავებელი საშუალებაა. ინტერტექსტუალური მიმართებები რომანში უხვად გვხვდება, როგორც ლიტერატურულ ტექსტებთან, ასევე ვიზუალურ ხელოვნებასთან მიმართებაში. მთავარი გმირი რეჟისორია, მსოფლიოს სხვა კინორეჟისორებისგან განსხვავებით ის ისეთი რეჟისორია, რომელმაც იცის, რომ კინოფილმს ვერ გადაიღებს, მაგრამ მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, თეორიული ცოდნა თუ ინტელექტუალური ხედვით-ვერბალური უნარები კინოთია ნასაზრდოები. რამდენადაც მთავარი გმირის პიროვნება კინოთი აიხსნება, ტექსტი ავტორ-პერსონაჟის მიერ გაიაზრება ვიზუალური ხელოვნების გავლით, რომანში მოხმობილი ტექსტები თუ ფილმები უშუალოდ მონაწილეობს სიუჟეტის ამბავში და აქტიურად ერთვება ამბის გაგების სტრატეგიებში.

რომანის დასაწყისშივე მეორე გვერდზე ვხვდებით ასეთ პასაჟს: „თითქოს ყველაზე ცუდ ქალაქში შეხეტებული, გზააბნეული, ვესტერნის გმირები ვიყოთ. „მათ უცხოები არ უყვართ, არა?" – დაილოცოს იმ ძველი კინოების დიალოგების მწერლები, – „მათ საერთოდ არავინ უყვართ".

„სანოლს ჩემს თეთრეულს ვაძრობ და თაზოს დახმარებით ახალს ვაკრავ. სასაცილოდ ვირჯებით. სულ არ უნდა ვფიქრობდე ამაზე, მაგრამ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კინოა." (გვ. 9).

„გზას ვაგრძელებ. არსებობს ორი რამ, რომლის კინოში გამოსახვა აბსოლუტურად შეუძლებელია: რეალისტურად გამოსახო სასიყვარულო აქტი და ღვთისადმი მიმართული ლოცვა. მე არ მჯერა მსახიობი ქალის ან მამაკაცის, რომელიც ცდილობს, დამარწმუნოს, რომ მთლიანად ეძლევა სიყვარულს" (გვ.16).

„ნელი კლდის თავზე ზის კატასავით მოკუნტული, დაბლა სიმეტრიული გზის სერპანტინი მიიკლაკნება, უფრო სწორად, მისკენ მოიკლაკნება გველივით და ეს უდაბნოში გაჭრილი გზა აბსოლუტურად ცარიელია, ზედ არცერთი მანქანა არ ჩანს. ნეტა რას გრძნობს ამის შემხედვარე ნელი?! მოსწონს თუ აფრთხობს ეს ანტონიონის კინოს მსგავსი პეიზაჟები?" (გვ. 28).

კითხვის დროს კინოასოციაცია და რემინისცენცია მკითხველის გამოცდილებაც არის – ტექსტს გარეთ არსებული კოდები, სოციალური გარემოთი, ინფორმაციული გლობალიზაციის კულტურული კონტექსტით და ვიზუალური ნიშნების გაზრდილი გავლენით არის განპირობებული. ტექსტი ვიზუალურად ჩანს. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე დეტალს ერთდროულად დავაკვირდეთ. ის არსებობს, როგორც რეკომბინაციული შესაძლებლობათა გროვა.

ადამიანი ინფორმაციის 80%-ს ვიზუალური მხედველობით იღებს. ცხადია, ეს ფაქტი ცნობიერებაზე არნახულ გავლენას ახდენს. ფილმების ერთი მესამედი ეკრანიზაციებია, შეიძლება ითქვას, რომ კინოს დაკვირვების წყარო ლიტერატურაა (მაშინ, როდესაც ლიტერატურა უალტერნატივოდ მხოლოდ ცხოვრებას აკვირდება, თუმცა ეს უკვე განვლილი ეტაპია. თანამედროვე მედიების გლობალიზაციის კონტექსტში მწერლობა ხშირად განიცდის სხვადასხვა ვიზუალური ხელოვნების გავლენას). როდესაც რეჟისორი ფილმის გადაღებას ხელს ჰკიდებს, ტექსტზე მუშაობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ფილმი. ამდენად ფილმი, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურაა – კონკრეტული ტექსტი და შემდეგ ხდება კინო.

კინო ხელოვნების დარგია, მაგრამ ის ასევე ფსიქოტრონული იარაღიცაა და მაყურებელზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ვიზუალური გამოსახულების ზეგავლენა აიხსნება იმით, რომ ვიზუალურ აღქმას ადამიანის თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო უზრუნველყოფს. ზეპირი ინფორმაციას კი პასუხობს მარცხენა – რაციონალური. ამდენად, ვიზუალურ ინფორმაციას ძლიერი საშუალებები აქვს, მოახდინოს მანიპულირება ადამიანის ცნობიერებაზე. „სამომხმარებლო ბაზარს იპყრობს არა საგანი, არამედ საგნის გამოსახულება". ხშირად მკითხველს გონებაში აკუმულირებული აქვს ფილმური თხრობის შესაბამისი შაბლონური კადრები, ეპიზოდების მთელი საცავი, დასურათხატებული შტამპები, რომლებიც დაელექა სარეკლამო ვიდეოს, თუ ტელეეკრანზე ნანახი ფილმების ყურებით. წაკითხული ტექსტის აღქმა კინემატოგრაფიულია, ეკრანული გამოსახულების შესაბამისია არა მხოლოდ აღქმის სპეციფიკის თვალსაზრისით, არამედ შესაძლოა წარმოსახული კადრებიც კი სადღაც ნანახის გადამუშავებული კომბინაციაა.

ფოტოგრაფია და კინემატოგრაფია მიდრეკილია სრულიად კონკრეტული გამოსახულების შექმნაზე. შესაბამისად, ცნობილია რომ ფოტოგრაფიაში და კინემატოგრაფში არსებობს ე. წ. შაბლონური კადრები – კლიშეები, რომელიც ხშირად მეორდება სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაში. მსგავსი კლიშეები ლიტერატურაშიც არსებობს და მხატვრობაშიც (მაგალითად, მშრალი ხიდის მხატვრობაში ერთ დროს გავრცელებული იყო ნახატები: „ჩანჩქერი და ორი გედი"). ინტერნეტში თვალის ერთი გადავლებითაც კი არაერთ ბაზას შევხვდებით ჰოლივუდის კლიშეების შესახებ.

ფილმებში კლიშეები იმდენად ხშირადგანმეორებადია, რომ მაყურებელს ესა თუ ის ლიტერატურული ეპიზოდი ბიოლოგიურ ინტერნეტში მოძიებისას სწორედ ფილმური ეპიზოდის სახით წარმოუდგება.

„მიჩურჩულა იმიტომ, რომ ლაპარაკი აღარ შეეძლო. „სუბიექტური კადრი..."- მარტო ეგ თქვა და ზევით მანიშნა

თვალებით. მართლა იდეები იყო. თაზო არ თამაშობდა არასოდეს, ბევრისგან განსხვავებით. კვდებოდა და საკაცეზე პირალმა მწოლიარეს რომ მივაგორებდით, ნათურებს ხედავდა, ერთმანეთს რომ ენაცვლებოდნენ, როგორც ფილმებში და სუბიექტური კადრით – აზრზე ხარ?!" (გვ. 72).

ეს არის ცნობიერების ნაკადი კინოს თანდასწრებით:

„ჯიბეში შორენას გაკეცილი ხელსახოცი მიდევს. დილას მოცემული ხელსახოცი რომ მთელი დღე ჯიბით ვატარო და საღამოს გამოვიყენო, ვთქვათ, სისხლი მოვწმინდო ვინმეს... აი, ზუსტად ეგ არის კინო – დეტალების მუშაობა, კლასიკა. ჩაპლინიც მაგას აკეთებდა და კიდევ ბევრიც სხვა... მეც მქონდა მცდელობა და შემიძლია დავიფიცო, რომ ერთი ჩემი მცდელობა სულაც არ იყო ურიგო" (გვ. 36).

„გადი, რა, ძაღლი ვარ?! ან როგორ უნდა გადავიდე, როცა ამათზე მაქვს გზა?! ფანრის შუქი ჩიხის კედლებზე დახტის. ჰიჩკოკის კინოში ვარ მოხვედრილი. სიგარეტიც დამრჩა ამათ მეზობელთან... როზა ჰქვია თუ იზა?" (გვ. 67).

როგორც ზემოთ აღვნიშნე „სამხრეთულ სპილო"-ში გმირი კინორეჟისორია, რომელიც ფილმს არ ან ველარ გადაიღებს, ამდენად ტექსტი გულისხმობს იმ გაცრუებული მოლოდინის ეფექტს, რომ ვერასდროს გახდება ფილმი, მაგრამ ტექსტი თავისი არსით მარადიულად დასტრიალებს კინოს სიღრმეებს, დაკვირვებებს და მიგნებებს. გმირი მთელი წიგნის განმავლობაში მოძრაობს, დადის თბილისის ქუჩებში, ეს ხეტიალი კინოფირზე სიარულივით არის; ყველა გამოწვეულ ემოციას რომელიმე ფილმის სახით ვხედავთ.

„ჩვენი ხელობის მასწავლებელი პატარა ჩანახატებს გვაკეთებინებდა. ამ ჩანახატებიდან სცენარები, ოდესმე კი ფილმები უნდა დაბადებულიყო. მაშინ ამის გვჯეროდა. როგორ? რა ფულით?! ეს არავინ ვიცოდით, მაგრამ ქართული კინო აუცილებლად ისევ დადგებოდა ფეხზე. ეს ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. გვჯეროდა, რომ მისი გაცოცხლება შეგვეძლო, და მგონი, ჩვენ თვითონ ვიყავით წინასწარ მკვდრები, ამიტომაც თითქმის მძულს ის ადამიანი, რომლის მიერ შთაბერილი რწმენის გამო თითოეული ჩვენგანი უკვე დაისაჯა ან მომავალში ელის სასჯელი" (გვ. 43).

„ამბიციური რეჟისორები და ბუტია მსახიობები, შიგნით თავდაჯერებულები, გარეთ კიდევ საღამოს კაბებში და სმოკინგებში სიცივისგან საწყლად მობუზულები, ნერვიულად ქაჩავენ სიგარეტს, ყურზე ტელეფონები აქვთ მიჭერილი და გაუთავებლად რეკავენ სადღაც, ჩემთვის ნაცნობ ან სრულიად უცნობ ენებზე სწრაფ-სწრაფად უყვებიან ვიღაცას საკუთარი გამარჯვების ან მარცხის ამბავს. ამაზე ალბათ ცალკე კინოს გადაღებაც კი შეიძლება... უჩემოდაც მოიფიქრებს ვინმე, თუ უკვე არ მოიფიქრა..." (გვ. 90)

საოცარია, რომ ჯვრებს შორის, ხის საფეხურზე ჩამომჯდარი ეიდასი „იყო შაშვი მგალობელზე" მელაპარაკება. რატომ? რახან ქართველი ვარ? ლაპარაკობს კედელში ჩაჭედებულ ლურსმანზე და საათის მექანიზმზე – მათემატიკური სიზუსტით გათვლილ ფილოსოფიურ ფინალზე".

„მერე ჩანადირი მიყვება თავის კინოს. მასაც ჰქონია კინო... ვინ იცის, რამდენი ეგეთი გადაუღებელი კინო უამბნიათ ჩემთვის! როდესაც ფილმს დეტალურად ჰყვებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ აღარასოდეს გადაიღებენ" (გვ. 61).

„მეთევზეების და მეძავების ამხანაგობა სანაპიროზე, მტკვრის პირას. რამდენჯერმე მინახავს ეს სურათი... ჰო, აქ ალბათ დიალოგები იქნება საოცარი და თან ნამდვილზე ნამდვილი! მგონია, რომ სიგარეტს და არაყს არასდროს დაამადლებენ ერთმანეთს. ნაღდია კინოა... ჯანდაბა! ძმები ლუმიერების დედაც!" (გვ. 176).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს ურყევი მოცემულობა. ყველაფრის ინტერპრეტაცია ხდება. მკითხველი ავტორის მიერ წინასწარგანსაზღვრული დამოუკიდებლობის ფარგლებში იყენებს საკუთარ კინოგამოცდილებას და წარმოსახვას. ზოგიერთ შემთხვევაში ამბის გამოვლინების კინემატოგრაფიული კონტექსტი ავტორის „კონტროლის საზღვრების" მიღმა მკითხველის ჩართულობით იბადება. სხვადასხვა საგანთა მნიშვნელობების და გაელენის რეზონის გაფართოებამ ნებისმიერი ფორმის მინიჭება გახადა შესაძლებელი, ტექსტუალური მოვლენა სხვადასხვა მედიების სარკეში ირეკლება. თუ პოსტმოდერნისტული ტექსტი სხვა ტექსტებს იმეორებს, ის ასევე სხვადასხვა მედიების ფორმებსაც იმეორებს. სახელოვნებო საზღვრებს შორის სადემარკაციო ხაზი მოიშალა.

წიგნის კითხვისას ერთი ცნობილი გამოთქმა გამახსენდა: უდაბნოში უფრო ხშირად ახსენებენ წყალს, ვიდრე წყაროსთან. რომანში გმირი ვერ იღებს ფილმებს, მაგრამ მთელი ტექსტის განმავლობაში მისი ცხოვრება კინოთია გაჯერებული. სამყაროს კინემატოგრაფიული თვალით ყურება, ცალკეული რეალობის ფრაგმენტების კინოთვალით გაანალიზება და მუდმივი შეხსენება პირველსაწყისთან მიბრუნების სწორედაც რომ საკრალური ამბავია. თითქოს ტექსტი გადის პროფანულ-ქრონოლოგიური დროიდან და შედის კინოს დასაბამიერ დროში. იმ დროში, როცა მოვლენები მხატვრულ ტექსტში კინოეკრანზე ხდება. ეს არის „ძლიერი" დრო, ავტორი წარსულში მომხდარ რეალობის ამბებს ხელმეორედ გამოიხმობს ცნობიერების შინაგან ეკრანზე. ფიზიკურად დახეტიალობს თბილისის ქუჩებში და შინაგანად – საკუთარ სულში. გმირი თავის წარსულს კინოს არქაული ამბების კონტექსტში ესწრაფვის და შემოქმედებითი ნაყოფის განმეორებას კინოსაგანთა „სანყისში" წარმოაჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაიო და მისი ისტორია

ზაზა კოშკაძე



გამარჯობა, მინდა, ერთი იაპონელი მწერალი გაგაცნოთ. მას ტაიო ჰქვია. ტაიო ფუჯიი. ის სამეცნიერო ფანტასტიკას წერს და იმ მწერლების კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც თავიდან გამომცემლობები არ სწყალობდნენ. ტაიოს პირველი წიგნი Gene Mapper, გამომცემლობებმა დაიწუნეს, თუმცა ის არ დანებდა და თავისი რომანი ელექტრონულად გამოაქვეყნა, რომლის გაყიდვებმაც ყველა გააოცა. ეს წიგნი მკითხველთა ფავორიტად იქცა. მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა მას ერთ-ერთი გამომცემლობა და სთხოვა უფლებები ამ წიგნის ბეჭდური ვერსიისთვის.

ამის შემდეგ ტაიომ მეორე რომანიც გამოსცა, Orbital Cloud, რომელმაც იაპონიის ორი მთავარი ჟანრული ჯილდო მოუტანა ავტორს.

ტაიოს პირველად სფოქენში შევხვდი, ვაშინგტონის შტატში, სადაც სამეცნიერო ფანტასტიკის საერთაშორისო შეკრება იმართებოდა – ამ ჟანრის მოყვარულთა ყველაზე მასშტაბური ზეიმი. ღმერთმა ისე ინება, რომ მე და ტაიო ერთსა და იმავე პანელზე გამოვდიოდით. ის ძალიან მოწესრიგებული და უშუალო იყო, მე – დაბნეული და აღელვებული. ნერვიულობის გამო მხოლოდ სამი წინადადება თუ ამოვილუღლუღე. ტაიო გაიქაფა. შეიძლება ითქვას, რომ დავმეგობრდით. მე მისი წიგნი ვიყიდე და მას შემდეგ მიმოწერა გვაქვს. ნამდვილი იაპონური შემართება აქვს ლიტერატურაში. დიდი მიზნები და ოცნებები.

შემდეგ წელს კიდევ ერთხელ შევხვდით იმავე ღონისძიებაზე, ამჯერად უკვე კანზას სითიში. იგივე თავმდაბლობით მახარა თავისი ახალი წარმატებების ამბები, რაც ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ დასაწყისია მისი ფანტასტიკური ლიტერატურული მომავლის. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, ეს ადამიანი საქართველოსთვის გამეცნო, როგორც იტყვიან: before it's cool!

ტაიო საკუთარ წიგნს თავად ყიდიდა იქვე, პავილიონში. ეს WorldCon-ზე სრულიად მიღებული პრაქტიკაა, წიგნის დახლებს თუ ჩაუვლი, ჯორჯ მარტინსაც თავისუფლად ნახავ, თავისი მორიგი წიგნის გამყიდველად ჩამომჯდარს წიგნების დახლთან. მოკლედ, ტაიოს თავისივე დახლთან დავადექი, ნამო, განვმარტოვდეთ და შენზე მომიყევი, ჟურნალისთვის მინდა-მეთქი. გაუხარდა. ზოგადად, ყველას უხარია, როდესაც „საქართველოშიც კი ბეჭდავენ" მის ინტერვიუს ან ნაწარმოებს. ეს თითქოს უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთში, ან რომელიმე სხვა ნამყვან ქვეყანაში პოპულარობა.

იქვე პავილიონში ჩამოვსხედით და აი, ასე ვისაუბრეთ:

***კოშკა: რა ასაკში დაიწყე წერა?***

ტაიო: ორმოცდაერთი წლის ასაკში, ზუსტად ოთხი წლის წინ.

***კოშკა: შენი პირველი ნაწარმოები სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს მიეკუთვნებოდა?***

ტაიო: კი, რა თქმა უნდა. მე დავიწყე წერა იაპონიის ბირთვულ კატასტროფაზე, რომლის შედეგადაც მთელი იაპონია შიშმა მოიცვა. რადიაციის შიშმა. თუმცა სინამდვილეში ეს შიში მცდარი იყო. არსებობდა სხვა კალკულაცია და ციფრები, რაც სხვა რეალობაზე საუბრობდა. მთელი ეს რადიაციასთან დაკავშირებული შიშები და ზღაპრები სიცრუე იყო და მე ეს ვიცოდი.

***კოშკა: თუმცა მთელი მსოფლიო იყო შეშინებული მაშინ.***

ტაიო: ვიცი, თუმცა ეს არ იყო იმდენად საშიში, რამხელა შიშიც გამოიწვია. მაგალითად, ჩერნობილის შემთხვევა ბევრად ძლიერი და საშიში იყო, ვიდრე იაპონიის. ამიტომ გადავწყვიტე, დამეწერა მოთხრობა მეცნიერებასა და ადამიანებზე, რადგან სამეცნიერო ფანტასტიკა ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალება იყო ამ ამბების გადმოსაცემად.

***კოშკა: Gene Mapper-ს გულისხმობ?***

ტაიო: დიახ, Gene Mapper-ს ვგულისხმობ. იმის თქმა მინდოდა, რომ შიში ცუდია, შიშს შეუძლია არასწორი გზით წაგიყვანოს. შიში კიდევ უფრო მეტ შიშს იწვევს.

ამ რომანით მხოლოდ ამ შიშის მომგვრელი ამბების გაბათილება მინდოდა.

***კოშკა: მშვენიერი მიზეზია წერის დასაწყებად.***

ტაიო: ნამდვილად. სხვათა შორის, თავიდან მობილურში ვწერდი, მეტროთი მგზავრობისას. მაშინ კომპიუტერული პროგრამების კომპანიაში ვმუშაობდი. დილის ცხრაზე სამსახურში უნდა ვყოფილიყავი, სადაც საღამოს ცხრამდე და ზოგჯერ თერთმეტამდეც მიწევდა ყოფნა. წერისთვის დრო არ მრჩებოდა. მე ტოკიოში ვცხოვრობ, საკმაოდ დიდი ქალაქია. წინა და უკანა გზაზე ერთად საათნახევარი მქონდა და ამ დროს წერას ვუთმობდი.

***კოშკა: გამომცემლის მოძებნა სცადე თუ შენით გადაწყვიტე გამოცემა?***

ტაიო: ჩემით გამოვეცი. 2012 წელს. ეს წელი მნიშვნელოვანი იყო იაპონიის ისტორიაში, რადგან მაგ წელს შემოვიდა კობო, ქინდლი და სხვა რიდერები. მე ყოველ მათგანზე დავარეგისტრირე ჩემი რომანის ელექტრონული ვერსია. ტრადიციული გამომცემლობები მაინც ყოყმანობდნენ ამ წიგნის დაბეჭდვაზე. შემდეგ, როცა უკვე გაყიდვებს ჩახედეს და ნახეს, რომ პირველ ადგილზე ვიყავი, აზრი შეიცვალეს. ელექტრონული წიგნების უმეტესობა ძველი ტექსტები იყო და თანამედროვე რომანის გამოჩენა მათ რიგებში თვალშისაცემი სიახლე იყო. ეს რომანი ქინდლის საუკეთესო წიგნი გახდა. შემდეგ ერთ-ერთი გამომცემლობა დამიკავშირდა ამ წიგნის უფლების შესყიდვის მიზნით, მე დავეთანხმე. პირველი რედაქცია საკმაოდ მოკლე იყო, შემდეგ ხელახლა გადავწერე და საბოლოო სახე მიიღო.

***კოშკა: როგორც მახსოვს, შენმა შემდეგმა წიგნმა უკვე სამი ჯილდო მიიღო.***

ტაიო: დიახ, Gene Mapper-ის შემდეგ მრბიტალ ჩლოუდ-ი გამოვეცი, ჯერ ინგლისურად არ თარგმნილა, მაგრამ იაპონიაში ორი მთავარი ჯილდო მოიგო ფანტასტიკის ჟანრში და ერთ რეიტინგში გაიმარჯვა. სამივეზე შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში.

***კოშკა: ამ ყველაფერმა უკვე იქონია გავლენა შენს ცხოვრებაზე?***

ტაიო: რა თქმა უნდა. თუმცა, Gene Mapper-ის გამოსვლის შემდეგ, მე უკვე წამოვედი კომპანიიდან და თავი წერას მივუძღვენი.

***კოშკა: ეს თითქმის ყველა დამწყები მწერლის ოცნებაა.***

ტაიო: ჰო, თუმცა იაპონიაში, სამსახურებში იმდენად დიდია დატვირთვა, რომ მწერლები ადვილად იღებენ კომპანიის მიტოვების გადაწყვეტილებას.

***კოშკა: ამ ორი წიგნის გარდა, შემდეგი რომანებისთვის თუ გაქვს უკვე იდეები, რას დაწერ?***

ტაიო: კი, რამდენიმე იდეა მაქვს. ამ მომენტისთვის ამერიკის მეორე სამოქალაქო ომზე ვწერ. ამბავი 2023 წელს ხდება. დემოკრატიული პარტიის წევრი პრეზიდენტი იარაღის ტარების, შენახვის და გამოყენების უფლებას აკანონებს. ცენტრალური ამერიკა აცხადებს დამოუკიდებლობას, შეერთებული შტატებიდან გადის და ამერიკის კონსტიტუციის შესწორებებს ხელუხლებელს ტოვებს თვრამეტ შტატში. საკუთარ თავს F.S.A (Free States of America)-ს უწოდებენ.

***კოშკა: ანუ, ამერიკელ მკითხველზე ხარ უმეტესად ორიენტირებული?***

ტაიო: არც ისე, უბრალოდ ამ წიგნით იმის თქმა მინდა, რომ პოპულიზმი და მხოლოდ პოპულარული ნაბიჯების გადადგმა ძალიან სახიფათოა. იაპონიასთან დაკავშირებული თემები ყოველთვის აურაცხელი ინფორმაციითაა სავსე, რომელსაც უბრალოდ ვერ გამოტოვებ, რაც მკითხველს აბნევს. ამ ყველაფერთან ერთად ნაწარმოების მთავარი მესიჯიც უნდა გამოკვეთო, რაც ძალიან ძნელია. ამიტომ ისევ ამერიკას ვირჩევ.

***კოშკა: საყვარელი ფანტასტი მწერალი თუ გყავს?***

ტაიო: კი, ჯეიმს ჰოგანი. მისი ნაწარმოებები იაპონიაში ძალიან ცნობილია, თუმცა სამწუხაროდ ევროპასა და ამერიკაში ნაკლებად იცნობენ.

***კოშკა: შენ ხარ ფანტასტი მწერალი იმ ქვეყნიდან, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიოში ტექნოლოგიური განვითარების პროცესში. ამან რაიმე ხედვა თუ ჩამოგიყალიბა მომავლის?***

ტაიო: მე მჯერა, რომ მომავალში, სადღაც, ორასი წლის შემდეგ კაცობრიობის ნახევარს უკვე ხელოვნურად გამოყვანილი გენი ექნება. ამისგან არც ისე შორს ვართ. გენეტიკური დაავადებები სრულიად გაქრება.

***კოშკა: რამე ისეთს ხომ არ გვეტყოდი კიდევ, რისი თქმაც გინდა და მე არ შეგეკე?***

ტაიო: იმედი მაქვს, რომ ოდესმე, ქართველი მკითხველი წაიკითხავს ჩემს წიგნებს და გამიცნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 ახალი თარგმანები

## ლექსები კინოფილმიდან „ბედის ირონია ანუ გაამოთ“



*ევგენი ევტუშენკო*

* * *

ბელა ახმადულინას

ეს რა ხდება ჩემს თავს, მაწევს გულზე ლოდი:
ძველი მეგობარი ჩემთან აღარ მოდის;
უამრავი ვიღაც ფაციფუცობს ირგვლივ,
ვინ არ მოდის, მაგრამ არ ჩანს მხოლოდ იგი.
თავად ისიც
          სხვებთან მიდი-მოდის ახლა,
კარგად ხვდება ამას, ვიცი, ისიც ნაღვლობს,
ჩვენს წყენას და დავას ვერ ვუძებნით მიზეზს,
და ორივეს გვტანჯავს, დღე დღეს ასე მისდევს.
ეს რა ხდება ჩემს თავს, მაწევს გულზე ლოდი:
ის კი არა, ჩემთან სულ სხვა ვიღაც მოდის;
დამალაგებს მხრებზე თავის ხელებს უხმოდ,
ჩემს თავს ართმევს სხვას და ქურდობს ასე ურცხვად.
მან კი –
      ღვთის გულისათვის, იქნებ ვინმემ მითხრათ,
ვის დააყრდნოს მხრებზე ხელ-მკლავები თვისი?
ის,
  მომპარეს ვისაც, აღარ უნდა კითხვა,

შურისგების მიზნით მოიპარავს ისიც.
საპასუხო ნაბიჯს არ გადადგამს წამსვე,
საკუთარ თავს ბრძოლას გაუმართავს უხმოდ,
შეუცნობლად მერე მოიქცევა ასე
ამოიღებს თვალში მისთვის ვილაც უცხოს.
ო, რამდენი
          მტკივნეული,
                    უმიზნო და
უსარგებლო კავშირია ამქვეყნად,
                              მეგობრობა უმიზნო!
სად გავექცე, სად გავაღწევ უმისოდ?
ო, ვილაცა
          რომ მოხვიდეთ,
                    დაარღვიოთ სრულებით,
უცხო პირთა ერთობა და
დაშორება
          ახლობელი სულების!

### ბორის პასტერნაკი

* * *

სახლში არავინ იქნება, გარდა
მწუხრის ბინდისა. მხოლოდდამხოლოდ
ჩამოშვებული ფანჯრებზე ფარდა
და ფარდებს შორის – ზამთრის დღის ბოლო.

აჩქარებული და ხშირი ბარდნა,
სველი ფიფქები, თეთრად ნაფერი.
სახურავების და თოვლის გარდა
სხვა არაფერი, სხვა არაფერი.

და კვლავ დახაზავს ჭირხლი გარემოს,
და კვლავ ჩამითრევს გასული წლიდან
შემორჩენილი სევდა-ვარამი
სხვაგვარი ზამთრის საქმეებიდან.

და კვლავ განმსჭვალავს, დღემდე რომ მომდევს
დანაშაული შეუნდობელი,
და ჯვარედინა ფანჯარას ოდენ
ხუთავს სიცივე ყოვლის მფლობელი.

მაგრამ პორტიერს მოულოდნელად
დაუვლის ეჭვის თრთოლა ტალღებად, –
სიჩუმეს ზომავს ნაბიჯით ნელა.
შემოაბიჯებ, როგორც განგება.

შენ გამოჩნდები თეთრით მოსილი,
შეიმოსება როგორც ვერავინ,
რაღაც ისეთი, ნაზი ქსოვილით,
ქათქათა ფიფქებს რითიც კერავენ.

### ბელა ახმადულინა

* * *

უკვე მერამდენე წელია, ჩემს ქუჩაზე
ხმა ისმის ნაბიჯების – მტოვებენ მეგობრები.
წყვდიადში ფანჯრებს მიღმა ნელი სვლით მშორდებიან,
აჩრდილად ილანდება სარკმელში მოგონება.

დარჩათ ბევრი საქმე, ახლა მათ სახლებში
არ ისმის მუსიკის ხმა, არ ისმის სიმღერები,
მხოლოდ, ძველებურად, დეგას გოგონები
ცისფერი ბუმბულებით მორთულ ყელს იღერებენ.

რაღა გაეწყობა, ნულარ შეგაშფოთებთ
ასე უმწეოებს შიში ღამეული.
ჩემო მეგობრებო, უფრო გებინდებათ
მზერა, ღალატით და შიშით არეული.

როგორი სასტიკი და მკაცრი ხარ, მარტოობავ!
ცივად გაილევებს ლითონის ფარგალი და
წრეს კრავს, ყველაფერი ახლა ამაოა,
შენთან მუდარა და თხოვნა არ გავიდა.

მაშ, შენს ნებიერას, შენგან მოალერსეს,
ჯილდო მარგუნე და რამით მანუგეშე!
დარდებს გავიქარვებ, მკერდს რომ მოგეყრდნობი,
მერე რა, რომ სუსხი მხვდება შენს უბეში.

ნება მომეცი, რომ უხმოდ, ფეხაკრეფით
შენს ტყეში ვიარო და ხმელი ფოთლები
ნელა მოვაგროვო, სახე ჩავმალო და
როგორც ნეტარება, შევიგრძნო ობლობა.

მიბოძე მდუმარება შენი წიგნთსაცავის,
შენი კონცერტების მკაცრი მოტივები
და მე დავივიწყებ ყველას, ვინც კი მოკვდა,
მათაც, ვინც დღემდეა მათზე მოტირლები.

შევიცნობ სიბრძნესა და სევდა-მწუხარებას,
საგნები გამანდობენ აზრებს, რაც მათშია,
ბუნება, დამეყრდნობა მხრებზე, ხელებს მომხვევს
და გამიზიარებს საკუთარ ხვაშიადს.

და მაშინ – ცრემლებიდან, წარსულის წყვდიადიდან,
რაღაც უეცარი ელდა მოეარდება.
ჩემი მეგობრების ნაკვთები მშვენიერი
ჩნდება და კვლავ ზავდება, როგორც მოლანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### *მიხეილ ლვოვსკი*

* * *

ტიხორეცკის სადგური, გამგზავრებას ნაჩვევი.
დაიძვრება ვაგონი, ბაქანი კი დარჩება.
ვაგზლის დიდი საათი, ბევრი რამის მნახველი,
აგურ-აგურ კედელი, თეთრი თავშლის ფრიალი,
თეთრი თავშლის ფრიალი და თვალებში ნაღველი.

გაზოლილი კვამლისგან, მთელი კუპე მე მისმენს,
ცდილობს დამაცდენინოს ნარსულზე და მერმისზე.
იმდენს მოვიტყუებ – არ სმენოდეს არავის.
მე ვის დავემშვიდობე, მე ვის დავემშვიდობე,
მე ვის დავემშვიდობე – თქვენი საქმე არ არის.

გულს გამიხსნის მატროსი, ზოლიანი პერანგით,
როგორ სტანჯავს საბრალოს ეს ცხოვრება ვერაგი.
უკანმოუხედავად ჩავა, არ ცვლის არჩევანს.
დაიძვრება ვაგონი, დაიძვრება ვაგონი,
დაიძვრება ვაგონი, ბაქანი კი დარჩება.

ვზივარ მარტო,  გულს სევდა განა შემომჩვევია,
ხელში მხოლოდ საზამთროს ქერქი შემომრჩენია.
რა მოუვა გოგონას, ასეთს რომ ქმნის გამჩენი?
დაიძვრება ვაგონი, დაიძვრება ვაგონი,
დაიძვრება ვაგონი, ბაქანი კი დარჩება.

### *ალექსანდრ არონოვი*

* * *

თუკი თქვენ არა გაქვთ სახლი,
ხანძარი ვერ დაწვავს, ვერ...
არც ცოლი არაფერს გახლით
და სხვასთან არ წავა,
და სხვასთან არ წავა,
თუ ცოლი არცა გყავთ ჯერ...

თუკი თქვენ არა გყავთ ძაღლი,
ვერავინ ვერ მოწამლავს,
არც აყალმაყალით დაგღლით
თქვენი მეგობარი,
თქვენი მეგობარი,
თუ არ იყოლიებთ მას...

ორკესტრი გრიალებს და ამ სიმფონიას
საყვირიც შეუწყობს ხმას.
თავად გადაწყვიტეთ, რომელი ჯობია –
როცა გყავს თუ არა გყავს.

თუ არ გყავთ დეიდა ახლა,
დაკარგვაც გულს ალარ გტკენთ,
და თუკი ცოცხალი არ ხართ
არასდროს მოკვდებით
არასდროს მოკვდებით,
არასდროს მოკვდებით თქვენ...

ორკესტრი გრიალებს და ამ სიმფონიას
საყვირიც შეუწყობს ხმას.
თავად გადაწყვიტეთ, რომელი ჯობია –
როცა გყავს თუ არა გყავს.

### *მარინა ცვეტაევა*

* * *

მომწონს, რომ ჩემით არა ხართ ავად,
მომწონს, რომ ავად თქვენით ვერც მე ვარ.
რომ დედამიწა ჩვენს ფეხქვეშ მყარად
დგას და არასდროს გამოგვეცლება.
მომწონს, რომ ვიყო თავქარიანი –
სიტყვის ძებნისას არ შევფერხდები,
არ გავწითლდები თვალსევდიანი,
სახელოებზე ოდნავ შეხებით.

მომწონს ისიც, რომ ჩემს გვერდით მშვიდად
სხვას ეხვევით და სხვის ალერსს ლამობთ.
რომ არ მაგზავნით ჯოჯოხეთს შიდა,
თქვენ რომ არ გკოცნით, ამისდა გამო.
რომ სახელს ჩემსას არ აიჩემებთ
დღისით თუ ღამით, ისე სრულიად...
რომ არასოდეს ტაძრის სიჩუმეს
არ გაჰკვეთს ჩვენი: ალილუია!

მადლობას გიხდით გულით და სულით,
რომ თქვენ – ისე, რომ არ უწყით თავად! –
ასე გიყვარვართ: სიმშვიდე სრული
მაქვს ღამით, სწორედ თქვენ გმადლობთ ამად,
რომ მთვარის შუქზე ერთად არ ვრჩებით,
მზე არ გვინათებს ზეცის კამარას, –
რომ – ვწუხვარ – ავად არა ხართ ჩემით,
რომ – ვწუხვარ – ავად თქვენით არა ვარ.

### *ვლადიმერ კირშონი*

* * *

იფანს ვკითხე: „მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
ხმა არ გამცა იფანმა, თავს იქნევდა მდუმარედ.
ალვას ვკითხე: „მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
შემოდგომის ფოთოლი ჩამომიგდო უმალვე.

„შემოდგომავ, მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
შემოდგომამ პასუხად წვიმა გამოიგზავნა.
წვიმას ვკითხე: „მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
წვიმა დიდხანს ტიროდა ჩემი სარკმლის მინასთან.

მთვარეს ვკითხე: „მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
ღრუბელს ამოეფარა – უპასუხოდ დამტოვა.
ღრუბელს ვკითხე: „მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?" –
ცის სილურჯეს შეერთო, უხმოდ გაქრა რატომღაც...

მეგობარო, მითხარი, ჩემი სატრფო სად არის?
სად წავიდა, თუ იცი, რომელ გზას გაჰყოლია?
მეგობარმა ერთგულმა მიპასუხა გულწრფელად:
„შენი სატრფო რომ იყო, შენი სატრფო რომ იყო,
შენი სატრფო რომ იყო, ახლა ჩემი ცოლია!"

*მარინა ცვეტაევა*

* * *

მინდა სარკეში, სადაც ბინდში
აჩრდილებს სძინავთ,
ვნახო, თქვენი გზა საით მიდის
და სად გაქვთ ბინა.

ვხედავ: ანძა ჩანს ღრუბლის პირად,
გემბანზე დგახართ...
თქვენ – მატარებლის კვამლში. მინდვრად
მწუხრი წევს ახლა.

მინდვრებში ცვარი, მინდვრის თავზე –
ყორნების გუნდი...
ჯვარი გწერიათ, გლოცავთ ასე,
ოთხივე კუთხით.

*ალექსანდრე კოჩეტკოვი*

## ბალადა გაბოლილ ვაგონზე

– მტკივნეულია, კარგო, როდესაც,
მიწას ფესვები ღრმად ჩაეზრდება, –
მტკივნეულია, კარგო, როდესაც
ხერხის ქვეშ ორად იპობი თავად.
გულის ჭრილობა არ შეხორცდება,
დაიღვენთება წმინდა ცრემლებად
გულის ჭრილობა არ შეხორცდება, –
დაიღვენთება მდუღარე ლავად.

– სანამ ვიცოცხლებ, შენთან ვიქნები, –
სული და სისხლი არ დაშორდება, –
სანამ ვიცოცხლებ, შენთან ვიქნები –
ტრფობას ხომ ბინა სიკვდილთან უძევს.
თან წაიყოლებ ყველგან ფიქრებით –
თან წაიყოლებ, კარგო, ოცნებად, –
თან წაიყოლებ ყველგან ფიქრებით
მშობლიურ მიწას, საყვარელ ფუძეს.

– მაგრამ თუ თავს ვერ დავაღწევ ოდენ
განუკურნებელ სიბრალულს მწვავეს,
მაგრამ თუ თავს ვერ დავაღწევ ოდენ
სიცივესა და სიბნელეს უკუნს?
– განშორებას ხომ შეხვედრა მოსდევს,
არ დამივიწყო, ძვირფასო, გნამდევს,
განშორებას ხომ შეხვედრა მოსდევს,
მე და შენ – ერთად ვბრუნდებით უკან.

– მაგრამ თუ გავქრი უკვალოდ სადმე –
როგორც პატარა სხივი სინათლის, –
მაგრამ თუ გავქრი უკვალოდ სადმე
ვარსკვლავცვენისას, კვალდაკვალ წყისვე?
– შენთვის ვილოცებ მუდამდღე აქ მე
რომ არ დაგებნეს გზები მინამდე,
შენთვის ვილოცებ მუდამდღე აქ მე
უვნებელი რომ დაბრუნდე ისევ.

გაბოლილ ვაგონს მიჰყავდა რწევით,
უსახლკარო და მორჩილი ბედის,
გაბოლილ ვაგონს მიჰყავდა რწევით,
ზოგჯერ ტიროდა, ნახევრად თვლემდა,
როდესაც დამრეც ფერდობზე ზევით
შემადგენლობამ იცვალა გვერდი,
როდესაც დამრეც ფერდობზე ზევით
რელსებს ხმაურით მოსცილდნენ თვლები.

ზეციურ ძალამ დასძალა მიწა,
ერთი ხელმოსმით ყოველი მოსარა,
ზეციურ ძალამ დასძალა მიწა
და მიწიერი ასტყორცნა ხელად.
და ვეღარავის ვერაფრით იცავს
დაპირებული მშვიდობით მოსვლა,
და ვეღარავის ვერაფრით იცავს
შორით ლოდინით განვლილი ხელი.

ვინც გულით გიყვართ, ნუ დაშორდებით,
ვინც გულით გიყვართ, ნუ დაშორდებით,
ვინც გულით გიყვართ, ნუ დაშორდებით,
შეესისხლხორცეთ დღისით და ღამით, –
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,
როდესაც უნდა წახვიდეთ წამით!

*რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე“**,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

**2019 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ - 16 ᲚᲐᲠᲘ**

n5/174

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
9 770134 984002